N 5 2023

მასწავლებელი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში“



მასწავლებელი

№5(96), 2023

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ნათელა ბაღათრიშვილი,
ნინო ლომიძე, მაია ჯალიაშვილი,
მაია ფირჩხაძე, ანა ღვინიანიძე,
თინათინ ზარდიაშვილი,
ქეთევან ოსიაშვილი,
მეგი კავთუაშვილი,
ქეთევან კობალაძე,
ლელა კოტორაშვილი,
მანანა სეხნიაშვილი,
თემურ სუყაშვილი,
ინა იმედაშვილი,
შორენა ტყეშელაშვილი,
დიანა ანფიმიადი, ცირა ბარბაქაძე,
ნასტასია არაბული

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / მ-374

www.tpdc.ge

ბევრი არ მიფიქრია. გავიფიქრე თუ არა, გადავწყვიტე, ეს ფიქრი უცვლელი დამეტოვებინა. ირმა კახურაშვილი ჟურნალ „მასწავლებლის“ ავტორი იყო 15 წელი. მისი წერილები ყოველთვის იქცევდა ჩვენი მკითხველის ყურადღებას და ახლაც საინტერესო საკითხავია. ირმამ სიცოცხლისთვის ბევრი იბრძოლა და ჩვენც სიცოცხლის სურვილისკენ მოგვიწოდებდა. გადავწყვიტე, დღევანდელი რედაქტორის სვეტი ირმასი ყოფილიყო და მისი ერთი წერილისთვის დამეთმო. ეს წერილი ჩემთვისაც ერთგვარი კომპასია.

ნატო ინგოროყვა

ირმა კახურაშვილი

რატომ ვწერ მასწავლებლისთვის

ვერავის წარმოგვედგინა, რომ ნაჩვევი ყოველდღიურობის დეკორაციას რამე შეცვლიდა. ახლა, თავისუფლება დამშეულებს, მხოლოდ ორი ყოვლისშემძლეს იმედი დაგვრჩენია – მეცნიერების და, ცოტაც, ღმერთის.

მე ვწერ მასწავლებლისთვის იმიტომ, რომ მჯერა – მხოლოდ ცოდნაზე დაფუძნებულ ცდებს შეუძლია მორყეული სამყაროს იმუნური სისტემის რეანიმირება, იმ გლობალური დრამატული საფრთხეების შემცირება, რომელმაც ყველა კონტინენტი თანაბრად დააზარალა.

ნამდვილი გმირები ნამდვილი მასწავლებლები არიან. ახლა ისინი თავგანწირვით და თმენით ცდილობენ აითვისონ ცოდნის გადაცემის ახალი ხელოვნება, გადალახონ დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები, გაიკვლიონ გზა, რომელზეც არასოდეს უვლიათ, შეუნარჩუნონ ჩვენს შვილებს სასწავლო რიტმი, აჩვენონ, რომ ცოდნის მიღების პროცესს ვერაფერი შეაჩერებს, რომ სწავლა მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო, არის და იქნება მაშინაც, როდესაც ისინი სკოლის მოსწავლეები აღარ იქნებიან, არც სამყარო იქნება ისეთი, როგორიც ახლა ჩვენი ფანჯრიდან ჩანს.

ის ერთი კარგი მასწავლებელი, ყველას რომ უპირობოდ გვყავდა სკოლაში, იყო ჩვენი იმედი და დარჩა ბედნიერ მოგონებად, უხილავ სტიმულად მთელი სიცოცხლის განმავლობაში. შესაძლოა, სწორედ იმ ერთმა მასწავლებელმა გვაზიარა რაღაც ახალს და ძალიან მნიშვნელოვანს, დროულად ჩათესა მარცვალი, რომელმაც მარად მსხმოიარე, უამინდობაში უშიშრად მოშრიალე, დიდტოტებიან ხედ გადაგვაქცია. სწორედ იმ ერთი მასწავლებლის ცნობიერების სიფხიზლემ, სამაგალითო განვითარების სურვილმა, შემოქმედებითობამ და პოზიტიურმა ენერგიამ შეცვალა ჩვენი შინაგანი ლანდშაფტი. ის ერთი მასწავლებელი იყო პროდუქტიული ცოდნის გენერატორი, რომელმაც პირადად დაგვარწმუნა ამავე მის სარგებლიანობაში.

განათლების, ცოდნის, როგორც კაპიტალის მნიშვნელოვნება, ყოველთვის თვალსაჩინო იყო და ახლა კი, პანდემიის პირობებში, როდესაც ჩვენი ცხოვრება სოციალურ ქსელებში მიმოფანტულ სიახლეებს გამოება, ასმაგად ხილული გახდა. საუკეთესო სასკოლო მოდელი – აღმოჩენის გზით სწავლება – დღეს ვირუსთან გამკლავების სტრატეგიაშიც აქტუალურია. ჩვენი მომავალი სიმშვიდე და კომფორტული ცხოვრება ახლა პირდაპირ კავშირშია მეცნიერული ცოდნის სწორ გამოყენებასთან.

და ალბათ, ახლა ყველაზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ განათლება მიმართულია არა მხოლოდ კეთილდღეობაზე, არამედ, დავამატებდი – ქაოსის წინააღმდეგ.

ჩვენ არ შეგვიძლია მოვთხოვოთ სკოლას და მასწავლებელს, იყოს უნივერსალური, მაგრამ იმის შანსი, რომ იყოს უკეთესი, გვაქვს.

ამ იმედზე დაყრდნობით ვწერ მასწავლებლისთვის.

მოსაზრება

ნინო ლომიძე

9 | მასწავლებლების პროფესიული განვითარება – ხედვა საკლასო ოთახიდან

თვითგანვითარებისთვის, პროფესიული ზრდისთვის, სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად მასწავლებლები შრომობენ სკოლაშიც და სკოლის გარეთაც. ეს ნიშნავს, რომ ისინი პირადი დროის დიდ ნაწილს უშურველად, ხშირად განუსაზღვრელად ახმარენ პროფესიულ საქმიანობას.

მაია ჯალიაშვილი

12 | მიზანი და რეალობა

თანამედროვეობაში, ისტორიასა თუ ლიტერატურაში ცნობილ ადამიანთა ბევრი შთამაგონებელი მაგალითი არსებობს. მასწავლებლის ამოცანა ისაა, რომ მოსწავლეს დაეხმაროს არა მიზნის არჩევაში, არამედ, ზოგადად, მიზნის არსის გარკვევაში, რათა მოზარდმა დამოუკიდებლად, თავისი გადასახედიდან თუ პერსპექტივიდან განსაზღვროს და წარმოიდგინოს თავისი თავი მომავალში.

თინათინ ზარდიაშვილი

24 | ნაადრევი ქორწინების საფრთხე

ნაადრევ ქორწინებას ბევრი მიზეზი აქვს. მიზეზებს შორისაა სიღარიბე და დაბალი სოციალური სტატუსი (გათხოვება, როგორც გამოსავალი). ზოგჯერ ფიქრობენ, რომ თუ ნაადრევად იქორწინებენ შედარებით მდიდარ ადამიანზე, ისინი იქნებიან უფრო ბედნიერები.

მანანა სეხნიაშვილი

44 | ჰოლისტური აღქმის ფორმირების საშუალება

განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ჰოლისტური მიდგომაა, რომელიც აერთიანებს კომპეტენციებს და ინტეგრირებულ, ერთიან სისტემურ აზროვნებას მოითხოვს. ჰოლისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება შეესაბამება მეცნიერებისა და სოციალური პრაქტიკის განვითარების დონეს, თანამედროვე სამყაროს სოციალური, კულტურული, ენობრივი, სულიერი მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

ინა იმედაშვილი

53 | რატომ და ვის ეშინია წიგნების?

ისტორია მხოლოდ ფაქტებს ინახავს, ხოლო პროპაგანდის ის მანქანა, რომელიც ძველი წესებით მოქმედებს, რომელიც შიშით იკვებება, დამარცხებისთვის განწირულია და ჩვენ, მასწავლებლებმა უნდა დავამარცხოთ. ჩვენი უპირველესი მისიაა – ვიდგეთ სინათლის, განათლების, წიგნებისა და თავისუფლების მხარეს.

გამოცდილება

მაია ფირჩხაძე

16 | „ბედნიერი გაკვეთილები“ ხარისხიანი განათლებისთვის

ბედნიერების სწავლების მეთოდს საფუძველად დაედო პოზიტიური ფსიქოლოგია. ესაა მიდგომა ადამიანის აზრების, გრძნობების და ქცევის შესასწავლად, სისუსტეების ნაცვლად ძლიერ მხარეებზე ფოკუსირებით, ცუდის გამოსწორების ნაცვლად კარგზე აქცენტირებით.

მეგი კავთუაშვილი

34 | როგორ ავუმაღლოთ ათ წლამდე ასაკის შვილს სწავლის მოტივაცია

ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ სწავლის პროცესში შეცდომის დაშვება ბუნებრივი მოვლენაა, სწავლა შეცდომის გარეშე შეუძლებელია. უმჯობესია, მშობლები შევეცადოთ, რომ მას შეცდომის დაშვების არ ეშინოდეს და არასოდეს შეწყვიტოს მცდელობები.

ლელა კოტორაშვილი

40 | მოსიარულე დავალებების ყუთი

დაწყებით საფეხურზე საშინაო დავალებების ინსტრუქციებზე მუშაობამ ჩემი მეექვსეკლასელი მოსწავლეები შემოქმედებით აზროვნებამდე მიიყვანა. ისინი დამოუკიდებლად და დიდი ინტერესით ქმნიან ინსტრუქციებს წერითი დავალებებისთვის.

თემურ სუყაშვილი

48 | სამოქალაქო თავდაცვისა და ბუნებრივი კატასტროფების დროს ქცევის წესების სწავლება სკოლებში

სკოლებში სწორად დაგეგმილ სწავლა-სწავლების პროცესს შეუძლია ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს შესაბამისი დამოკიდებულებები და ხელი შეუწყოს კატასტროფების პრევენციის კულტურის განვითარებას.



კვლევა

ნათელა ბაღათრიშვილი

4 | მოსწავლეთა საწარმოო უნარ-ჩვევების განვითარება და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

პრაქტიკული კვლევის დროს კონკრეტული ცვლილების განხორციელება და სიახლის მიმართ ინტერესი ქმნის ახალი ცოდნის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის სტრატეგიების აღმოჩენის შესაძლებლობას, რაც ემსახურება არა მარტო ინოვაციების დანერგვას, არამედ ხელს უწყობს მოქმედი მასწავლებლის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

განათლების ფსიქოლოგია

ანა ღვინიანიძე

20 | და მაინც, რა მჭირდება? – ძირეული ფსიქიკური მოთხოვნილებების შესახებ

მეტისმეტად მკაცრი შეზღუდვები, ისევე, როგორც შეზღუდვების დანაკლისი, ადამიანებს უნარიანობის განცდის რწმენის გამომუშავებისა და განმტკიცების საშუალებას არ აძლევს, რაც შემდგომში განიცდება როგორც დაუძლეველი ეჭვიანობა საკუთარი უნარიანობის მიმართ.

ქეთევან ოსიაშვილი

31 | როცა ბავშვს უჭირს წაგების მიღება და დამარცხების აღიარება

მოგებისკენ სწრაფვა ნორმალური მოვლენაა ადამიანისთვის. თითოეული ჩვენგანი ესწრაფვის, მიაღწიოს წარმატებას, ყველას უყვარს მოგება. ეს ბუნებრივია და ძალიან კარგიცაა – წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ მივაღწევდით დასახულ მიზნებს ცხოვრებაში, მაგრამ ასევე ბუნებრივია, რომ ვერავინ იქნება ყოველთვის გამარჯვებული ან ყოველთვის დამარცხებული.

ქეთევან კობალაძე

37 | ბავშვები, ვიდეოთამაშები და კონტროლი

ბავშვები/მოზარდები, რომლებსაც ჩაგრავენ, დევნიან სკოლაში ან თემში, უფრო ხშირად ეძებენ ნავსაყუდელს ინტერნეტთამაშებში. ამ სივრცეში მათ შეუძლიათ, გახდნენ ის, რაც რეალურ ცხოვრებაში ვერ გამოუვიდათ. ყველაზე დრამატული კი ის არის, რომ ვიდეოთამაშებშიც ძალიან ადვილია, ბავშვები ბულინგის მსხვერპლნი გახდნენ.



27 შორენა ტყეშელაშვილი
მოსწავლეები და მშობლები დაკარგული დროის ძიებაში

28 დიანა ანფიმიადი
დროის მანქანა: როცა დიდები პატარები იყვნენ

29 ცირა ბარბაქაძე
რა არის ChatGPT? – რესურსი პროფესორებისა და მასწავლებლებისთვის

30 ნასტასია არაბული
კითხვები, რომლებიც ყველა მასწავლებელმა უნდა დასვას ხელოვნური ინტელექტის შესახებ

ნათელა ბაღათრიშვილი

მოსწავლეთა საწარმოო უნარ-ჩვევების განვითარება და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

პრაქტიკული კვლევა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასთან. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი სტატუსის, ასაკისა და სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებლისთვის შინაგან მოთხოვნილებად იქცეს კონკრეტულ კლასსა თუ მოსწავლეთა ჯგუფთან გამოყენებულ პედაგოგიურ მიდგომებსა და მეთოდებზე მუდმივი დაკვირვება, ანალიზი, შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, ალტერნატიული გზების ძიება.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა საქართველოში

საქართველოში, განათლების მიმდინარე რეფორმის პარალელურად, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის კულტურა დაინერგა. 2015-2019 წლების რეგულირების მიხედვით, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა აუცილებელი კომპონენტი იყო წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად. ცხადია, ეს მასწავლებელთა უმრავლესობისთვის რთული აღმოჩნდა. შესაბამისად, ხშირად ისმოდა სკეპტიკური მოსაზრებებიც.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განსახორციელებლად, მასწავლებელთა ცოდნის, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ორგანიზაციამ სწავლებები ჩაატარა. ამასთანავე, საქართველოს უნივერსიტეტების მასწავლებლის მომზადების 300-კრედიტიან და 60-კრედიტიან პროგრამებში მომავალი და მოქმედი მასწავლებლებისთვის ჩაიდო პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის სალექციო კურსი.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მოიცავს განსაზღვრულ ეტაპებს და, იმავდროულად, აქვს ციკლური ხასიათი; მოითხოვს კვლევის ინსტრუმენტების სწორად შერჩევას და მონიტორინგის წარმოებას; შუალედური და დასკვნითი შეფასებების გაკეთებას, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სწავლება გაწერილი იყოს გრძელვადიანი პროგრამის მიხედვით და ერთჯერადი საინფორმაციო შეხვედრის ხასიათს არ ატარებდეს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განათლების კვლევითმა ცენტრმა SALiS საქართველოში, ევროკავშირის პროგრამა ERASMUS+-ის პროექტ ARTiST-ის (Action Research to Innovate Science Teaching & Career Orientation – პრაქტიკული კვლევა საბუნებისმეტყველო განათლების ხელშეწყობისთვის (http://erasmus-artist.eu/; https://salis.iliauni.edu.ge/) განხორციელებით, მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გამოუცხადა საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს.

პროექტის მთავარი მიზანია ბუნებისმეტყველების სწავლების განვითარება და ხელშეწყობა პედაგოგთა საქმიანობის პრაქტიკული კვლევის საფუძველზე: „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების გაუმჯობესება მასწავლებლის მიერ ჩატარებული პრაქტიკული კვლევის დახმარებით“ (https://salis.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2019/05/ARTIST_last-version_gold-for-print_GEO.pdf). პრაქტიკული კვლევა მიზნად ისახავს მასწავლებლის საქმიანობის ციკლურ გაუმჯობესებას კვლევის, რეფლექსიისა და ინოვაციური მიდგომების განვითარების გზით. პრაქტიკული კვლევის დროს კონკრეტული ცვლილების განხორციელება და სიახლის მიმართ ინტერესი ქმნის ახალი ცოდნის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის სტრატეგიების აღმოჩენის შესაძლებლობას, რაც არა მარტო ინოვაციების დანერგვას ემსახურება, არამედ მოქმედი მასწავლებლის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასაც უწყობს ხელს.

პრაქტიკული კვლევის აქტივობების ეფექტიანობის, მოსწავლეთა ინტერესისა და მოტივაციის ამაღლებისა და შედეგების გაუმჯობესების მიზ-

ნით ARTiST-მა „შეიმუშავა უნიკალური მიდგომა, რომელიც უნივერსიტეტებს, სკოლებსა და ინდუსტრიას/მცირე და საშუალო საწარმოებს შორის თანამშრომლობის ქსელის შექმნას გულისხმობს. პროექტში ჩართული თითოეული უმაღლესი სასწავლებელი ქმნის რეგიონულ ქსელს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან უნივერსიტეტები, საშუალო სკოლები და ინდუსტრიის/მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები“ (https://salis.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2019/05/ARTIST_last-version_gold-for-print_GEO.pdf).

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

პროექტ ARTiST-ში საქართველოს სხვა საჯარო და კერძო სკოლებთან ერთად ჩაერთო სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლაც. სამუშაო თემად შერჩეულ იქნა „ყველის წარმოება“ (საწარმო „ცივის ყველი“ (http://www.tsiviskveli.ge/)). დაინერგა სასწავლო პროექტი/მოდული – „სკოლის ლაბორატორიიდან ყველის საწარმომდე“ და ჩამოყალიბდა კვლევითი კითხვა: რამდენად უვითარებს მოსწავლეებს საწარმოო უნარ-ჩვევებს მასწავლებლის მიერ განხორციელებული ქმედებები? თავის მხრივ, კვლევითი კითხვა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს, რომ სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა გამჭოლი კომპეტენციის ჩამოყალიბებას (ესგ, 2018-2024).

პროექტ ARTiST-ის კონცეფციიდან გამომდინარე, სასწავლო მოდულის „სკოლის ლაბორატორიიდან ყველის საწარმომდე“ მთავარი მიზნებია:

1. სკოლას, უნივერსიტეტსა და საწარმოს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარება და ხიდის გადება;
2. მოსწავლეებისთვის კვლევითი, საწარმოო და თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა საბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილებზე;
3. საბუნებისმეტყველო საგნებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაზრდა და მოტივაციის ამაღლება ყველის წარმოებასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებით;
4. საბუნებისმეტყველო გაკვეთილებზე შეძენილი, ყველის წარმოებასთან დაკავშირებული ცოდნის ტრანსფერი სამეწარმეო საქმიანობაში.

მიზნის მისაღწევად განხორციელდა პროექტის კონცეფციის მიხედვით ჩამოყალიბებული 2 ციკლი. როგორც გზამკვლევშია აღწერილი, თითოეული მათგანი მოიცავს 4 ეტაპს:



სურათი 1. პრაქტიკული კვლევის ციკლის მოდელი

პირველ ციკლში განხორციელდა მოსწავლეთა ვიზიტი საწარმოში და პროექტის გაცნობა. მნიშვნელოვან გარემოებად იქნა მიჩნეული რეალური მდგომარეობის შესწავლა. კერძოდ, მოსწავლეებსა და საწარმოს თანამშრომლებს შორის:

1. ყოველდღიურ ცხოვრებაში ან/და სამეწარმეო საქმიანობაში საბუნებისმეტყველო საგნების მნიშვნელობასთან დაკავშირებული შეხედულებებისა და დამოკიდებულებების დადგენა;
2. საწარმოში მუშაობის უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული შეხედულებების დადგენა.

კვლევა ჩატარდა შემდეგი მეთოდოლოგიით:

- ინტერვიუ საწარმოს ხელმძღვანელსა და თანამშრომლებთან;
- არსებული რეალობის SWOT-ანალიზი;
- მოსწავლეთა გამოკითხვა:
  - რაოდენობრივი, კითხვარის[1] მეშვეობით;
  - თვისებრივი, ფოკუსირებული ინტერვიუს მეთოდით.

კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა მოსწავლეთა ცნობიერების დაბალი დონე საბუნებისმეტყველო საგნების ცხოვრებაში გამოყენებასთან დაკავშირებით. მოსწავლეები ვერ აკავშირებენ საბუნებისმეტყველო საგნებს პროფესიებთან. ასევე, გაირკვა, რომ საწარმოს ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს სკოლაში, საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის დროს, არ ჰქონდათ

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განსახორციელებლად, მასწავლებელთა ცოდნის, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ორგანიზაციამ სწავლებები ჩაატარა. ამასთანავე, საქართველოს უნივერსიტეტების მასწავლებლის მომზადების 300-კრედიტიან და 60-კრედიტიან პროგრამებში მომავალი და მოქმედი მასწავლებლებისთვის ჩაიდო პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის სალექციო კურსი.

გააზრებული მიღებული ცოდნის გამოყენების პერსპექტივა. „ამ გადასახედიდან რომ შემეძლოს უკან დაბრუნება, აუცილებლად შევცვლიდი ჩემს მიდგომას საბუნებისმეტყველო საგნების სწავლასთან მიმართებით“, – ამბობს საწარმოს ხელმძღვანელი. მსგავსი შედეგი გვაქვს მოსწავლეებთანაც, რადგან, მათი შეხედულებით, საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლა დაკავშირებულია მხოლოდ სამედიცინო განათლებასთან ან კონკრეტული მეცნიერების – ქიმიის, ფიზიკის ან ბიოლოგიის დაუფლებასთან. კითხვაზე, როგორი ტიპის გაკვეთილებს ისურვებდა, საწარმოს ხელმძღვანელი ერთმნიშვნელოვნად ამბობს: „უნდა იყოს ხელშეკრულება სკოლასა და საწარმოებს შორის, რათა მოსწავლე ადრეული ასაკიდანვე მიეჩვიოს როგორც გონებრივ, ასევე ფიზიკურ შრომას, რა თქმა უნდა, ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით“. საწარმოს თანამშრომლების თვალთახედვით, საწარმოში მუშაობისთვის აუცილებელი თვისებებია შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა, პასუხისმგებლობიანობა, მოხერხებულობა, უსაფრთხოებისა და სუბორდინაციის დაცვა, თვითგანვითარებაზე ზრუნვა. მოსწავლეები კი საწარმოში მუშაობისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად მხოლოდ პროფესიონალიზმს მიიჩნევენ.

კვლევის შედეგებიდან და არსებული რეალობიდან გამომდინარე, დადგინდა მოსწავლეთა საჭიროებები და დაიგეგმა მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებაზე, საბუნებისმეტყველო საგნების მნიშვნელობის გააზრებაზე, ყოფა-ცხოვრებასა და სამეწარმეო საქმიანობაში მათი გამოყენების პერსპექტივის მნიშვნელობაზე ორიენტირებული ეფექტური აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მომავალი პროფესიის არჩევაში და განუვითარებს კვლევით და საწარმოო უნარ-ჩვევებს.

შეიქმნა სასწავლო მოდული შემდეგი აქტივობებით:

- ყველის წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება;
- მოსწავლეთა მიერ საწარმოს მაკეტის შექმნა;
- ყველის შედედებისთვის ოპტიმალური პირობების დადგენა კვლევის გზით სკოლის ლაბორატორიაში;
- ვიზიტი ყველის საწარმოში „ცივის ყველი“, ყველის წარმოების პროცესში მონაწილეობა;
- მოსწავლეთა მიერ ყველის ეტიკეტის დამზადება;
- პრეზენტაცია განხორციელებული ქმედებების შესახებ სკოლის მოსწავლეებსა და საწარმოს წარმომადგენლებთან.

მეორე ციკლი განხორციელდა პირველ ციკლში დაგეგმილი აქტივობების მიხედვით. თითოეული ქმედების პარალელურად მასწავლებელი მუდმივად აწარმოებდა დაკვირვებას. კერძოდ, წარმოებულ იქნა კვლევის დღიური, რომელშიც მასწავლებელი მუდმივად ინიშნავდა დაკვირვების შედეგებს; კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების უნარ-ჩვევების დონის დადგენის მიზნით შეიქმნა კვლევის შეფასების რუბრიკა; ასევე, შეიქმნა საწარმოში პრაქტიკული მუშაობისა და საწარმოო უნარ-ჩვევების შეფასების რუბრიკა. შეფასების რუბრიკების განხილვამ მომცა როგორც შუალედური შეფასების, ისე მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევით მიღებული შედეგების გამყარების შესაძლებლობა.

მეორე ციკლის დასრულების შემდეგ კი განხორციელდა მოსწავლეთა კვლევის მეორე ეტაპი:

- რაოდენობრივი კვლევა, კითხვარის[2] მეშვეობით;
- თვისებრივი კვლევა ფოკუსირებული ინტერვიუს მეთოდით.

კვლევის შედეგების ანალიზი და დისკუსია

ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ მოსწავლეები მეღვინეობას, რძის პროდუქტების გადამუშავებას, სააფთიაქო წარმოებას, არაორგანული და ორგანული სასუქების წარმოებას, სხვადასხვა ტიპის კვლევით ლაბორატორიებს განიხილავენ დასაქმების იმ სფეროდ, სადაც საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნა მნიშვნელოვანია. აშკარაა, რომ ამ მიმართულებით მკვეთრი ცვლილებაა. ისინი თავისუფლად აკავშირებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას სამეწარმეო საქმიანობასთან და საუბრობენ მოდულის დანერგვის პროცესში შესწავლილი მასალის – ყველის წარმოებაში ფერმენტების მნიშვნელობის შესახებ. მათ ლაბორატორიაში ქცევის წესები დაუკავშირეს და შეადარეს საწარმოში ქცევის წესებს. მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ საწარმოში მუშაობით განივითარეს პრაქტიკული უნარები, ქცევის წესებისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის ჩვევა: „პროექტზე მუშაობის დროს ჩამოგვიყალიბდა გუნდური მუშაობის, პრეზენტაციისა

და კომუნიკაციის უნარი, თან ვსწავლობთ და თან ვხალისობთ. საწარმოში ყველას თავისი ფუნქცია აქვს, ჩვენც კარგად მოვირგეთ როლები“. მათ აქვთ მზაობა და სურვილი, მონაწილეობა მიიღონ მსგავს პროექტებში, მაგალითად, გაეცნონ ღვინისა და ხორცპროდუქტების წარმოების ტექნოლოგიას და განახორციელონ ისეთი ქმედებები, რომლებიც პრაქტიკულ მუშაობასთან იქნება დაკავშირებული.

მთავარი ის არის, რომ მოსწავლეებს ინტერესი გაუჩნდათ. ერთი მათგანი აღნიშნავს: „არც მეგონა, რომ ასეთი საინტერესო იქნებოდა“. მოსწავლეებს მიაჩნიათ, რომ ამგვარ პროექტებში მონაწილეობა მათ მომავალი პროფესიების არჩევაში დაეხმარება: „ჩვენ ვეცნობით სხვადასხვა სფეროს და გვიადვილდება პროფესიის შერჩევა, რადგან კარგად ვიგებთ თითოეული პროფესიის საჭიროებებს, მოთხოვნებსა და გამოწვევებს. ვიგებთ არა მარტო წარმოების, არამედ რეკლამირებისა და რეალიზაციის პირობებს. ჩვენი მოლოდინი გამართლდა და იმაზე მეტი მივიღეთ, ვიდრე გვეგონა“.

რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტების – პრე- და პოსტკითხვარების შედარებითმა ანალიზმა მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები აჩვენა. როგორც მეორე დიაგრამაზე ჩანს, პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე მოსწავლეები მიიჩნევდნენ, რომ მასწავლებლის მიერ შეთავაზებული პროექტი ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო როგორც პირადად მათთვის, ისე საზოგადოებისთვის, პროექტის დასრულების შემდეგ კი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პროექტში მონაწილეობამ მათ მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინა.



დიაგრამა 2. პროექტის როლი საბუნებისმეტყველო განათლებაში

მოდულის დანერგვის დასაწყისში მოსწავლეთა დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ პროექტში მათი ჩართულობა და ინტერესი დაბალი იქნებოდა და მხოლოდ მასწავლებლის მითითებებს შეასრულებდნენ, თუმცა პროექტის დასასრულს აღნიშნეს, რომ მოდულის დანერგვის ყოველ ეტაპზე დიდი ინტერესით მუშაობდნენ. უფრო მეტიც: გაუჩნდათ სურვილი, მონაწილეობა მიიღონ სხვა მსგავს პროექტებში. პრე- და პოსტკითხვარების შედარებისას აღმოჩნდა, რომ განხორციელებული ქმედებები მოსწავლეებისთვის სასიამოვნო და საინტერესო იყო. პროექტში მონაწილეობის დროს ისინი მოსალოდნელზე მეტ კმაყოფილებას გრძნობდნენ. (დიაგრამა 2, 3)



დიაგრამა 3. მოსწავლეთა მონაწილეობის სურვილი ახალ პროექტებში



დიაგრამა 4. პროექტში მონაწილეობით მიღებული კმაყოფილება

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები არ იყვნენ შეზღუდულნი მუშაობის პროცესში, თავისუფლად სვამდნენ კითხვებს და გამოთქვამდნენ მოსაზრებებს, რომლებსაც ყოველთვის ითვალისწინებდა მასწავლებელი.

პროექტის დასაწყისში მოსწავლეებისთვის ძნელი წარმოსადგენი იყო კავშირი სამეწარმეო საქმიანობასა და საბუნებისმეტყველო დისციპლინებს შორის. როცა პროექტის არსს ჩასწვდნენ და დაიწყეს აქტივობების განხორციელება, მათ ნათლად დაინახეს მჭიდრო კავშირი და ურთიერთგავლენა საბუნებისმეტყველო საგნებსა და სამეწარმეო საქმიანობას შორის.

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, პროექტის დასაწყისში, განსახორციელებელი პროექტის წარდგენისას, მოსწავლეებმა გაიაზრეს, რომ გაეცნობოდნენ საწარმოში მუშაობის ძირითად პრინციპებს, მაგრამ ნაკლებრეალურად მიიჩნიეს პროექტის ფარგლებში საწარმოო უნარ-ჩვევების დაუფლება-გამომუშავებისა და განვითარების შესაძლებლობა, პროექტის დასრულების შემდეგ კი ყველა მოსწავლე აღნიშნავდა, რომ მათ შეიძინეს საწარმოში, კერძოდ, ყველის საწარმოში მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ეს ცხადად ჩანს მეხუთე დიაგრამაზე.



დიაგრამა 5. მოსწავლეთა შეხედულება – პროექტში მონაწილეობამ განავითარა თუ არა მათი სამეწარმეო უნარ-ჩვევები

მოსწავლეთა შეხედულებები შეიძლება გავამყაროთ კვლევის დღიურში წარმოებული ჩანაწერებისა და მოსწავლეთა მუშაობის შეფასების რუბრიკებით, რომელთა ანალიზის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ:

- მოსწავლეებს აქვთ გარკვეული კვლევითი უნარ-ჩვევები, მუშაობენ გაწერილი ინსტრუქციების მიხედვით, თუმცა უჭირთ კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა;
- მოსწავლეები უხმაუროდ გადაადგილდებიან საწარმოს სხვადასხვა სივრცეში, მუშაობისას ითვალისწინებენ ქცევისა და უსაფრთხოების წესებს, მიჰყვებიან მომუშავე პერსონალის მითითებებსა და ინსტრუქციებს, სპეციალური ხელსაწყოების გამოყენებით დამოუკიდებლად ამზადებენ სხვადასხვა სახეობის, ფორმისა და ზომის ყველს;
- მოსწავლეები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საჭიროების შემთხვევაში კითხვით მიმართავენ უფროსებს, იყენებენ ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

დასკვნა

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში სამეწარმეო და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

მნიშვნელოვანია სკოლის, უნივერსიტეტისა და საწარმოს ერთობლივი, კოორდინირებული პროექტების განხორციელება, რაც ზრდის მოსწავლეთა თავისუფლებას, ინტერესსა და მოტივაციას, ხელს უწყობს გამჭოლი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, სამეწარმეო და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა მიერ მომავალი პროფესიის არჩევაში.

ამასთანავე, პრაქტიკული კვლევა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასთან. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი სტატუსის, ასაკისა და სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებლისთვის შინაგან მოთხოვნილებად იქცეს კონკრეტულ კლასსა თუ მოსწავლეთა ჯგუფთან გამოყენებულ პედაგოგიურ მიდგომებსა და მეთოდებზე მუდმივი დაკვირვება, ანალიზი, შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, ალტერნატიული გზების ძიება.

შენიშვნები:

1 კითხვარი ფორმულირებულია პროექტ PROFILES-ის ფარგლებში, რომელიც ითარგმნა და ქართულ რეალობასთან ადაპტირდა საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრის, SALiS-ის გუნდის მიერ. პროექტ ARTIST-ის შინაარსიდან გამომდინარე, კითხვარმა მცირეოდენი მოდიფიცირება განიცადა ჩემ მიერ.

2 იხ.1

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გზამკვლევი ბუნებისმეტყველების მასწავლებლებისთვის. პრაქტიკული კვლევის სემინარების მომზადება და ჩატარება https://salis.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2019/05/ARTIST_last-version_gold-for-print_GEO.pdf
2. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი
3. http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf
4. ესგ, 2018-2024 http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels

ნინო ლომიძე

მასწავლებლების პროფესიული განვითარება – ხედვა საკლასო ოთახიდან

მასწავლებლების მონდომება – განვითარდნენ, სურვილი – ისწავლონ, რათა უკეთ ასწავლონ, ამოუწურავია. ამის დასტურია ის, რომ არასტაბილურ და ქაოსურ რეფორმებში უცვლელი რჩება სწორედ მასწავლებელთა უმრავლესობის მოტივაცია – გაიუმჯობესონ პროფესიული უნარები.

თვითგანვითარებისთვის, პროფესიული ზრდისთვის, სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად მასწავლებლები შრომობენ სკოლაშიც და სკოლის გარეთაც. ეს ნიშნავს, რომ ისინი პირადი დროის დიდ ნაწილს უშურველად, ხშირად განუსაზღვრელად ახმარენ პროფესიულ საქმიანობას.

თავისუფალ დროს მე და ჩემი კოლეგები ხშირად ვიყენებთ მოსწავლეებზე ზრუნვისთვის, რესურსების მოსამზადებლად, პროფესიული ლიტერატურის საკითხავად. ეს დრო არასდროს ანაზღაურდება და არც საათობრივ ბადეშია გათვლილი.

პროფესიული განვითარების მცდელობები ზოგჯერ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ბუნებრივი შემადგენელია, ზოგჯერ ამის საგანგებო შესაძლებლობა გვიჩნდება და ხელიდან არ ვუშვებთ, ზოგჯერ ეს წინასწარ არის დაგეგმილი.

ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობებიც სათვალავშია მისაღები – ზოგჯერ სახელმწიფო გვიყენებს მოთხოვნებს, ზოგჯერ არაფორმალური განვითარების შესაძლებლობით თავად ვინტერესდებით. აქ შევყოვნდეთ და კვლავ აღვნიშნოთ – მასწავლებელი მიილტვის თვითგანვითარებისკენ და ამას აკეთებს შინაგანი და გარეგანი მოტივაციით, „გულით და გონებით“.

კიდევ რამდენიმე მარტივი ჭეშმარიტება

მასწავლებელი სკოლის საყრდენია, განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლი და საგანმანათლებლო მიზნების განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ მასწავლებელი სათანადოდ იქნება მომზადებული, თუ მიიღებს სათანადო მხარდაჭერას პროფესიული ზრდისთვის, ღირსეულ სამუშაო პირობებს, ღირსეულ ანაზღაურებას.

უდავოა, **რომ** მაღალი სასწავლო სტანდარტის უზრუნველყოფას მხოლოდ მომზადებული და მხარდაჭერილი მასწავლებელი შეძლებს.

როდესაც სისტემა მასწავლებელს საცდელი კურდღლის მდგომარეობაში აყენებს ან დაუსრულებლად ცდის, ამტკიცებინებს მას, რომ ამ საპატიო წოდების „ღირსია“, როდესაც მასწავლებელს გამუდმებით უწევს დოკუმენტაციის წარმოება ამის დასადასტურებლად, მას ნაკლები დრო რჩება მოსწავლისთვის. როდესაც ბიუროკრატია, ცენტრალიზებული, სტანდარტიზებული მოთხოვნები მძლავრობს, როდესაც სწორედ აქეთ მიემართება მასწავლებლის ენერგია და სასიცოცხლო ძალები, მოსწავლე რჩება ქაღალდებს მიღმა.

თვითგანვითარებისთვის, პროფესიული ზრდისთვის, სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად მასწავლებლები შრომობენ სკოლაშიც და სკოლის გარეთაც. ეს ნიშნავს, რომ ისინი პირადი დროის დიდ ნაწილს უშურველად, ხშირად განუსაზღვრელად ახმარენ პროფესიულ საქმიანობას.

ამაზე ბევრი ჩემი კოლეგა წუხს. ერთმანეთთან გულახდილი საუბრისას ამას ხშირად აღვნიშნავთ.

მასწავლებელი მხოლოდ მაშინ შეძლებს მოსწავლეებისთვის საუკეთესო თვისებებისა და უნარების გადაცემას, თუ თავად იქნება სწავლის ჟინით, უწყვეტი განათლების მიღებით დაინტერესებული.

უწყვეტი განვითარება მნიშვნელოვანია, თუ მასწავლებელს სურს, ფეხი აუწყოს დროს. პრაქტიკის გადახედვა, განახლება, კოლეგების გამოცდილების გაზიარება, საკუთარი გამოცდილების გაზიარება სხვებისთვის პროფესიის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს.

ეს უნდა იყოს არა ერთჯერადი ფორმალური კონფერენციები, საიდანაც მაქსიმუმი, რის წამოღებასაც მასწავლებლები შეძლებენ, ჩანაწერები და თეზისებია, არამედ თანამშრომლობის ცოცხალი პროცესი. არა ტრენინგები და სულის შემხუთველი ონლაინ შეხვედრები, რომლებიც ძირითადად მასწავლებლების პირადი დროის ხარჯზე ინიშნება, მათი ძილისა და დასვენების ხარჯზე, არამედ სასიამოვნო, განმავითარებელი, დასამახსოვრებელი, შთამაგონებელი შეხვედრები, სადაც კი არ ცდიან ან მოძღვრავენ, არამედ უზიარებენ. ერთმანეთს უზიარებენ.

რა ავითარებს მასწავლებელს? რა ეხმარება მას პროფესიული უნარების დახვეწაში? თვითგანვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში? რა უწყობს ხელს პროფესიულ განვითარებას?

სეგრეგაცია? მასწავლებლების დაყოფა-დანაწევრება? სხვადასხვა სტატუსის მოსაპოვებლად შესავსები დოკუმენტაცია ან ამ დოკუმენტაციის ჯეროვნად წარმოებაში გაწაფვა? სტანდარტიზებულ სქემაში ჩართვა? სახელფასო დანამატი? მაკონტროლებელი მექანიზმების შემუშავება – კონტროლი და შეცდომების აღმოჩენა-დიაგნოსტირება? ონლაინ ტრენინგები?

მოქმედი პროფესიონალისთვის სამი ძირითადი მიმართულება იკვეთება[1]:

1. პირდაპირი სწავლა-სწავლება – კონფერენციები, კურსები, საკონსულტაციო ფორმატი, ვორკშოპები – პროფესიონალები ასწავლიან ერთმანეთს და სწავლობენ ერთმანეთისგან;
2. სკოლაში ურთიერთთანამშრომლობა – ურთიერთდასწრება, კათედრების

მასწავლებელი მხოლოდ მაშინ შეძლებს საუკეთესო უნარების განვითარებას, გადაცემას და საუკეთესო ცვლილებების განხორციელებას პროფესიაში, ქვეყანაში, თუ თავად ექნება უწყვეტი, მუდმივი განვითარების, თვითგანვითარების მოტივაცია.

ქმედითი (და არა ფორმალური) საქმიანობა, **მიმართული პროცესისკენ და არა ქაღალდთწარმოებისკენ,** მუდმივი შეკრებები, სადაც პედაგოგიურ და მეთოდურ საკითხებზე მსჯელობენ;

3. სკოლისა და პარტნიორების ურთიერთობა – სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონდეს პარტნიორული-საგანმანათლებლო ურთიერთობა სასკოლო საზოგადოების მიღმა მდგარ ინსტიტუტებთან: პროფსასწავლებლებთან, უნივერსიტეტებთან, კვლევით ორგანიზაციებთან, არაფორმალური და ფორმალური განათლების ორგანიზაციებთან. ეს ურთიერთობა ერთჯერადი ტრენინგებითა და კონტროლით კი არ უნდა შემოიფარგლებოდეს, არამედ ცოცხალი სამუშაო პროცესი უნდა იყოს.

ამას აუცილებლად და საგანგებოდ უნდა დაემატოს სწავლება საკლასო ოთახში – მოსწავლეებთან თანამშრომლობა, მათი ხმის გაგონება, მათთან ერთად სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მათი მონაწილეობითა და ორგანიზებით. თუ დააკვირდებით, სკოლაში მოზარდი დღეს მეტწილად პასიური მიმღებია იმისა, რასაც სთავაზობენ და თუმცაღა თვითმმართველობა ფორმალურად არსებობს, მოსწავლეს იშვიათად უსმენენ.

ისევ და ისევ, ენთუზიასტი, საუკეთესო მასწავლებლების მიერ განხორციელებული პროექტების წყალობით კი ვხედავთ აქა-იქ ამის მაგალითებს, მაგრამ ესეც მეტწილად ინდივიდუალური და კერძო შემთხვევებია, უფრო – გამონაკლისები. და ეს კარგი მასწავლებლები ამბობენ: – მოსწავლეებისგან ვისწავლეთ; მოსწავლეებისგან და მათთან ერთად ვსწავლობთ და ვქმნით!

ჩვენ დღეს ვასწავლით მუდმივად და სწრაფად ცვალებად სამყაროში. მასწავლებელი მხოლოდ მაშინ შეძლებს საუკეთესო უნარების განვითარებას, გადაცემას და საუკეთესო ცვლილებების განხორციელებას პროფესიაში, ქვეყანაში, თუ თავად ექნება უწყვეტი, მუდმივი განვითარების, თვითგანვითარების მოტივაცია.

ეს მოტივაცია მასწავლებლებს აქვთ. სისტემის პირდაპირი პასუხისმგებლობა და ვალდებულება ამ იმპულსების მოფრთხილება და ხელშეწყობაა.

შენიშვნები:

1 Developing Teachers – The Challenges of Lifelong Learning, Chris Day, 2002

მაია ჯალიაშვილი

მიზანი
და რეალობა

თანამედროვეობაში, ისტორიასა თუ ლიტერატურაში ცნობილ ადამიანთა ბევრი შთამაგონებელი მაგალითი არსებობს. მასწავლებლის ამოცანა ის კი არ არის, მოსწავლეს მიზანი აარჩევინოს, არამედ ის, რომ, საზოგადოდ, მიზნის არსის გაგებაში დაეხმაროს, რათა მოზარდმა დამოუკიდებლად, თავისი გადასახედიდან განსაზღვროს და წარმოიდგინოს საკუთარი თავი მომავალში.

მიზნის დასახვა და მისთვის საჭირო ძალისხმევა ყველასთვის მნიშვნელოვანია, მათ შორის – მასწავლებლისა და მოსწავლისთვისაც. ცხოვრებას თავისი გამოცდილება მოაქვს და პედაგოგსაც გარკვევით შეუძლია სამომავლო მიზნების წარმოდგენა, შესაძლებლობების გათვალისწინება, პირადი თუ საზოგადო კეთილდღეობისთვის მიზნის ღირებულების განსაზღვრა. რაც შეეხება მოსწავლეს, აქ გაცილებით რთულად არის საქმე. მოზარდი ჯერ იმაში უნდა გაერკვიოს, საერთოდ საჭიროა თუ არა მიზნის დასახვა, მერე კი უამრავ სურვილსა და ოცნებას შორის რაციონალური და თავისი უნარების შესაბამისი გამოარჩიოს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლემ შეიძლება ხშირად გადაუხვიოს გზიდან, აღარ აინტერესებდეს მიზანი, რომელიც ასე იტაცებდა, აღარ მოსწონდეს ამა თუ იმ მიზეზით, თუნდაც ოჯახის წევრების ან მეგობრების გავლენით.

თანამედროვეობაში, ისტორიასა თუ ლიტერატურაში ცნობილ ადამიანთა ბევრი შთამაგონებელი მაგალითი არსებობს. მასწავლებლის ამოცანა ის კი არ არის, მოსწავლეს მიზანი აარჩევინოს, არამედ ის, რომ, საზოგადოდ, მიზნის არსის გაგებაში დაეხმაროს, რათა მოზარდმა დამოუკიდებლად, თავისი გადასახედიდან განსაზღვროს და წარმოიდგინოს საკუთარი თავი მომავალში.

მიზანთა მრავალფეროვნებას ხშირად განსაზღვრავს მოსწავლის ბუნება, უნარები, ოცნებები, ამიტომ ნუ შეგვეშინდება, თუ მოზარდს, ერთი შეხედვით, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მიზნები აქვს. შესაძლოა, მათ შორის ფარული კავშირიც იყოს. ადამიანს გარკვეული დრო სჭირდება იმაში გასარკვევად, რა უნდა. ზოგჯერ – მთელი ცხოვრებაც კი. მთავარია, არავინ დაკარგოს რამისკენ სწრაფვის სურვილი. თანამედროვე სამყარო თავისი ყოველდღიური ნეგატიური ინფორმაციის ნაკადით ხომ ასეთი პესიმისტურია. სკოლამ და მასწავლებელმა თითოეულ ბავშვს ცხოვრებისეული ოპტიმიზმის ისეთი ფუნდამენტი უნდა შეუქმნან, რომელსაც ვერანაირი ხიფათი და დაბრკოლება ვერ შეარყევს. სახარებისეული პრინციპი, რომ ქარი ვერაფერს დააკლებს კლდეზე დაშენებულ სახლს, აქაც უნივერსალური კანონზომიერებით მოქმედებს.

მიზნის ხანმოკლეობა თუ ხანგრძლივობა მისსავე ტიპზე იქნება დამოკიდებული. მთავარია, პედაგოგმა ასწავლოს მოზარდს, როგორ შეხედოს ყველა რჩევას კრიტიკული თვალით და საკუთარი არჩევანი გააკეთოს. ამის თაობაზე ძალიან საინტერესოდ და სიღრმისეულად მსჯელობს ცნობილი ქართველი მწერალი ჯემალ ქარჩხაძე, რომელიც დამახასიათებელი გონებამახვილობით შენიშნავს: „ქვა მოწყდება კლდეს და ხევში ჩავარდება. მიზანი მიღწეულია. მაგრამ ვისი, ქვის? ხევის? გრავიტაციის? თუ სულ სხვა რამის, რაც ქვაც არის, ხევიც და გრავიტაციაც? თუ მაინცდამაინც, ისეთი მიზანი უნდა დაისახოთ, რომელსაც ვერ მიაღწევთ. წამება კია, მაგრამ სამაგიეროდ რწმენაცაა. მე, მაგალითად, ძალიან მომწონს მრავალკუთხედის მიზანი, კუთხეების უსასრულო გაორკეცებით იქცეს წრეხაზად“ (ჯემალ ქარჩხაძე, „მდგმური“). ამავე რომანში მთხრობელს თავისი მეგობრის ისტორია მოჰყავს. თავდაპირველად ეს იყო ლაღი, ოხუნჯი, მოღიმარი ახალგაზრდა.

ერთხელ მან თავისი მიზნები ახსენა, რომლებიც უბის წიგნაკში ჰქონდა ჩამოწერილი: „1. საშუალო სკოლა ოქროს მედლით. 2. უმაღლესი სასწავლებელი წითელი დიპლომით. 3. ასპირანტურა. 4. საკანდიდატო ხარისხი (ამ ეტაპის გასწვრივ ფრჩხილებში ეწერა „26 წ.“, რაც იმას ნიშნავდა, რომ საკანდიდატო ხარისხი 26 წლისას უნდა დაეცვა). 5. სადოქტორო ხარისხი (30 წ.). 6. პროფესორის წოდება (32 წ.)“. გავიდა წლები და მან მართლაც მიაღწია ყველა მიზანს, მაგრამ უკვე სულ დაღვრემილი დადიოდა. როგორც ქარჩხაძე წერს, წარმოუდგენელი იყო ღიმილის ასე დავიწყება თუ დაკარგვა, რადგან: „ღიმილი ხომ ჯიბის ფარანია, ბნელ ღამეში ყოველ წუთს შეიძლება დაგჭირდეს“.

კარნახევი, რომლებსაც საზოგადოება მიიჩნევდა წარმატების საზომად. მას ოჯახსა თუ სკოლაში ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს, „ასწავლეს“, რომ მხოლოდ ასეთი გზა აქცევდა ღირსეულ, პატივსაცემ ადამიანად. სტერეოტიპებისგან თავის დაღწევა კი ძნელი საქმეა. ეს მხოლოდ კრიტიკული აზროვნებით არის შესაძლებელი და სკოლის მიზანი სწორედ ის უნდა იყოს, რომ მოსწავლემ კრიტიკულად იაზროვნოს.

საზოგადოების შეხედულებები დროთა განმავლობაში იცვლება და ბედნიერების განმსაზღვრელი ახალი სტერეოტიპები ჩნდება. პედაგოგის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ მოსწავლეს სტერეოტიპების ტყვეობიდან თავის

მოთხრობილი ამბიდან მნიშვნელოვანია ის დასკვნა, რომ ადამიანს მიზნის მიღწევა უნდა აბედნიერებდეს. ეს მაშინ მოხდება, თუ მისი მიზანი ბედნიერების შესახებ საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპულ წარმოდგენაზე არ იქნება დაფუძნებული. ამ ახალგაზრდას კი სწორედ ეს დაემართა, წლები შეალია იმ მიზნების აღსრულებას, რომლებიც სხვების მიერ იყო ნა-

დახსნის გზები ასწავლოს, რაც მარტივი ამოცანა არ არის. ეს გულისხმობს, უპირველესად, თავისუფალი აზროვნების უნარს, რომელიც თანდათან ვითარდება ადამიანში და შესაძლებლობას აძლევს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არა დაუფიქრებლად და იმპულსურად, არამედ ფიქრის, განსჯისა და აწონ-დაწონის შემდეგ მიიღოს.

მიზანთა მრავალფეროვნებას ხშირად განსაზღვრავს მოსწავლის ბუნება, უნარები, ოცნებები, ამიტომ ნუ შეგვეშინდება, თუ მოზარდს, ერთი შეხედვით, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მიზნები აქვს. შესაძლოა, მათ შორის ფარული კავშირიც იყოს. ადამიანს გარკვეული დრო სჭირდება იმაში გასარკვევად, რა უნდა. ზოგჯერ – მთელი ცხოვრებაც კი. მთავარია, არავინ დაკარგოს რამისკენ სწრაფვის სურვილი.

სკოლაში უნდა ისწავლოს მოსწავლემ, რა მიზანი უნდა დაისახოს, რომ პიროვნულად განვითარდეს, დაძლიოს ესა თუ ის პრობლემა. ეს მის აზროვნებასაც ხელს შეუწყობს, უფრო სწრაფი, მოქნილი და მრავალფეროვანი გახდეს. ცნობილი ამერიკელი მწერალი ტონი რობინსი წერს: „მიზნის დასახვა – ეს არის პირველი ნაბიჯი უხილავის ხილულად გადასაქცევად“. თავის წიგნებსა და გამოსვლებში ის მკითხველსა და მსმენელს შთააგონებს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ცვლილებებისთვის მიზნების სწორად და საკუთარი მისწრაფებების შესაბამისად დასახვას. მწერალს მიაჩნია, რომ მთავარი ის კი არ არის, დასახულ მიზანს მიაღწიო, არამედ ის, როგორ განვითარდები ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე. ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილ ლექსში „მერანი“ სწორედ მიზნისკენ მიმავალ გზაზე ვხედავთ ლირიკულ გმირს, რომელიც ფიქრობს, განსჯის, „ებრძვის“ არა მხოლოდ გარე სამყაროს, არამედ საკუთარ თავსაც, რათა სულიერი მეტამორფოზა განიცადოს. ამიტომაც არის, რომ ისეთ ირაციონალურ მიზანს, როგორიც „ბედის საზღვრის გადალახვაა“, იგი ოპტიმისტურად უყურებს, ფიქრობს, რომ თუნდაც დამარცხდეს, მისი გამოცდილება სხვას გამოადგება: „მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“.

მიზანი იგივე გზაა. სწორედ ამას ეუბნება ბორხესის ნოველა „პარაცელსუსის ვარდის“ ბრძენი პერსონაჟი შეგირდს. „გზები, რომლებსაც ვირჩევთ“, როგორც ო. ჰენრი იტყოდა, ადამიანის ბედნიერებისა თუ უბედურების განმსაზღვრელია. გამარჯვება და დამარცხება, დაცემა და წამოდგომა, რომლებიც ყოველი გზის, არჩევანის, გადაწყვეტილების თანმხლებია, უნდა განვიხილოთ როგორც აღმართ-დაღმართები. მათ გარეშე ცხოვრება მრავალფეროვნებას დაკარგავდა. ისიც ხომ ცნობილია, რომ ცხოვრებაში „დაღმართი უფრო მეტი შეიძლება შეგხვდეს, ვიდრე აღმართი“ (გურამ დოჩანაშვილი).

მნიშვნელოვანია ისეთი თემის განხილვაც, როგორიცაა „მიზანი ამართლებს საშუალებას“. მოსწავლე თავიდანვე უნდა მიეჩვიოს იმას, რომ მიზნისკენ მიმავალ გზაზე ისეთი საშუალებები შეარჩიოს, რომლებიც არ გასცდება ეთიკის საზღვრებს, არ შეურაცხყოფს, ღირსებას არ შეულახავს, ზიანს არ მიაყენებს სხვას.

სტეფანია ტორო, პედაგოგი და განათლების ექსპერტი, თავის წერილში „როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს აკადემიური მიზნების დასახვაში“, ამ თემის საგულისხმო ანალიზთან ერთად მნიშვნელოვან რჩევებსაც გვთავაზობს. მისი სავსებით მართებული შენიშვნით, ბევრ მოსწავლეს წარმოდგენა არ აქვს იმ ინსტრუმენტებსა და სტრატეგიებზე, რომლებიც აუცილებელია აკადემიური მიზნების დასასახავად, სასწავლო პროცესში ცვლილებების შესატანად და ამ მიზნების მისაღწევად. მასწავლებელს შეუძლია შექმნას ჩარჩო, რათა მოსწავლეს ისეთი აკადემიური მიზნების დასახვაში დაეხმაროს, რომლებიც იქნება რეალისტური, სასწავლო ამოცანების შესაბამისი და პოტენციურად მისაღწევი.

მიზნების დასახვა არ არის ის აქტივობა, რომელიც მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში უნდა

ხორციელდებოდეს – ეს უნდა იყოს მუდმივად მიმდინარე პროცესის ნაწილი.

მნიშვნელოვანია სტეფანია ტოროს მეორე თვალსაზრისიც: აკადემიური მიზნების დასახვა პირველი ნაბიჯია იმისკენ, რომ მოსწავლემ კარგად გაიაზროს სწავლის პროცესში საკუთარი როლი, თვითონ იყოს მისი წარმმართველი. ესე იგი, არა მხოლოდ მასწავლებლის მეგზურობით გაიაზროს, რას და როგორ ისწავლის ნაბიჯ-ნაბიჯ (თუმცა, რა თქმა უნდა, ესეც მნიშვნელოვანია), არამედ თვითონვე მიიღოს ამის დაგეგმვაში მონაწილეობა.

საზოგადოდ, მიზნების დასახვა მოსწავლეთა პიროვნული ზრდისა და განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია რამდენიმე მიზეზის გამო:

- ყველა მოსწავლეს ინდივიდუალური, კონკრეტული საჭიროებები აქვს და მიზნებიც ამის შესაბამისი უნდა იყოს;
- მიზნები გააძლიერებს სასწავლო პროცესში ჩართულობას;
- მიზნები გახდება ახალი იდეების შთამაგონებელი;
- მიზნები აამაღლებს მოსწავლის მოტივაციას;
- გამოუმუშავებს მოსწავლეს დისციპლინას;
- მიაჩვევს დროის მართვას;
- ჩამოუყალიბებს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას;
- მოსწავლეს უჩნდება განცდა, რომ ანგარიშვალდებულია არა მხოლოდ მასწავლებლის, არამედ საკუთარი თავის წინაშეც;
- ეს უბიძგებს, კარგად გაერკვიოს, რა უნდა, რატომ და რისთვის;
- მიზნის დასახვა მოსწავლეს მისი შესრულების გზების ძიების პროცესში შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებასაც მიაჩვევს.

ძალიან კარგი იქნება, თუ მოსწავლე მიეჩვევა რვეულში ყოველდღიური ან ყოველკვირეული მიზნების ჩაწერას. მაგალითად, როდესაც ყოველდღიურ მიზანს ან მიზნებს ჩამოწერს, იქვე უნდა მიაწეროს მათი მიღწევის გეგმაც, დღის ბოლოს კი გადაამოწმოს და ჩაინიშნოს, როგორ მიაღწია მიზანს, რამ შეუწყო ან შეუშალა ხელი დაგეგმილი ნაბიჯების გადადგმას, რა უკეთესი გზა მოიფიქრა, რა შეასწორა და შეცვალა. ეს ანალიზი კვირის ბოლოს უკეთესად წარმოაჩენს, რომელმა სტრატეგიამ გაამართლა და რომელმა – არა.

მასწავლებელს შეუძლია, დაუსვას მოსწავლეს ისეთი კითხვები, რომლებიც მას რეფლექსიაში დაეხმარება, მაგალითად:

- რას ფიქრობს მთელი კვირისთვის დასახულ მიზნებზე? იყო თუ არა რეალისტური და სასწავლო ამოცანებისთვის შესაფერისი?
- მიიყვანა თუ არა ამ მიზნებმა სასწავლო უნარების განვითარებამდე ან ცოდნის გამრავალფეროვნებამდე?
- როგორ მიაღწია მიზანს? ჰქონდა თუ არა დასახული მისკენ მიმავალი ზუსტი და რეალური ნაბიჯები?
- რა წარმატებას მიაღწია ერთი კვირის განმავლობაში?
- რა ხერხებით, რა მეთოდებით შეუძლია გააუმჯობესოს მიზნის მისაღწევი გზები?
- რა საკითხები მოითხოვს მეტ ყურადღებას?
- რომელი ნაბიჯი შეიძლება გადაედგა სხვანაირად?
- როგორ შეიძლება დაეხმაროს მას მასწავლებელი ან რომელიმე თანატოლი?

ამგვარი ჩანაწერები შესაძლოა მოსწავლისთვის ერთგვარ მოტივაციადაც იქცეს და თავისი შემოქმედებითი უნარების შესახებ მეტის გაგებაში, აღმოჩენაში დაეხმაროს. ჩანაწერები სამოქმედო რუკის ფუნქციასაც გასწევს და მოზარდს დამოუკიდებელ მუშაობას მიაჩვევს. თავისუფლად მოქმედება კი მას საკუთარი თავით კმაყოფილებას მოჰგვრის და სწავლის პროცესიც სიამოვნებას მიანიჭებს, რადგან ყველაფერს საკუთარი არჩევანის მიხედვით დაგეგმავს. ეს იქნება მოგზაურობა მიზნების სამყაროში, რაც ყოველდღიურობასაც საინტერესო თავგადასავლად გადააქცევს. თანდათან ეს მოსწავლეს ჩვევაში გადაეზრდება და სწავლის პროცესს თვითონვე გააკონტროლებს.

მაია ფირჩხაძე

„ბედნიერი გაკვეთილები“ ხარისხიანი განათლებისთვის

ბედნიერების სწავლების მეთოდს საფუძვლად დაედო პოზიტიური ფსიქოლოგია. ეს არის მიდგომა ადამიანის აზრების, გრძნობებისა და ქცევის კორექციისთვის სისუსტეების ნაცვლად ძლიერ მხარეებზე ფოკუსირებით, ცუდის გამოსწორების ნაცვლად კარგზე აქცენტირებით.

ბედნიერი საკლასო გარემოს შექმნა ბევრი მასწავლებლის საერთო მიზანია. XXI საუკუნის დამდეგს, განსაკუთრებით – 2007-2008 წლიდან, ბრიტანულ და გერმანულ სკოლებში „ბედნიერების გაკვეთილებიც“ კი შემოიღეს. საგანმანათლებლო სისტემის მიმართ ასეთი მიდგომა დღეს უკვე ფართოდ არის გავრცელებული, თუმცა თავის დროზე ის, ფორმატიდან გამომდინარე, საკმაოდ ინოვაციური იყო.

ბედნიერების სწავლების მეთოდს საფუძვლად დაედო პოზიტიური ფსიქოლოგია. ეს არის მიდგომა ადამიანის აზრების, გრძნობებისა და ქცევის კორექციისთვის სისუსტეების ნაცვლად ძლიერ მხარეებზე ფოკუსირებით, ცუდის გამოსწორების ნაცვლად კარგზე აქცენტირებით. ეს არის „მეცნიერული შესწავლა იმისა, თუ რა ხდის ცხოვრებას ყველაზე ღირებულს“. პოზიტიური ფსიქოლოგიის ფუძემდებელია მარტინ სელიგმანი. მისმა „დასწავლილი უმწეობის“ თეორიამ (XX ს-ის 60-70-იანი წლები) დიდი გავლენა მოახდინა განათლების მეცნიერების განვითარებაზე.

პოზიტიურმა ფსიქოლოგიამ, რომელიც, თავის მხრივ, ევროპული პედაგოგიკის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის მიღწევებს ეყრდნობა, საფუძველი ჩაუყარა ქოუჩინგს, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა სწავლებისა და ურთიერთობის პოზიტიური პრინციპების გამოყენებას ცხოვრების ყველა სხვა სფეროში.

აღნიშნული მეთოდისთვის ექსპერიმენტულ ბაზად შეარჩიეს ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საშუალო სკოლა – ველინგტონის კოლეჯი. კოლეჯი 1853 წელს დაარსდა და სახელი დაერქვა ჰერცოგ ველინგტონის პატივსაცემად, რომელმაც ვატერლოოს ბრძოლაში ნაპოლეონი დაამარცხა. ამ „სასკოლო რევოლუციაში“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კოლეჯის დირექტორმა, ცნობილმა ბრიტანელმა ისტორიკოსმა ენტონი სელდონმა. მალე ერნსტ ფრიც-შუბერტმა (გერმანელი პედაგოგი, მის მიერვე დაარსებული ფრიც-შუბერტის ინსტიტუტის ხელმძღვანელი) სკოლის სასწავლო გეგმაშიც კი შეიტანა საგანი „ბედნიერება“ იმ მოსაზრებით, რომ მოსწავლეებს უნდა უხაროდეთ გაკვეთილები, ისინი მხოლოდ სასწავლო მიზნების მისაღწევად არ უნდა დადიოდნენ სკოლაში, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ამისთვის არ უნდა არსებობდეს სკოლა. „ბედნიერების გაკვეთილებმა“ პოპულარობა მოიპოვა იტალიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში...

რატომ გახდა ეს საკითხი ასეთი მნიშვნელოვანი თანამედროვე განათლებაში?

- როგორც ცნობილია, მოსწავლეთა ემოციური კეთილდღეობა პირდაპირ გავლენას ახდენს მათ სასწავლო გამოცდილებასა და აკადემიურ წარმატებაზე, რადგან ბედნიერი მოსწავლეები უფრო მოტივირებული არიან, მეტ კითხვას სვამენ, უფრო აქტიურად სწავლობენ, რაც ხელს უწყობს ახალი კონცეფციებისა და იდეების შესწავლას.
- დადებითი ემოციები კოგნიტიური ფუნქციონირების

გაუმჯობესებასთანაც არის დაკავშირებული. ბედნიერი მოსწავლის ტვინი უფრო მგრძნობიარეა ინფორმაციის გადამუშავებისა და შენარჩუნების მიმართ, რაც იწვევს უკეთ აღქმასა და დამახსოვრებას.

- ბედნიერების განცდა მეხსიერების ძლიერი სტიმულატორია, რადგან იწვევს ასოციაციური ვიზუალური ხატების შექმნას და ამით ხელს უწყობს მასალის ათვისებას.
- ბედნიერი საკლასო გარემო ხელს უწყობს სტრესის, შფოთვის შემცირებას, მოსწავლეები თავს დაცულად გრძნობენ, რაც მათ საშუალებას აძლევს, უფრო მეტად გაამახვილონ ყურადღება სწავლაზე.
- ბედნიერება ავითარებს შემოქმედებითობას და ხელს უწყობს კრიტიკული და კრეატიული აზროვნების განვითარებას, ინოვაციურ გადაწყვეტილებებს.
- ბედნიერება ააქტიურებს მოსწავლის ემოციურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ ზრდას, პიროვნულ განვითარებას, პოზიტიური სასკოლო და საკლასო კულტურის ჩამოყალიბებას.
- სწავლაში ბედნიერების განცდა მოსწავლეს უწყვეტი განათლებისკენ უბიძგებს.

მაგრამ როგორ გამოიწვიოს მასწავლებელმა ასეთი განცდები? რა გააკეთოს ამისთვის?

ექსპერიმენტული კვლევების შედეგად გამოიყო მიდგომები, რომლებიც ხელს უწყობს გაკვეთილებზე ბედნიერი ატმოსფეროს შექმნას, მაგალითად:

- **მოსწავლესა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობის გაზრდა.** რეალური მხარდაჭერის მიღება მოსწავლეს მასალის უკეთ გაგებაში ეხმარება. ამით **საკლასო ოთახში იქმნება „ბედნიერების ტერიტორია“** და მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ თქვენთან ყოველთვის შეუძლიათ იპოვონ მხარდაჭერა, რომ თქვენ გვერდით ყოველთვის დაცულები იქნებიან. ჩვენს ცხოვრებაში ისე არაფერი უწყობს ხელს ბედნიერების განცდას, როგორც **ადამიანებთან კარგი ურთიერთობა;**
- **გარდა სასკოლო დავალებისა მოსწავლეებს ჰქონდეთ სხვადასხვა საკითხზე საუბრის (სოციალური ქცევა) საშუალება.** საჭიროა ყოველდღიურად რამდენიმე წუთი თანაკლასელებთან კომუნიკაციისა და ჯანსაღი ურთიერთობისთვის;
- **თვითშემეცნებაზე, საკუთარი თავის გაგებაზე ორიენტირებული გაკვეთილების ჩატარება.** შეუძლებელია საკუთარი პოტენციალის რეალიზება, თუ არ იცი, ვინ ხარ;
- ცნობილია, რომ ბედნიერების თანმხლებია **სიმშვიდე და წესრიგი.** ამის მისაღწევად ეფექტური სტრატეგიაა **შუქნიშნის გამოყენება.** შუქნიშნის პრინციპს ნებისმიერი სკოლის ნებისმიერი მოსწავლე იცნობს, ამიტომ ადვილად შეიძლება შეთანხმდნენ

როგორც ცნობილია, მოსწავლეთა ემოციური კეთილდღეობა პირდაპირ გავლენას ახდენს მათ სასწავლო გამოცდილებასა და აკადემიურ წარმატებაზე, რადგან ბედნიერი მოსწავლეები უფრო მოტივირებული არიან, მეტ კითხვას სვამენ, უფრო აქტიურად სწავლობენ, რაც ხელს უწყობს ახალი კონცეფციებისა და იდეების შესწავლას.

სიმბოლურ მნიშვნელობებზე: წითელი შუქი – ლაპარაკობს მხოლოდ მასწავლებელი ან სრულდება ინდივიდუალური დავალება; ყვითელი შუქი – კომუნიკაცია და მოსწავლის პასუხი (ამ დროს მასწავლებელს არ აქვს უფლება, შეაჩეროს მოსწავლე); მწვანე შუქი – წყვილებში ან გუნდური მუშაობა. ეს არის კომუნიკაციის რეალური თავისუფლება. დისციპლინის მართვა გაადვილდება, თუ მასწავლებლები თავად არ დავივიწყებთ ამ მიდგომას;

- **კომფორტული მუშაობისთვის ეფექტურია „წერილობითი თანხმობა“.** შედგენილი სია თვალსაჩინო ადგილზე განთავსდება, წესებს კი არავინ დაარღვევს (მაგალითად, არ დაიყვირებს). ეს გაკვეთილზე კომფორტულ, უსაფრთხო გარემოს შექმნის. წესებში მითითებულია „სასჯელიც“, რომელიც შეიძლება მასწავლებელსაც დაეკისროს და მოსწავლესაც იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ არ იქნება მომზადებული გაკვეთილისთვის (მაგალითად, თუ მასწავლებელი აღმოჩნდა ასეთ სიტუაციაში, მან მოსწავლეებს უნდა მისცეს საშუალება, თავისუფლად გამოიყენონ საგაკვეთილო დრო);
- **დააჯილდოვეთ** თუნდაც მცირე წარმატებისთვის, მოუსმინეთ მათ დადებით ემოციებს, როგორ იხსენებენ მეგობრებთან გატარებულ დროს. თქვენიც უამბეთ. ისინი ბაძავენ მასწავლებლებს და მიბაძავენ გახსნილობაში, გულწრფელობასა და კეთილგანწყობაშიც;
- **სხვადასხვა ფორმატის,** მრავალფეროვანი გაკვეთილები, სათამაშო ტექნოლოგიების, Kahoot, Quizizz და სხვა აპლიკაციების გამოყენება უბიძგებს მოსწავლეებს, მოიძიონ პასუხები მასწავლებლის კითხვებზე ინტერნეტში, წიგნებში, ტექსტებში, სურათებში და ა.შ.
- **„ცხოვრებისეული მაგალითების“ მოყვანა, მიზნების დასახვისა და რეფლექსიის სწავლება** ძალიან დაეხმარება მოსწავლეებს იმის გაგებაში, რაში სჭირდებათ სკოლა. ამისთვის ნებისმიერი თემის გავლის დროს შეიძლება შევარჩიოთ ნათელი და მარტივი მაგალითები, თუნდაც „როგორ აპირებთ კონკურსში გამარჯვებას, თუ მოწინააღმდეგის სტრატეგიაში სუსტი წერტილი ვერ იპოვეთ? მოდი, გავარკვიოთ, როგორ გააკეთა ეს ნაპოლეონმა“ და ა.შ. დააფიქრეთ მოსწავლეები, რა გააკეთეს მიზნის მისაღწევად. აქტიურად ჩართეთ რეფლექსიის ტექნიკაც: ესე, საბორტო ჟურნალი, წერილობითი ინტერვიუ, სინქვეინი, დაასრულე წინადადება, „პლუს-მინუს-საინტერესო“, „კომპლიმენტი“ და სხვ. მნიშვნელოვანია ორმხრივი მრგვალი მაგიდის გამოყენებაც.
- **საშინაო დავალება ფიქრისკენ უნდა უბიძგებდეს მოსწავლეს.** მაგალითად, ისტორიასა და ლიტერატურაში:
  - დიდი ზომის ტექსტების დამუშავებისას აქტიურად შევთავაზოთ ტექსტის რუკა, გეოგრაფიული რუკის დახატვაც კი: სად იყო მთავარი მოქმედი პირი, ვისთან ურთიერთობდა და ა.შ.;
  - უძველესი ადამიანის შესახებ აბზაცის გამეორების ნაცვლად შევთავაზოთ მასზე ზღაპრის მოფიქრება;
  - ვიმუშაოთ „ხუთი პრინციპით“. მაგალითად, შევთავაზოთ ეპოქისთვის დამახასიათებელი სამუშაო და საბრძოლო იარაღების, ცხოვრების წესის აღწერა, ხელოვ-

„ორმხრივი მრგვალი მაგიდა“

მის ჩასატარებლად საჭიროა მოსწავლეთა ორი ჯგუფი. **პირველი ქმნის „შიგნითა“ წრეს, რომლის წევრები თავისუფლად გამოთქვამენ აზრს განსახილველ საკითხებზე.** აქ საჭიროა, მოსწავლეები კი არ გავაკრიტიკოთ, არამედ მკაფიოდ და ზუსტად გავაცნოთ ჩვენი აზრი. **მეორე ჯგუფის წევრები („გარეგანი წრე“) დააფიქსირებს პირველი ჯგუფის ძირითად აზრს და დაურთავს საკუთარ კომენტარებს და კითხვებს.** კომენტარი უნდა შეეხებოდეს განსახილველ საკითხს, შიდა ჯგუფის საქმიანობას, წარმოდგენილ პოზიციებს და მსგავს სიტუაციებს.

მუშაობისას „შიდა წრის“ წევრებმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრებები, რომლებიც აზრობრივად დაკავშირებული იქნება წინა გამომსვლელებთან. მასწავლებელი მხოლოდ სამუშაოს კოორდინაციას ახორციელებს, არ ერევა საუბრის შინაარსში, საჭირო ჩარჩოში წარმართავს დიალოგს, აფიქსირებს სხვადასხვა მოსაზრებას. როდესაც „შიდა წრე“ მუშაობას დაამთავრებს, მასწავლებელი შესთავაზებს „გარეთა წრეს“, მონაწილეობა მიიღოს განხილვაში. „გარეთა წრის“ წევრებიც იმავე წესებით მუშაობენ, როგორითაც „შიდა წრისა“; მუშაობის დასასრულს მასწავლებელი მონაწილეებს სთხოვს, ზეპირად ან წერილობით ჩამოთვალონ შედეგები, რის შემდეგაც გააცნობს მათ თავის შენიშვნებსა და კომენტარებს.

ნების დეტალების გამოყოფა, კაცობრიობის ისტორიაში მათი მნიშვნელობის აღწერა;

- შეადგინეთ ერთი საშინაო დავალება ორივე საგნისთვის, მაგალითად: „როგორ აისახა ისტორიული მოვლენა ლიტერატურულ ნაწარმოებში?“, „რა გავლენა მოახდინა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე? მოიყვანე მტკიცებულებები“;
- დაარქვით გაკვეთილებს „ისტორია და ბედნიერება“; „ქართული და ბედნიერება“, ინტეგრირებულ გაკვეთილებს – „ისტორია, ლიტერატურა და ბედნიერება“... ასეთი სათაურები შეიძლება სამუშაო ფორმატის ორიენტირებად იქცეს.

შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი მიდგომები, პოზიტიური და საინტერესო სასწავლო გარემოს შექმნა, მოსწავლეებზე გულწრფელი ზრუნვა, მათი ინტერესების გაგება, მათი ძლიერი მხარეების აქცენტირება, სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, მოსწავლეთა ინდივიდუალური დინამიკის გათვალისწინება, რელევანტური დავალებები, პრაქტიკული პროექტები და ინტერაქციული თამაშები, ინტეგრირებული ტექნოლოგიური ინსტრუმენტები და რესურსები, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესებსა და უნარებს შეესაბამება, მოსწავლეთა აღიარება და ქება, მკაფიო ინსტრუქციები, რომლებიც ამცირებს იმედგაცრუებას და დაბნეულობას, იუმორი, თავისუფალი არჩევანი, დავალებებში მოსწავლეთა ჰობისა და ინტერესების გათვალისწინება, კომფორტული ფიზიკური გარემო, მეგობრული, თანამშრომლობითი სივრცე ნამდვილად უწყობს ხელს ბედნიერი გარემოს შექმნას.

ჩავატაროთ „ბედნიერების მომნიჭებელი გაკვეთილები“, ვასწავლოთ ბავშვებს საქმისადმი სერიოზული მიდგომა და ამ გზით სასკოლო განათლებასაც ხარისხობრივად განსხვავებულ საფეხურზე ავიყვანთ.



ანა ღვინიანიძე

და მაინც, რა მჭირდება? – ძირეული ფსიქიკური მოთხოვნილებების შესახებ

შესაძლოა, ჩემი შვილისგან განსხვავებული მუსიკალური გემოვნება მქონდეს – განსაკუთრებით, თუ ჩემი შვილი და მე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს მივეკუთვნებით – თუმცა ჩემი იმედგაცრუების მართვა შემიძლია და ჩემი შვილისადმი კეთილგანწყობილი ცნობისმოყვარეობის გამოვლენა. თუ დავსვამ მარტივ კითხვას: „რატომ შეიძლება ეს მუსიკალური ჟანრი მოსწონდეს ჩემს შვილს?" – შეიძლება უამრავი ამაღელვებელი რამ აღმოვაჩინო მის შინაგან მდგომარეობებზე.

„რა გინდა?" – ზოგჯერ სასოწარკვეთითაც კი მიახლი საკუთარ თავს ამ კითხვას. მშობლებსაც და სხვა აღმზრდელებსაც – დროდადრო უომედოდ და მარცხის განცდით, დანებებულებს – აღმოხდებათ ეს კითხვა. საკუთარი თავის და ერთმანეთის ბევრი მიზეზის გამო არ გვესმის. იქნებ, პირველ რიგში, იმის გამო, რომ რაც *გვჭირდება*, ახირებებად და დაჟინებულ სურვილებად მიგვაჩნია, ხოლო რაც *გვინდა* და *რაც დაგვიჟინებია* – მოთხოვნილებებად ვთვლით?

რა გვჭირდება?

სქემაზე ფოკუსირებული კოგნიტური თერაპიის[1] თანახმად, ჩვენს ქცევებს რამდენიმე ძირეული ფსიქიკური მოთხოვნილება ამოძრავებს. სწორედ ისინი წარმოადგენენ ქცევების წარმმართველს, ხოლო მათი დაკმაყოფილება ქცევის საბოლოო მიზანია. განსხვავებების მიუხედავად, სწორედ ეს მოთხოვნილებები გვამსგავსებს ერთმანეთს. ისინი ზოგადადამიანური მოთხოვნილებებია, რომლებიც ყველა ადამიანს აქვს და რომელთა დაკმაყოფილებისკენ, როგორც წესი, თითოეული ჩვენგანი ისწრაფვის.

- უსაფრთხოება, უვნებლობა, დაცულობა (Safety);
- განჭვრეტადობა, წინასწარმეტყველებადობა (Stability);
- საზრდოობა (Nurturance);
- დამოუკიდებლობა (Autonomy);
- უნარიანობის განცდა (Competence);
- იდენტობის განცდა (Sense of Identity);
- მოთხოვნილებებისა და ემოციების გამოხატვის თავისუფლება (Freedom to express one's needs and emotions);
- სპონტანურობა და თამაში (Spontaneity and play);
- სამყარო რეალისტური შეზღუდვებით (World with realistic limits) – (Rafaeli, Bernstein, Young, 2011).[2]

უსაფრთხოება, უვნებლობა, დაცულობა (SAFETY)

უსაფრთხოების, უვნებლობისა და დაცულობის განცდის უზრუნველყოფა, პირველ რიგში, *მიჯაჭვულობის მოთხოვნილების* დაკმაყოფილებას ეფუძნება.

მიჯაჭვულობის მოთხოვნილება წარმოადგენს ჩვენი ხანგრძლივი უსუსურობისა და სხვაზე სრულად დამოკიდებულების მოთხოვნილების შედეგს. ადამიანი ხანგრძლივი დროის მანძილზე, ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, დამოკიდებულია მზრუნველ პირსა და მის *მგრძნობიარობაზე*, ანუ, იმის უნარზე, თუ რამდენად *ზუსტად* შეუძლია სიტყვებით ჯერ კიდევ შეუიარაღებელი, პატარა არსების მინიშნებების სწორად ცნობა და მათთან შესატყვისად გამოხმაურება.

უსაფრთხოების, უვნებლობისა და დაცულობის განცდა მზრუნველი პირის „გადამდები" სიმშვიდისა და იმ სიხარულის შედეგია, რომ შენ არსებობ და მე, როგორც შენზე მზრუნველი *ხშირად*

სიხარულით ვეხმაურები შენს მოთხოვნილებებს და, შესაბამისად, შენს არსებობას. ჩემი სასიცოცხლო ძალა და ძალისხმევა შენკენაა მომართული და სხვა საზრუნავები შენზე ზრუნვაში ხელს არ მიშლის. მსგავსი დამოკიდებულების შედეგია სასურველობისა და მიკუთვნების განცდაც: **ვიცი, რომ მელიან და მიმიხარია მასთან, ვინც მელის, როგორც სასურველს.**

სასურველობის განცდის გაშინაგნებასთან ერთად, ვრწმუნდები იმაში, რომ ჩემი მოთხოვნილებების გამოხატვა მისაღებია: რადგან განვითარების ადრეულ საფეხურზე ჩემზე მზრუნველი პირი *თანმიმდევრულად* ეხმაურებოდა ჩემს მოთხოვნილებებს, მჯერა, რომ ისინი მნიშვნელოვანია და ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე განცდილ უარს გაცილებით მედგრად ვიღებ. რაც მთავარია, შემიძლია, განვშორდე ისეთ გარემოს – მათ შორის, ურთიერთობებს – რომელიც ჩემს მოთხოვნილებებს *დამაკმაყოფილებლად* არ ეხმაურება.

დამაკმაყოფილებლად გამოხმაურება არ ნიშნავს, რომ ჩემზე მზრუნველი პირი ან შემდგომში ჩემთვის უახლოესი ადამიანები – შეყვარებული, მეუღლე, მეგობრები და ა. შ. – ყოველთვის უზადოდ უნდა ეხმაურებოდნენ ჩემს მოთხოვნილებებს.

ზოგიერთი კვლევის თანახმად, განსაზღვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის კავშირის დამყარების მცდელობების 60-70%-თან, ხოლო ზოგიერთის მიხედვით, 30-40% -თან *შესატყვისად* გამოხმაურებაც კი უსაფრთხოებისა და მიკუთვნების განცდის საფუძველს ქმნის.

მთავარი კი ძალისხმევის განცდაა: შენი *სურვილი* და *მცდელობა*, ზუსტად გაგეგო ჩემთვის და გამომხმაურებოდი.

განჭვრეტადობა, წინასწარმეტყველებადობა (STABILITY)

რამდენად *თანმიმდევრულად* ეხმაურებოდი ჩემს მოთხოვნილებებს? – შესაძლოა, ბევრ ადამიანს ამ კითხვის ჩამოყალიბება არ შეუძლია, თუმცა მათი ქცევები ამ კითხვის დასმის ტოლფასია. მეგულებოდი თუ არა როგორც მზრუნველი პირი, რომლის ქცევების *განჭვრეტაც* შესაძლებელი იყო? ანუ მეგულებოდი თუ არა, როგორც ადამიანი, რომელიც *საკმაოდ ხშირად* და *შესატყვისად* ეხმაურება ჩემს მოთხოვნილებებს? შემეძლო დაგყრდნობოდი, თუ განუსაზღვრელი იყო, რა შემთხვევაში როგორ გამომეხმაურებოდი? იქნებ ერთი და იმავე მოთხოვნილებების გამოხატვის მცდელობას, ძირითადად, სხვადასხვაგვარად ეხმაურებოდი – ზოგჯერ გულისხმიერებით, ზოგჯერ, შეიძლება – მტრულადაც კი, ხოლო ზოგჯერ – უგულებელმყოფი სიჩუმით? რა ვისწავლე სხვაზე დამოკიდებულებასთან დაკავშირებით? ის, რომ სხვაზე დამოკიდებულება შეიძლება, როდესაც მჭირდება, თუ ის, რომ სხვა არასაიმედო და მყიფეა? რა ვისწავლე ირგვლივმყოფებთან დაკავშირებით? ის, რომ ირგვლივმყოფები, *ძირითადად*, სანდოები არიან, თუ იმედგამაცრუებლები და არაწინასწარმეტყველებადები?

საზრდოობა (NURTURANCE)

მასაზრდოებელი დამოკიდებულების მოთხოვნილება წარმოადგენს *გულისხმიერი მზერის, კეთილგანწყობილი ცნობისმოყვარეობის* მოთხოვნილებას: თითოეულ ჩვენგანს დროდადრო მაინც სურს, მისი შინაგანი, ფსიქიკური სამყარო მეორე ადამიანისათვის მისაწვდომი იყოს. თუმცა თავად ამ მოთხოვნილებისადმი როგორ განვეწყობით, იმაზეცაა დამოკიდებული, რა შედეგები მოჰყვებოდა ჩვენდამი ცნობისმოყვარეობას. თუ ჩვენდამი ცნობისმოყვარეობას ჩვენი დარცხვენა მოჰყვებოდა, სავარაუდოდ, ვისწავლეთ, რომ ჩვენი შინაგანი მდგომარეობების გაზიარებას მტკივნეული შედეგები მოჰყვება და ჩვენსა და ჩვენს მზრუნველ პირს შორის კავშირს საფრთხე ექმნება. შესაბამისად, **ბევრი ადამიანი საკუთარი შინაგანი მდგომარეობების გამოხატვისგან თავშეკავების სანაცვლოდ, მიკუთვნების განცდის უზრუნველყოფას ცდილობს, რადგან მისი მცდელობებისკენ მიმართული იყო არა მასაზრდოებელი, არამედ, პირიქით, დამთრგუნველი დამოკიდებულება.**

დამოუკიდებლობა (AUTONOMY)

მშობლებისათვის გამოწვევებით დატვირთული ხანა მათსა და შვილებს შორის ურთიერთობაში შვილის მიერ დამოუკიდებლობისა და განცალკევების სურვილის სხვადასხვა სახით გაცხადებაა. მას შემდეგ, რაც მეტად დამოუკიდებლად შეგვიძლია მოძრაობა და გადაადგილება, ვლინდება



მეტისმეტად მკაცრი შეზღუდვები, ისევე, როგორც შეზღუდვების დანაკლისი, ადამიანებს უნარიანობის განცდის რწმენის გამომუშავებისა და განმტკიცების საშუალებას არ აძლევს რაც შემდგომში განიცდება, როგორც დაუძლეველი ეჭვიანობა საკუთარი უნარიანობის მიმართ.

მშობლებისგან ნაბიჯ-ნაბიჯ განცალკევების სურვილი. განვითარების ამ საფეხურზე ჩვენი წარმოდგენები ჩვენსავე შესაძლებლობებზე მეტისმეტად აღმატებულია, რადგან ჯერ ისევ გვწამს, რომ ჩვენი სურვილები *უპირობოდ* უნდა ასრულდეს. თუმცა, რა თქმა უნდა, გარესამყარო ზოგჯერ სულაც არაა განწყობილი ჩვენს სურვილებთან *უპირობოდ* გამოხმაურებისათვის.

მზრუნველი პირების წინაშე ახალი ამოცანაა: მათგან, შეძლებისამებრ უსაფრთხოდ განცალკევების საფუძველზე, ვისწავლოთ საკუთარი მოთხოვნილებების დამოუკიდებლად დაკმაყოფილება. განცალკევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, აღვიჭურვოთ შინაგანი მდგომარეობებისა და გამოცდილებების, განცდების აღმწერი მდიდარი და ზუსტი სიტყვებით, რომლებიც მომავალში ჩვენი მოთხოვნილებების გამოხატვის უნარის განვითარება-დახვეწის საშუალებას მოგვცემს.

უნარიანობის განცდა (COMPETENCE)

ადამიანებს გვჭირდება, ვიცოდეთ, რომ ცხოვრებისეულ გამოწვევებთან გამკლავება შეგვიძლია. უნარიანობის განცდა რწმენაზე დაფუძნებული ცოდნაა: *„მე შემიძლია, დავძლიო ყოველდღიური გამოწვევები და ვმართო საკუთარი შინაგანი მდგომარეობები. ჩემთვის ჩემი შინაგანი სამყარო საშიში არაა, მე მას ასე თუ ისე ვიცნობ და ვიცი, როგორ ვიურთიერთო საკუთარ თავთან და სხვებთან. ვიცი, როგორ გავუმკლავდე სირთულეებს და, ასევე, შემიძლია, დახმარებისა და მხარდაჭერისთვის მივმართო სხვა ადამიანებს, რადგან* ***მჯერა,*** *რომ ადამიანები, როგორც წესი, მოინდომებენ ჩემს მხარდაჭერას. შემიძლია, ვისწავლო“.*

უნარიანობის განცდის მქონე ადამიანები ატარებენ რწმენას: *„მეგულება, როგორც საკუთარი თავი, ასევე სხვები. სანდო ვარ და სხვებიც სანდოები არიან“.*

იდენტობის განცდა (SENSE OF IDENTITY)

ვინ ვარ მე?

როგორც წესი, განცალკევება-დამოუკიდებლობის საფეხური იმასაც მოიაზრებს, რომ გავარკვიო: *რა მსიამოვნებს და რა არის ჩემთვის უსიამოვნო? რასთან ვგრძნობ კავშირს? რა აღძრავს ჩემში ცნობისმოყვარეობას და რატომ? რისკენ ვილტვი და რატომ?*

შესაძლოა, როგორც მშობელს, მინდოდეს, რომ საქმიანობა, რომელიც ჩემში ცნობისმოყვარეობას აღძრავს, ჩემს შვილშიც ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი იყოს და თუ ეს ასე არ არის, ჩემთვის იმედგამაცრუებელი აღმოჩნდეს.

შესაძლოა, ჩემი შვილისგან განსხვავებული მუსიკალური გემოვნება მქონდეს – განსაკუთრებით, თუ ჩემი შვილი და მე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს მივეკუთვნებით – თუმცა ჩემი იმედგაცრუების მართვა შემიძლია და ჩემი შვილისადმი კეთილგანწყობილი ცნობისმოყვარეობის გამოვლენა. თუ დავსვამ მარტივ კითხვას: „რატომ შეიძლება ეს მუსიკალური ჟანრი მოსწონდეს ჩემს შვილს?“ – შეიძლება უამრავი ამაღელვებელი რამ აღმოვაჩინო მის შინაგან მდგომარეობებზე. ეს ასევე ქმნის მასზე ძალდაუტანებელი ზემოქმედების შესაძლებლობას, მშობლის გემოვნებაზე საუბრის სივრცეს და ურთიერთქმედების საშუალებასაც: „მე გულწრფელად მაღელვებს, რაც შენ გაღელვებს და იქნებ შენთვისაც ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი იყოს, რასაც მე გაცნობ?“

დროთა მანძილზე კითხვაზე – „ვინ ვარ მე?“ – გაცემული პასუხები იცვლება.

საკუთარ თავზე ხისტი წარმოდგენები შეგუებაში ისეთივე ხელის შემშლელია, როგორც სწრაფად ცვალებადი წარმოდგენები საკუთარ თავზე.

იმისათვის, რომ ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე ამ კითხვას *სარწმუნო* პასუხები გავცე, სასურველია, ბავშვობიდან საგზლად გამომატანო განცდა: *„შენ ჩემგან განსხვავდები, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს მივეკუთვნებით“.*

მოთხოვნილებებისა და ემოციების გამოხატვის თავისუფლება (FREEDOM TO EXPRESS ONE'S NEEDS AND EMOTIONS)

ადამიანი, როგორც არსება, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა ხარისხითაა დამოკიდებული სხვა ადამიანებთან კავშირზე საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, იმთავითვე ატარებს საკუთარი შინაგანი მდგომარეობების გამოხატვის მოთხოვნილებას.

ხშირად ადამიანები საკუთარი შინაგანი მდგომარეობებისა და მოთხოვნილებების გამოხატვისგან უკიდურეს თავშეკავებას ირჩევენ, რადგან ამას ბავშვობაში შეიძლებოდა მზრუნველ პირთან ურთიერთობის განუსაზღვრელი დროით შეზღუდვა მოჰყოლოდა.

სპონტანურობა და თამაში (SPONTANEITY AND PLAY)

თამაში და დაუგეგმავობა უსაფრთხოების განცდის შედეგს წარმოადგენს: მე შემიძლია, მოვდუნდე და გაფაციცებული არ ვაყურადებდე გარემოს, არ მივუდგე გარემოს *ყოველთვის* წინასწარგანზრახული და დაგეგმილი ნაბიჯებით, რადგან შემიძლია მოულოდნელობებთან დაკავშირებული განცდების მართვა. მოულოდნელობები ჩემთვის აუცილებლად უსიამოვნო კი არ არის, არამედ სასიამოვნო აღმოჩენებთანაა დაკავშირებული.

სამყარო რეალისტური შეზღუდვებით (WORLD WITH REALISTIC LIMITS)

კავშირზე დამყარებული აღზრდა, ამავდროულად, ბავშვისთვის შეზღუდვების გათვალისწინების სწავლებას მოიცავს. ადამიანები, რომელთაც ბავშვობაში არ ასწავლეს, რომ *ყოველთვის* და *ყველგან*ისე ვერ მოიქცევიან, როგორც მათ სურთ, მოგვიანებით შეგუების სირთულეებს განიცდიან და მშობლებთან გამოუთქმელი საყვედური აკავშირებთ: *„სინამდვილეში გზააბნეული ვიყავი და შენ მჭირდებოდი, რომ თავი დაკვალიანებულად მეგრძნო“.*

მეტისმეტად მკაცრი შეზღუდვები, ისევე, როგორც შეზღუდვების დანაკლისი, ადამიანებს უნარიანობის განცდის რწმენის გამომუშავებისა და განმტკიცების საშუალებას არ აძლევს, რაც შემდგომში განიცდება, როგორც დაუძლეველი ეჭვიანობა საკუთარი უნარიანობის მიმართ.

ბევრი ისურვებდა, რომ მათი მოთხოვნილებები არა ახირებებად ან სურვილებად შერაცხულიყო, არამედ იმად, რისი ასე თუ ისე დაკმაყოფილებაც *გვჭირდება* იმისათვის, რომ ჯანმრთელ, როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე სხვებისთვის კეთილდღეობის მომტან ადამიანებად ჩამოვყალიბდეთ.

შენიშვნები:

1 სქემაზე ფოკუსირებული კოგნიტური თერაპია (Schema Focused Cognitive Therapy) – ფსიქოთერაპიული მიდგომა, რომელიც ადამიანის აწმყოში მიმდინარე სირთულეების ან ხანგრძლივი დროის მანძილზე უწყვეტად გამოვლენილი, ჩვეული, დამაზიანებელი, შეგუებაში ხელის შემშლელი, არაჯანსაღი ქცევების მართვის მიზნით, იყენებს ადამიანის ადრეული განვითარების საფეხურზე (0-5 წლამდე ასაკი) განცდილი დამაზიანებელი გამოცდილებების გახსენების, მათი ხელახლა განცდისა და სხვა სახის მიდგომებს იმისათვის, რომ ადამიანმა, პირველ რიგში, ძირეული მოთხოვნილებების არსებობა მიიღოს და მოაწესრიგოს როგორც საკუთარ თავთან, ასევე ირგვლივმყოფებთან, საქმიანობებთან და სხვა, მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ გამოცდილებებთან მიმართება.

2 Young J. E., Klosko J. S. and Weishaar M. E. (2006). Schema Therapy: Conceptual Model in Schema Therapy: A Practitioner's Guide, (1-63), New York: Guilford Press.

თინათინ ზარდიაშვილი

ნაადრევი ქორწინების საფრთხე

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა იმდენად მოქნილია, რომ მასწავლებელს შეუძლია, საკითხი როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მიმართულებითაც დაამუშაოს. პროექტის შესრულება შესაძლებელია როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე.

24 ნოემბერი, დილის შვიდი საათი. „ქალაქ X-ში 13 წლის გოგომ შვილი გააჩინა“.

დილა ასეთი შემაშფოთებელი ამბით რომ დაიწყება, კარგად როგორ უნდა გაგრძელდეს!

თუმცა სკოლაში, მეათე კლასში, ბიჭებისა და გოგოებისთვის დაბეჭდილი ბროშურები რომ დავინახე, თანაც მერხებზე ფორმალურად კი არ ელაგა, კითხულობდნენ კიდეც, იმედი მომეცა. ინფორმაცია სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებს ეხებოდა. ეს ის თემებია, რომლებზეც მოზარდები მშობლებთან ვერ საუბრობენ, დამრიგებელთანაც იშვიათად თუ იტყვიან რამეს. საბედნიეროდ, მეცხრე კლასის ბიოლოგიისა და მოქალაქეობის სტანდარტი მოიცავს ნაადრევ ქორწინებასა და სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებთან დაკავშირებულ საკითხებს.

მიმაჩნია, რომ საუბარს ალტერნატივა არ აქვს. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა იმდენად მოქნილია, რომ მასწავლებელს შეუძლია, საკითხი როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მიმართულებითაც დაამუშაოს. პროექტის შესრულება შესაძლებელია როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე.

წერილში გთავაზობთ მეათეკლასელების – ანასა და მარიამის – მოსაზრებებს. ანა „ჰერა XXI-ის“ თანასწორ-განმანათლებელი აქტივისტი, მოხალისე, თბილისის ახალგაზრდული ჯგუფის ლიდერია, მარიამი კი – ახალგაზრდული ლიდერი, სკოლის კლუბ „იდეაფიქსის“ წევრი. ისინი, უბრალოდ, აქტიური მოქალაქეები არიან. საუბრისას აქცენტს მასწავლებლისა და სკოლის უმნიშვნელოვანეს როლზე სვამენ. გთავაზობთ მათ მოსაზრებებს ნაადრევ ქორწინებასა და მისი თავიდან აცილების გზებზე:

1. რა შემთხვევაში ითვლება ქორწინება ნაადრევად?

მარიამი: კანონით, ქორწინება ნაადრევად 18 წლამდე ითვლება, მაგრამ ვფიქრობ, ვიდრე მზად არ იქნება ადამიანი ფსიქოლოგიურად, ემოციურად და ფიზიკურად, ქორწინება მაინც ნაადრევია.

ანა: ქორწინება ნაადრევად ითვლება მაშინ, როდესაც წყვილიდან ერთ-ერთი მაინც არის სრულწლოვანების ასაკს მიუღწეველი. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ახალგაზრდა არასრულწლოვანია 18 წლამდე.

2. რა საფრთხეს უქმნის მოზარდს – გოგოს, ბიჭს – ნაადრევი ქორწინება?

ანა: ნაადრევი ქორწინება, გარდა იმისა, რომ ფიზიკურ ჯანმრთელობას ანადგურებს, შესაძლოა, უფრო დიდ ზიანს აყენებდეს ფსიქიკას, რადგან ახალგაზრდა ადამიანის გონება არ არის სრულად ჩამოყალიბებული და ხშირად, ჩვენდა უნებურად, ვუშვებთ შეცდომებს. ნაადრევად დაქორწინებულ ახალგაზრდას უწევს, დატოვოს სასწავლებელი, რაც შემდგომში უმაღლესი განათლების მიღებას შეუშლის ხელს, ეს კი პირდაპირ აისახება მის მომავალ საქმიანობაზე, შემოსავლის წყაროზე. ის პირდაპირ დამოკიდებული

ადამიანი ხდება, რადგან მომავალში ვერ შეძლებს, თავად დაფაროს ხარჯები. ვერ გაერთობა თანატოლებთან, რადგან ეყოლება ოჯახი, რომლის ყოლასაც თან სდევს უამრავი მოვალეობა. ვერ რეალიზდება გარემოში, მით უმეტეს, თუ ნაადრევად გახდება მშობელი და კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას აიღებს.

მარიამი: ნაადრევი ქორწინება როგორც ფიზიკურ, ისე მორალურ ზიანს აყენებს ორივე სქესის ადამიანს. შესაძლოა, ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნათ, ასევე ვეღარ შეძლონ განათლების მიღება და, შესაბამისად, სამსახურის შოვნაც.

3. რა შეიძლება გახდეს ნაადრევი ქორწინების მიზეზი?

ანა: ნაადრევ ქორწინებას ბევრი მიზეზი აქვს. მიზეზებს შორისაა სიღარიბე და დაბალი სოციალური სტატუსი (გათხოვება როგორც გამოსავალი). ზოგჯერ ფიქრობენ, რომ თუ ნაადრევად იქორწინებენ შედარებით მდიდარ ადამიანზე, უფრო ბედნიერები იქნებიან. ხშირად ნაადრევ ქორწინებაში ხედავენ გამოსავალს და სოციალურ სივრცეში ვრცელდება „სახალისო“ პოსტები, – თუ შეიძლება, ამას სახალისო ეწოდოს, – რომლებშიც ეროვნული გამოცდის ვერჩაბარების შემთხვევაში გამოსავლად წარმოჩენილია თეთრი კაბა და ფატა. უფრო სერიოზული მიზეზებიც არსებობს, მაგალითად, ინფორმაციის ნაკლებობა. მოზარდებმა უბრალოდ არ იციან, რა რისკის ქვეშ დგებიან, როდესაც ამ ასაკში ქორწინდებიან. ვერ გაიაზრებენ, რა დიდ პასუხისმგებლობას იღებენ, როდესაც ოჯახსა და შვილებზე ბედნიერები საუბრობენ. თუმცა ერთია, როდესაც თავად გსურს ქორწინება და ფიქრობ, რომ სამუდამოდ იპოვე ცხოვრების მიჯნური და უარესია, როდესაც ვინმე გაძალებს ქორწინებას. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ და როგორ ცდილობს შენს ნაადრევად დაქორწინებას – იმოქმედე, ილაპარაკე და აუცილებლად გამოჩნდება ადამიანი, რომელიც დაგეხმარება.

მარიამი: ნაადრევი ქორწინების მიზეზი შეიძლება იყოს ზეწოლა ოჯახის ან პარტნიორის მხრიდან, ინფორმაციის უქონლობა, განათლების დაბალი დონე.

პირველ რიგში, უნდა მოვწყდეთ ფორმალურ გარემოს და თავი ვიგრძნოთ ერთ სივრცეში, თანატოლებად. შევთავაზოთ მოსწავლეებს ახალი აქტივობები, თუნდაც ის, რომ ერთი გაკვეთილი წრეზე ისხდნენ და არა მერხთან. დავანახოთ, რომ ჩვენ ნამდვილად გვესმის და ვცდილობთ მათ დახმარებას.

4. რა პრევენციული ღონისძიებების გატარება შეუძლიათ სკოლას, მასწავლებელს და მშობელს ნაადრევი ქორწინების თავიდან ასაცილებლად?

მარიამი: მოზარდის ინფორმირება და პრობლემაზე ღიად საუბრის შესაძლებლობის მიცემა.

ანა: პრევენციის მრავალი გზა არსებობს. სკოლამ უნდა წაახალისოს აქტივობები, სადაც ამ თემებზე ღიად საუბრობენ; მოუწოდოს მასწავლებლებს, რომ ამ თემებზე ისაუბრონ და გულდასმით განიხილონ ისინი. თუ შენ, მასწავლებელმა, შეამჩნიე მსგავსი ფაქტი, დაიწყე ღიად საუბარი ნაადრევი ქორწინების ცუდ მხარეებზე, ნუ დაასახელებ დაზარალებულ ახალგაზრდას, ზოგადად ილაპარაკე ამ თემებზე და არ აგრძნობინო მოსწავლეს, რომ მას გულისხმობ. თემები, რომლებიც ბიოლოგიის წიგნში გვხვდება, გულდასმით გაიარე და თუ ვინმე გააპროტესტებს, აუხსენი, რომ ეს ყველა ადამიანისთვის ბუნებრივი მოვლენაა, რომ, ადრე თუ გვიან, ყველა განიცდის გარდატეხას. მშობლებისთვის ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანია, მართოთ ემოცია, არ იყოთ მეტისმეტად მკაცრი, არ აჰყვეთ საზოგადოების აზრს და ჭორებს. თქვენი შვილი ყველაზე დაუცველია და ერთადერთი მტკიცე საყრდენი მისთვის თქვენ ხართ. მიეცით საშუალება, დაგეყრდნოთ. მოუსმინეთ და თუ საჭირო გახდა, სხვა უწყებებიც ჩარიეთ საქმეში, რათა მოძალადე დაისაჯოს. თუ ნებაყოფლობით გადაწყვიტა თქვენმა შვილმა ქორწინება, ბუნებრივია, გაბრაზდებით. აჩვენეთ გაბრაზება, მაგრამ ისე, რომ მომავალში, სხვა პრობლემის შემთხვევაში, არ შეეშინდეს თქვენთან მოსვლისა და პრობლემის გაზიარების. ამ მომენტში ყველაზე ძნელი ემოციის მოთოკვაა, მაგრამ უნდა ეცადოთ, შვილს სწორი დამოკიდებულება აჩვენოთ.

5. რა დამოკიდებულება აქვთ შენს თანატოლებს ნაადრევი ქორწინების მიმართ?

ანა: ჩემი თანატოლები, საბედნიეროდ, ჯანსაღად ეკიდებიან საკითხს და კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ნაადრევ ქორწინებას. ჩვენს თაობას ეს აქვს ძალიან დადებითი. არ ვუშინდებით ინფორმაციის მიღება-გაცემას და ერთმანეთის დახმარებას ვცდილობთ. ვცდილობთ, ვიპოვოთ სწორი დამოკიდებულება და მას მივყვეთ ბოლომდე. როდესაც ამ თემებზე ვსაუბრობთ, ყველა ამბობს, რომ ნაადრევად დაქორწინება ცუდია, მომავლის დანგრევის ტოლფასია და მე ძალიან მსიამოვნებს ამის მოსმენა, რადგან ვხვდები, რომ ჩემს თემში ახალგაზრდების 90% არ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას.

მარიამი: ვფიქრობ, იციან, რამდენად დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ნაადრევ ქორწინებას, მაგრამ ზოგს მაინც მიაჩნია, რომ ნორმაა და ამით არაფერი შავდება.

6. როგორ შეიძლება, მიიღოს ახალგაზრდამ ინფორმაცია მსგავსი საკითხების შესახებ?

ანა: დღეს ადვილია, შენთვის საინტერესო თემაზე ინფორმაცია მიიღო, მაგრამ ამას თან სდევს სირთულეებიც. შესაძლოა, ახალგაზრდამ სოციალურ ქსელში წაიკითხოს ყალბი ინფორმაცია და ვერ გაფილტროს, ამიტომ ჩვენ სკოლიდანვე უნდა ვიზრუნოთ, რომ ამომწურავი ინფორმაცია გავცეთ. ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო გზად მიმაჩნია არაფორმალური განათლება, თანასწორ-განმანათლებლობა, როდესაც შენს თანატოლს უხსნი და აცნობ სხვადასხვა საკითხს, ასევე – სკოლაში სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა-განხორციელება, სადაც მოსწავლე თავს უშუალო მონაწილედ იგრძნობს და არა უბრალო მსმენელად.

მარიამი: ვინაიდან ყველა წყარო სინამდვილეს არ ასახავს, ჩვენ ბევრ მცდარ ინფორმაციას ვიღებთ, ამიტომ თუ ამას კომპეტენტური ადამიანი ითავებს, კარგი იქნება. მსგავს თემებზე კი სკოლაშიც უნდა ხდებოდეს ინფორმირება.

7. რას ურჩევდი მასწავლებლებს საკითხის შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად ჩასატარებელ ღონისძიებებზე?

მარიამი: რაც უფრო თავისუფლად ილაპარაკებენ მასწავლებლები, მით უფრო შეძლებენ მოსწავლეები საკითხის სწორად გაგებას (ის არ უნდა აღიქმებოდეს როგორც სამარცხვინო საქციელი ან სამარცხვინო თემა).

ანა: პირველ რიგში, უნდა მოვწყდეთ ფორმალურ გარემოს და თავი ვიგრძნოთ ერთ სივრცეში, თანატოლებად. შევთავაზოთ მოსწავლეებს ახალი აქტივობები, თუნდაც ის, რომ ერთი გაკვეთილი წრეზე ისხდნენ და არა მერხთან. დავანახოთ, რომ ჩვენ ნამდვილად გვესმის და ვცდილობთ მათ დახმარებას. მოვაწყოთ დისკუსიები, დებატები, ტრენინგები, გასვლითი ღონისძიებები. დავაინტერესოთ ბავშვები, ჩავთესოთ მათში ის მარცვალი, რომელიც გაღვივდება, ამოვა, გაიზრდება და ბოლოს მწვერვალზე ასვლის საშუალებას მოგვცემს.

www.mastsavlebeli.ge

www.mastsavlebeli.ge

ШОРЕНА ТКЕШЕЛАШВИЛИ

მოსწავლეები და მშობლები დაკარგული დროის ძიებაში

ყოველი ახალი სასწავლო წლის დადგომა საინტერესო და სასიხარულოა, მაგრამ, ამავე დროს, გამოწვევებით სავსეც თითოეული სასწავლო რგოლისთვის. ამ გამოწვევებსა და სირთულეებთან გამკლავებას მოსწავლეც, მშობელიც და მასწავლებელიც თავისებურად ვცდილობთ, თუმცა ზოგჯერ, ობიექტური მიზეზების გამო, არ გამოგვდის.

ჩემი მესამეკლასელი და მეექვსეკლასელი შვილები საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. წელს მათი სკოლაში წასვლის დროები ისე გადანაწილდა, ძალიან დიდი ხანი დამჭირდა იმისთვის, რომ გონებაში ერთი დღე მაინც სრულად დამელაგებინა – რას როგორ გავაკეთებდი, როგორი გეგმით ვიმოქმედებდი, რომ, როგორც დასაქმებულ ადამიანს და ორი მოსწავლის მშობელს, შემრჩენოდა ფიზიკური ძალა ყველაფერთან გასამკლავებლად.

ანდრიას დილის ცხრის ნახევარზე ეწყება სწავლა, ხოლო ანასტასია პირველის ოც წუთზე იწყებს. ანდრიას გაკვეთილები პირველ საათზე უმთავრდება, ანასტასიას – ხუთ საათზე. ასეთი რეჟიმის წყალობით, აღმოჩნდა, რომ ანდრიას, როგორც იქნა, თავისუფალი დრო რჩება დასვენებისთვის, სწავლისთვის, ეზოს აქტივობებისთვის, საყვარელი საქმიანობისთვის და დროულად დაძინებასაც ახერხებს, განსხვავებით წინა წლისგან, როდესაც, სკოლიდან გვიან დაბრუნებულს, ხანმოკლე საუბრის დროც აღარ რჩებოდა, ღამის პირველ საათამდე მეცადინეობდა და დილით გამოფიტული იღვიძებდა. ახლა მისი რეჟიმი დაფიქრების და დასვენების საშუალებას იძლევა, ხოლო ანასტასიას შემთხვევაში, თუ სკოლის დამთავრებისთანავე სახლში არ გამოვიქცევით, არც მეცადინეობისთვის და არც მცირეოდენი განტვირთვისთვის დრო აღარ გვრჩება.

„ვერც ცეკვაზე ვივლი, იმიტომ, რომ როდესაც სახლში გვიან მივალ, მეცადინეობისთვის დაღლილი ვიქნები და არაფრის თავი არ მექნება“, – გულდაწყვეტით შეაფასა პირველი სასწავლო დღე ანასტასიამ და დავალებების შესრულებას სწრაფად შეუდგა, რომ დროულად დაეძინა და სკოლისთვის მომზადებული ყოფილიყო.

ძნელი მისახვედრი არ არის, რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვისთვის ისეთი ყოველდღიური სასწავლო რუტინის შექმნა, სადაც გათვალისწინებულია მისი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მზაობა და ასაკობრივი მონაცემები, განსაკუთრებით კი დაწყებითი კლასის მოსწავლისთვის, რომელსაც უფრო მეტად სჭირდება თავისუფალი დრო, რაც, სამწუხაროდ, ამ რეჟიმით სრულიად წარმოუდგენელია. საბოლოოდ, ვიღებთ განერვიულებულ ბავშვს, რომელიც შფოთავს, თუ გაკვეთილების მომზადება ვერ მოასწრო; დარდობს იმაზე, რომ მისი განრიგი ვერანაირად ვერ ეთავსება სკოლისგარე აქტივობებს და ვერ ახერხებს შემოქმედებით წრეზე სიარულს; დამოუკიდებლად მეცადინეობა და ასე მეცადინეობის ჩვევის ჩამოყალიბებაც ვერ ხერხდება, რადგან ფიქრისთვის, შეცდომების დაშვებისა და გამოსწორებისთვის დრო შეზღუდულია და ბავშვი ხვდება, რომ ასეთ პირობებში ბევრი რამ საკმაოდ მოუხერხებელია.

ექვსი წელია, მოსწავლეების მშობელი ვარ და ვხედავ, როგორ ერიდებიან მშობლები ასეთ პრობლემებზე საჯაროდ საუბარს, როგორ არ აპროტესტებენ, როგორ ნებდებიან და როგორ იპყრობთ უიმედობა, რომ მაინც არაფერი შეიცვლება და ცდას აზრი არ აქვს, აზრი არ აქვს რამის მოთხოვნას სისტემისგან, სკოლის ადმინისტრაციისგან... განწყობა, რომ მშობლების აზრი, მშობლების პრობლემები არავის აინტერესებს, საკმაოდ ძლიერია.

მშობლები სისტემისგან პასუხს და უკუკავშირს არ ელიან, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გადაწყვეტილება არ არის ბავშვებს მორგებული, ბავშვების კეთილდღეობით ნაკარნახევი და მათი მიღებისას მოსწავლისა და მშობლის საჭიროებებით არ უხელმძღვანელიათ. ამიტომ ჭარბობს მშობლებში ნიჰილიზმი, რადგან სისტემას, ერთგვარ ყრუ კედელს, მაინც ვერაფერს შეასმენ, ვერ მოსთხოვ პასუხს ისეთი გადაწყვეტილებების გამო, რომლებიც ბავშვისა და ოჯახის ინტერესებსა და კეთილდღეობას აზიანებს.

ათასობით ბავშვისა და მშობლისთვის ასეთი დღის რეჟიმი დამთრგუნველია. ბავშვებს ის ხელს უშლის სასწავლო პროცესში, სასწავლო მიზნების მიღწევაში და არც სკოლის გარეთ დამატებითი მეცადინეობისთვის უტოვებს დროსა და ენერგიას. ასეთი რეჟიმი არაჰუმანურია მშობლისთვისაც, რომელიც, თუ ერთზე მეტი ბავშვი ჰყავს, ქუჩაშია გამოკიდებული და ეფექტურად ვეღარ მუშაობს, რაც ასევე აზიანებს ოჯახის ეკონომიკურ ინტერესებს.

დიანა ანფიმიადი

დროის მანქანა: როცა დიდები პატარები იყვნენ

აქტივობების ციკლი დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის

შეგიმჩნევიათ, როგორი აციმციმებული თვალებით ათვალიერებენ ბავშვები მშობლების ბავშვობის ფოტოებს? როგორ ამჩნევენ დეტალებს, როგორ ავლებენ პარალელებს? ერთ დღეს, როცა ჩემმა შვილმა, გიორგიმ, მოითხოვა, ჩემი წარსულიდან ყველაფერი არ ვიცი და ფოტოები მომიგროვეთო, მივხვდი, რომ ფოტოალბომი როგორც დროის მანქანა, ჩემი ბავშვობის ამბები შესანიშნავი გაკვეთილების თემად შეიძლებოდა მექცია და ასეც მოვიქეცი. გაკვეთილების ციკლს, რომელიც ჩვენი საყვარელი მწერლებისა და ისტორიული პირების ბავშვობას ეხებოდა, ასეც დავარქვი: „როცა დიდები პატარები იყვნენ“.

ამოვირჩიე 5 ტექსტი:

1. რევაზ ინანიშვილი, „დიდი თოვლი“

დიდ თოვლს რომ დადებდა და მოყინავდა, იქვე, სკოლის გვერდზე, ხევში, დავასიპებდით არხისკენ ჩამავალ გზას და იყო ერთი სრიალი და კოტრიალ-კოტრიალი. გოგოები ბიჭებზე მონდომებით სრიალებდნენ, ოღონდ ისინი - წიოკობით. ხანდახან რომელიმე მასწავლებელიც კი დაცურდებოდა ხოლმე. ხანდახან მასწავლებელიც წაიქცეოდა. მაშინ აღარ ვიცოდით, რა გვექნა, გაგვცინებოდა თუ არა.

კითხვები:

- სად სრიალებდნენ ბავშვები დიდთოვლობისას?
- როგორ განმარტავთ მონაკვეთს: „ხანდახან მასწავლებელიც წაიქცეოდა. მაშინ აღარ ვიცოდით, რა გვექნა, გაგვცინებოდა თუ არა“?

2. ასტრიდ ლინდგრენი, „ბავშვობა ფერმაში“

მე პატარა ფერმაში, სიყვარულსა და სითბოში გავიზარდე, სადაც უფროსი ძმა თავის უმცროს დაიკოს იცავდა, ტყეში სოკოზე დაჰყავდა და კენკრის კრეფისას ეკლიან ბუჩქებსაც კი არ ერიდებოდნენ.

ჩემს პატარა სოფელში დღემდე აფასებენ შინ გამომცხვარ პურს, ხელით ამოყვანილ ყველსა და ზამთრისთვის საგულდაგულოდ შებოლილ ლორს. ულამაზესი მინდვრები, შეუდარებელი ხედები და უთვალავი ზღაპრული არსება – სწორედ ისინი იქცნენ ჩემს მუზებად. პეპი, კარლსონი, პატარა მარი, მიო-მიო და სხვები - ყველანი ამ ადგილებიდან წამოვიდნენ.

კითხვები:

- სად გაიზარდა ასტრიდი?
- რა იქცა მწერლისთვის შთაგონებად?
- ასტრიდი ბავშვობაში კენკრას კრეფდა. შენ გიყვარს კენკრა? შევეჯიბროთ, კენკრის მეტ სახეობას ვინ დაასახელებს?

3. თამარ მეფე და წერო (მესხური ლეგენდა)

როცა თამარი პატარა იყო, ზაფხულს ვარძიაში ატარებდა. ძალიან უყვარდა გამოქვაბულებში დამალობანას თამაში. ერთხელ დაიკარგა კიდეც. დიდხანს ეძებდნენ და როცა იმედი გადაეწურათ, აქ ვარ, ძიაო, – გაიგონეს მისი ხმა. სწორედ ვარძიაში იპოვა ერთი ფრთამოტეხილი წერო, ფრთა შეუხვია, მოუარა და თავის ოთახში გამოაზამთრა. გაზაფხულზე მორჩენილი ფრინველი წეროების გუნდს გაჰყვა. თამარს ეგონა, რომ ვეღარასდროს ნახავდა საყვარელ წეროს.

შემდეგ გაზაფხულზე ისევ გაახსენდა თამარს თავისი წერო, გაახსენდა და ძალიან მოენატრა. უცებ ერთი წერო ჩამოფრინდა, მიეალერსა და ორი წინდის ჩხირი მოუტანა: ერთი თეთრი და ერთიც ყვითელი.

ეს ჯადოსნური ჩხირები იყო, ყვითელი ყველაფერს ოქროდ აქცევდა, თეთრი კი – ვერცხლად.

კითხვები:

- სად ატარებდა ზაფხულს თამარი?
- როგორ იპოვეს დაკარგული თამარი?
- რა მოუტანა საყვარელმა წერომ თამარს?
- როგორი იყო წეროს ნაჩუქარი წინდის ჩხირები?

4. ერეკლესა და თეკლას ამბავი

ერეკლე, რომელსაც ხალხი სიყვარულით პატარა კახს ეძახდა, ჭკვიანი, მზრუნველი და სამართლიანი მეფე იყო. მას ბევრი შვილი ჰყავდა და ყველა ძალიან უყვარდა, ყველაზე მეტად კი – ნაბოლარა, თეკლა. გოგონა ძალიან თამამი და ყოჩაღი იყო, განსაკუთრებით უყვარდა ჯირითი.

ერთ დღეს თეკლამ, რომელმაც ჯერ წერა-კითხვა არ იცოდა, მამას წერილი მისწერა. უცნაური ნაწერი იყო, თან ასოებს ჰგავდა, თან – ნახატებს, უფრო ნაჯღაბნი იყო, ვიდრე ნაწერი. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლემ ერთი ასოც ვერ იცნო, შვილის სიყვარული მაინც ამოიკითხა და გოგონას პასუხიც მისწერა:

„თეკლუნავ ჩემო, შენი სიბრძნით სავსე წერილი მომივიდა, ძალიან გონიერი გოგონა ხარ, გამიხარდა, რომ მომწერე. უცხო ოსტატობით შესრულებული ნაწერიდან ვერაფერი ამოვიკითხე, მაგრამ მადლობას მაინც მოგახსენებ.

გიგზავნი კოცნას და ასევე ექვს კარგ ბროწეულს. ხვალ ბევრ შაქარყინულს გამოგიგზავნი და იმედია, მეც მალე გნახავ.

შენი მამა“

კითხვები:

- რა ამოიკითხა ერეკლემ შვილის „ნაწერში“?
- როგორ შეიძლება ამოიკითხო ნაწერში ის, რაც არ წერია?
- როგორ ფიქრობ, ამ წერილის მიხედვით, ერეკლე მზრუნველი მამაა?

5. იაკობ გოგებაშვილი, „თევზაობა“

პატარაობისას თევზაობა ძლიერ მიყვარდა. ჩვენი სოფლის არემარეც ხელს მიწყობდა. შუაგულ სოფელში რამდენიმე ვეებერთელა წყარო ამოჩუხჩუხებდა მიწიდან. სოფლის გარშემო ადგილები ხომ სულ სავსე იყო ცივ-ცივი წყაროებით.

წყაროების თავი დაჩრდილული იყო და ზაფხულში საამური სიგრილე ტრიალებდა. ამ ჩრდილში დასვენება, ყინულივით ცივი წყლით წყურვილის მოკვლა ზაფხულის პაპანაქებაში სწორედ ნეტარება იყო.

სათევზაოდ ჩემს უფროს ძმას დავაწვნევინე პატარა კალათი, ისეთი მსუბუქი, რომ ნიავიც კი წაიღებდა. გავსწევდი ქვემოთ და ჩავიდოდი წყლის პირას. გავიხდიდი ფეხზე, ჩავხტებოდი წყაროს ბოლოში და შევყვებოდი ზევ-ზევით თევზაობით. ერთი ხელით კალათს მოვიმარჯვებდი, მეორე ხელით თევზებს ვაფრთხობდი. დაფეთებული თევზები გარეთ ჩემს კალათაში ცვიოდნენ.

თან წყლიანი ჭურჭელი მქონდა, რომლითაც ცოცხალი თევზები შინ მიმქონდა.

კითხვები:

- როგორი იყო იაკობ გოგებაშვილის სოფელი?
- ვინ დაუწნა იაკობს სათევზაო კალათი?
- როგორ თევზაობდა იაკობი?

ტექსტებთან დაკავშირებული აქტივობების ჩამონათვალი:

1. ტექსტების წაკითხვა რამდენჯერმე, სხვადასხვა მეთოდით;
2. ახალი სიტყვების დამუშავება;
3. გრამატიკული აპარატი – დროის კატეგორია, სავარჯიშოები;
4. მეტყველების სავარჯიშო – პერსონაჟის აღწერა;
5. წერითი ნაწილი – წერილი ჩემს თავს დიდობაში.

საშინაო დავალება:

- გადახედე შენი მშობლების ფოტოებს. არის რამე ნივთი, რომლის დანიშნულებაც არ იცი?
- შავ-თეთრია ფოტოები თუ ფერადი?
- არის რამე ისეთი მშობლების ფოტოებში, რაც შენს ფოტოებშიც მეორდება?
- ამოარჩიე ერთი ფოტო და აჩვენე შენს კლასელებს, თან ამბავიც მოუყევი.
- მოგეწონა დროში მოგზაურობა?

ცირა ბარბაქაძე

რა არის ChatGPT? – რესურსი პროფესორებისა და მასწავლებლებისთვის

ხელოვნურმა ინტელექტმა უბრალოდ კი არ მოგვიკაკუნა კარზე და გვკითხა: „შეიძლება, შემოვიდე?“ – არა, ფართოდ შემოაღო ჩვენი ცნობიერების კარი და ჩაგვისახლდა. თან ისე ჩაგვისახლდა, შესახლებულებს ჩვენ უფრო ვგავართ. შეზღუდული ფუნქციები არ იკმარა და ბოთლიდან გათავისუფლებული ჯინივით სულ თან დაგვყვება მომაბეზრებელი კითხვით: „ახლა რას მიბრძანებ?“ ამას კი გვეკითხება, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ თავად ხელიან-მრავალტვინიანი „არსება“ მხოლოდ მარტივი დავალებების „წერით“ შემოიფარგლება. რაც გინდათ, ჰკითხეთ: რომელი მასწავლებელი, რომელი პროფესორი, რომელი მმობელი გაგცემთ ასეთ სრულყოფილ პასუხს? თანაც ამბობენ, რომ პლაგიატის აღმოჩენა შეუძლებელია, რადგან თუ ორი წუთის შემდეგ იმავე კითხვას დაუსვამთ, სრულიად ახლებურად აგიწყობთ კონტენტს.

ამ პროცესს ვერაფერი შეაჩერებს, ბიბლიოთეკებში წიგნების ძებნას და ბარათებზე საჭირო ინფორმაციის ამოწერას კაცობრიობა ვეღარ დაუბრუნდება, როგორც ვერ დაუბრუნდება ლამპის შუქს და სანთლის შუქს (გარდა რომანტიკული შინაარსებისა). განათლების სისტემის სრული ტრანსფორმაციის სიო უკვე ქრის და ჩვენი განათლების მესვეურებს ნუ ეტყვით – ინერვიულებენ, წყალში ეყრებათ ამდენი რეფორმა. ამის ფონზე სხვა რამეს მინდა დაუკვირდეთ – შეფასების სისტემებს სკოლებსა და უნივერსიტეტებში. პლაგიატის მოსაძებნად უკვე რამდენიმე პლატფორმა არსებობს და ალბათ კიდევ მოიფიქრებენ, მაგრამ ამ ყველაფერს, იმის ფონზე, რაც ხდება, რა საერთო აქვს ნამდვილ ცოდნასთან? მანამდეც ბევრი არაფერი ჰქონია, უბრალოდ, დამახსოვრებულ ინფორმაციას ამოწშებდა, ეგ იყო და ეგ.

არ ვიცი, როდის გავიგებთ, რომ რეალობა უკვე შეცვლილია! იმიტომ არა, რომ ამას ბილ გეიტსი ამბობს...თქვენ ცხომგრძნობთ? ის ჯერ კიდევ როდის წერდა: „სახელმძღვანელოები უკვე გარდაცვალების გზას ადგანან, მათი ნეკროლოგების წერის დროა!“ ისე სწრაფად იცვლება სამყარო და ვიცვლებით ჩვენც, რომ არათუ საუკუნის წინ, გუშინ დაწერილი სახელმძღვანელოებიც კი დღეს უკვე მოძველებულია.

რა არის ChatGPT? – რესურსი პროფესორებისა და მასწავლებლებისთვის

გვკარნახობს იმას, რაც ჩვენ უნდა ვისურვოთ.

და აი, ასპარეზზე გამოვიდა **ChatGPT** – ტექსტების შემქმნელი ხელოვნური ინტელექტის პროგრამა. პირველად ეს ამბავი მოსწავლეებმა და სტუდენტებმა გაიგეს და გავრცელდა ვიდეოები: **მასწავლებლებს და პროფესორებს არ გააგებინოთ!** რომც გააგებინოთ, ბევრს აზრადაც არ მოუვა, რა ფუნქციები აქვს ამ უსულო სულიერს. მოკლედ, გაილაღეს სტუდენტებმა: ამიერიდან შეუძლიათ, ნებისმიერი დავალება შეუკვეთონ **ChatGPT-ს** და ისიც რამდენიმე წამში დაუგენერირებს თავისი შესავლითა და დასკვნით.

არ გეგონოთ, რომ ეს მრავალთავიან-მრავალ-ლექტი მასწავლებლებს და ადმინისტრატორებს დაეხმარება, მათ შორის – სტუდენტის მიერ საგნის შესწავლის ხარისხის გაზომვისა და კარიერული დახმარების კუთხითაც. მოსწავლეების საშინაო დავალების შესასწორებლად ChatGPT-ს მსგავს ხელსაწყოებს უკვე იყენებენ“, – წერს ბილ გეიტსი.[1]

როგორც იცით, ChatGPT არის OpenAI-ს პროდუქტი, რომელიც Microsoft-ს ეკუთვნის, მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი კი ბილ გეიტსია. ის პირადად იყო ჩართული ChatGPT-ს შექმნაში ადრეულ ეტაპზე.

მაშ ასე: რას აკეთებს ChatGPT? მას შეუძლია, ტექსტის სახით დაგიწეროთ ნებისმიერი რამ, დაწყებული უბრალო კითხვაზე პასუხით და დამთავრებული... თუმცა რა დამთავრება – მისი შესაძლებლობები ხომ უსასრულოა.

ინფორმაციის ძებნას სხვაგან აღარ დავიწყებ და პირდაპირ ChatGPT-ს ვკითხავ, ვინ არის და რა შეუძლია. აი, მოკლე პასუხიც, რომლის ქართული ვარიანტი, უბრალოდ, დავარედაქტირე. პასუხი მესამე პირში გამცა:

„ChatGPT არის AI ტექნოლოგიაზე მომუშავე სასაუბრო აგენტი, რომელიც იყენებს GPT (Generative Pre-trained Transformer) ენის მოდელს, რათა დააგენერიროს ადამიანის მსგავსი პასუხები მომხმარებლის კითხვებზე. ის ფლობს ტექსტების უზარმაზარ კორპუსს, რათა ჩასწვდეს ბუნებრივი ენის ნიუანსებს და შეუძლია, შექმნას პასუხები, რომლებიც კონტექსტურად შესაბამისი და გრამატიკულად სწორია.

ChatGPT შექმნილია ადამიანის მსგავსი საუბრის სიმულაციისთვის და მისი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით, როგორიცაა მომხმარებელთა მხარდაჭერა, ვირტუალური ასისტენტები, ჩეთბოტები და სხვა. მას შეუძლია, გაუმკლავდეს მოთხოვნების ფართო სპექტრს და ისწავლოს წარსული ურთიერთქმედებიდან, რათა გააუმჯობესოს თავისი პასუხები დროთა განმავლობაში“.

ამერიკელმა დიზაინერმა ამარ რეშმ ექსპერიმენტი ჩაატარა და ChatGPT-ს დააწერინა საბავშვო ტექსტი მითითებული სიტყვებით, მერე კი Midjourney-ს ილუსტრაციების გენერირება დაავალა. სულ რამდენიმე საათი დახარჯა „ავტორმა“ და წიგნი მზად იყო.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია ელისი, რომელიც აღმოაჩენს ხელოვნური ინტელექტის სამყაროს და შექმნის რობოტს, სახელად Sparkle-ს. სიუჟეტის მიხედვით, ელისი და Sparkle-ი სამოგზაუროდ მიდიან და ცდილობენ, თავიანთი ცოდნის დახმარებით სამყარო უკეთესი გახადონ.

ამარ რეშმ წიგნი დასტამბა და „ამაზონიდან“ გაყიდა, 1 ეგზემპლარი 9 დოლარად. მთელი ტირაჟი რომ გაიყიდა, შემდეგ ქინდლის ვერსია გამოსცა, რომლის ერთ-ერთი გვერდიც ასე გამოიყურება:

მე არ განვიხილავ, სწორია თუ არასწორი ეს ამბავი – მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ. ChatGPT წერს მუსიკას, აკეთებს ანალიზს, გამოაქვს დასკვნები, დაგიწერთ ესეებს, დიპლომებს, დისერტაციას, შეგიმოწმებთ კოდებს... ლექსების წერაშიც ნავარჯიშევია. რა თქმა უნდა, რედაქტირება დასჭირდება, იდეალური არ იქნება, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ადამიანს საქმიანობას უადვილებს.

ChatGPT დაგიგენერირებთ სარეკლამო ტექსტებს, სცენარებს, სკრიპტებს – ტრენდების გათვალისწინებით. მთავარია, სწორად მისცეთ დავალება.

არ ვიცი, ჩვენ რაღა დაგვრჩენია და ვის ეკუთვნის საავტორო უფლება მასთან თანამშრომლობით შედგენილ ტექსტებზე, მაგრამ თუნდაც ეს რომ ბევრ რამეს გვეუბნება ჩვენს მომავალზე, ფაქტია.

თქვენ კი, პროფესორ-მასწავლებლებო, ისღა დაგრჩენიათ, კი არ აკრძალოთ, არამედ ითანამშრომლოთ მასთან და რესურსად გამოიყენოთ მსგავსი პლატფორმები.

[1] https://forbes.ge/ras-phiqrobs-bil-geitsi-khelovnur-inteleqtze/

ნასტასია არაბული

კითხვები, რომლებიც ყველა მასწავლებელმა უნდა დასვას ხელოვნური ინტელექტის შესახებ

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უფრო და უფრო ჩვეულებრივი ამბავი ხდება. ათობით ჩემი ნაცნობი და მეგობარი იყენებს ყოველდღიური ამოცანების შესასრულებლად ჩატბოტ ChatGPT-ს, რომელიც, ალბათ, ამ დროისთვის ყველაზე ცნობილი და პოპულარული ხელოვნური ინტელექტის პლატფორმაა. ხელოვნურ ინტელექტს პროფესიული წრეები წლებია იყენებენ სხვადასხვა მიზნით, მაგრამ მისი საყოველთაო მოხმარება მენიუს შესადგენად, ვარჯიშის დასაგეგმავად, მარკეტინგული ტექსტებისა თუ ესეების დასაწერად შედარებით ახალი ამბავია. დროსთან ერთად ხელოვნური ინტელექტის პლატფორმები, ალბათ, მხოლოდ მოიმატებს, მათი გამოყენება კი უფრო და უფრო ინტენსიურ სახეს მიიღებს. ამიტომ ჯობია, მზად ვიყოთ იმისთვის, რაც გარდაუვალია.

საგანმანათლებლო საკითხებზე მომუშავე არაერთი პლატფორმა მსჯელობს იმაზე, რა უნდა იცოდნენ მასწავლებლებმა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ, რათა მომზადებულები შეხვდნენ ახალ გამოწვევებს.

„რამდენიმე კვირაში დაიწყება ახალი სასწავლო წელი და ხელოვნური ინტელექტი შეცვლის სასწავლო გარემოში თამაშის წესებს. მასწავლებლებს მოუწევთ, იყვნენ მზად და იცოდნენ, როგორ იყენებენ სტუდენტები და მოსწავლეები ხელოვნური ინტელექტის პლატფორმებს, როგორ გადააწყონ სასწავლო კურსები ახალი გამოწვევების შესაბამისად, როგორ იყენებენ ახალგაზრდები ჩეტბოტებს დავალებების შესასრულებლად და როგორია იმ ინსტიტუტების პოლიტიკა ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით, რომლებსაც წარმოადგენენ“, – წერს ენდრიუ მეინარდი, მეცნიერი, ავტორი, მოწინავე ტექნოლოგიებზე გადასვლის სპეციალისტი და არიზონის უნივერსიტეტის პროფესორი.

ის ჩამოთვლის კითხვებს, რომლებიც ყველა მასწავლებელმა და პროფესორმა უნდა დასვას ხელოვნური ინტელექტის შესახებ:

- სად ვიპოვო საბაზისო ინფორმაცია ChatGPT-სა და ხელოვნური ინტელექტის შესახებ და რა გავლენა შეიძლება მოახდინონ მათ სასწავლო პროცესზე?
- სად ვიპოვო მუდმივად განახლებადი ინფორმაცია იმის შესახებ, რა მიდგომა და პოლიტიკა აქვს ჩემს სკოლას/უნივერსიტეტს/კოლეჯს ხელოვნური ინტელექტის გავლენებისა და შესაძლებლობების მიმართ?
- რა საკითხები შევიტანო ჩემს სასწავლო გეგმაში/სილაბუსში ხელოვნური ინტელექტის შესახებ და როგორ განვსაზღვრო ჩემი სტუდენტებისთვის/მოსწავლეებისთვის ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წესები?
- სწორი იქნება, თუ სწავლებაში ხელოვნურ ინტელექტს არ გამოვიყენებ და არ მივცემ სტუდენტებს უფლებას, ის სასწავლო მიზნებისთვის მოიხმარონ?
- მაქვს თუ არა სათანადო აკადემიური და ინტელექტუალური თავისუფლება, რათა თავად განვსაზღვრო, რა დონით გამოვიყენებ ხელოვნურ ინტელექტს სწავლებისას?
- როგორ მოვემზადო სწავლებისთვის იმ გარემოში, სადაც სტუდენტების/მოსწავლეების უმეტესობა უკვე იყენებს ხელოვნურ ინტელექტს?
- როგორ მოვიქცე, თუ ვეჭვობ, რომ ჩემი სტუდენტები დავალებების შესასრულებლად ხელოვნურ ინტელექტს იყენებენ და ეს თავის მოტყუებად მიმაჩნია?
- უნდა გამოვიყენო თუ არა დავალებების შემოწმებისას ხელოვნური ინტელექტის დეტექტორები? და თუ კი, როგორ გავაკეთო ეს ისე, რომ ამან დადებითი შედეგი გამოიღოს?
- სწორი იქნება, თუ სტუდენტები/მოსწავლეები ხელოვნურ ინტელექტს საკლასო ოთახში გამოიყენებენ? თუ კი, რა შეზღუდვები უნდა მოქმედებდეს?
- შეიძლება თუ არა, ChatCPT სტუდენტებისთვის/მოსწავლეებისთვის უკუკავშირის მისაცემად გამოვიყენო? თუ ასე მოვიქცევი, ვუთხრა მათ, რომ ეს ხელოვნურმა ინტელექტმა გააკეთა?
- ჩემი საგნისთვის მნიშვნელოვანია დავალებები, რომლებიც წერითი უნარების გაუმჯობესებას და დემონსტრირებას ემსახურება – როგორ მოვიქცე?
- როგორ შევცვალო სასწავლო გეგმა ისე, რომ მიზანს მივაღწიო, მაშინ როდესაც უფრო და უფრო მეტი მოსწავლე/სტუდენტი იყენებს წერითი დავალებისთვის ხელოვნურ ინტელექტს?

- შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის აქტიური გამოყენება ჩემს საგანში?
- როგორ ვასწავლო ჩემს სტუდენტებს/მოსწავლეებს ხელოვნური ინტელექტის სხვადასხვა დონის გონივრულად გამოყენება, რაც მათ აუცილებლად დასჭირდებათ მომავალში წარმატებისთვის?

ქართულ ენაზე, ქართველი მასწავლებლებისთვის ამ კითხვებზე პასუხები არ არსებობს. ჯერჯერობით არც ChatGPT ფლობს ქართულ ენას, თუმცა საქართველოს შესახებ ცნობები აქვს და რამდენიმე კითხვასაც სცემს პასუხს. როცა ამ ჩატბოტს რაღაცას ეკითხები, ხაზგასმით გაფრთხილებს, რომ ის მხოლოდ ინფორმაციას ფლობს და არც მოსაზრება გააჩნია რაიმე საკითხზე, არც დამოკიდებულება, არც ინტერპრეტაციის უნარი შესწევს. კითხვებზე ძირითადად ვრცლად, მაგრამ მკაფიოდ პასუხობს იმ დათქმით, რომ მისი პასუხები არ უნდა განზოგადდეს და თუ რაიმე საკითხზე მეტის გაგება გვინდა, უმჯობესია, ინფორმაცია თავად მოვიძიოთ.

მას ვკითხეთ, მიიჩნევს თუ არა საკუთარ თავს საფრთხედ სასწავლო პროცესისთვის. ის ამბობს, რომ არც მასწავლებლებისთვის და არც მოსწავლეებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ მისი გამოყენებისას ყველას უნდა ახსოვდეს, რომ:

- მნიშვნელოვანია, გადამოწმდეს ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც ხელოვნური ინტელექტისგან მიიღებენ.
- ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იყოს დამხმარე ინსტრუმენტი სწავლებისთვის, მაგრამ არა მთავარი აქტორი.
- არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველაფერი, რასაც ჩატბოტები ამბობენ, ხელოვნური ინტელექტის პროდუქტია და არა ადამიანის ნააზრევი. ეს „არსებები“ უბრალოდ აერთიანებენ, ახარისხებენ და გასცემენ იმ ინფორმაციას, რაც მათ დაასწავლეს.
- ჩატბოტების გამოყენება კრიტიკული მიდგომის გარეშე სასურველი არ არის. მასწავლებლებს შეუძლიათ, სტუდენტები/მოსწავლეები ავარჯიშონ ხელოვნური ინტელექტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის წყაროების დადგენაში, ვერიფიკაციასა და ანალიზში.
- ჩატბოტების გამოყენება ენობრივი უნარების გასაუმჯობესებლად შესაძლებელი და რეკომენდებულია – მას შეუძლია შეცდომების გასწორება და გრამატიკის წესების ახსნა.

„მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ შემიძლია ვიყო დამხმარე ინსტრუმენტი მასწავლებლებისა და პროფესორებისთვის, აუცილებელია ჩემი გამოყენება გააზრებულად და პასუხისმგებლობით, ტრადიციული სწავლების მეთოდებსა და კრიტიკული აზროვნების პრაქტიკასთან ერთად“, – ესეც ChatGPT-ს პასუხია.

ქეთევან ოსიაშვილი

როცა ბავშვს დამარცხების აღიარება უჭირს

„ჩემს შვილს ძალიან არ უყვარს წაგება, სურს, ყოველთვის მოგებული იყოს. არ ვიცი, რა მოვუხერხო“, – გულისტკივილი ვერ დამალა მეხუთეკლასელი გიოს დედამ, როცა მისი ბიჭუნა დამარცხების შიშით შუა გზიდან გამოეთიშა თანატოლებთან სპორტულ შეჯიბრებას.

არიან ბავშვები, რომლებიც ყოველგვარ მარცხს კატასტროფად აღიქვამენ, ავადმყოფურად რეაგირებენ წაგებაზე, ისტერიკაში ვარდებიან და აგრესიასაც კი ამჟღავნებენ მოწინააღმდეგის მიმართ, შეურაცხყოფენ, საყვედურებს არ იშურებენ და საკუთარ წარუმატებლობას მას აბრალებენ. არიან ისეთებიც, რომლებიც ჩუმად, უსიტყვოდ განიცდიან, საკუთარ თავში იკეტებიან და შეჯიბრებებში მონაწილეობას გაურბიან.

თითოეული ჩვენგანი ესწრაფვის წარმატებას. ეს ბუნებრივია და საჭიროცაა – წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ მივაღწევდით დასახულ მიზნებს, მაგრამ ასევე ბუნებრივია, რომ ყოველთვის გამარჯვებული ან ყოველთვის დამარცხებული ვერავინ იქნება. ცხოვრება რთულად არის მოწყობილი, არაპროგნოზირებადია და ხშირად უფროსებსაც კი გვიჭირს ამასთან შეგუება. მარცხის აღიარების უნარი სოციუმში ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს უნარი თანდათან ყალიბდება, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე და უფროსების დაუხმარებლად მოზარდს ვერ გამოუმუშავდება.

რა შეიძლება გავაკეთოთ იმისთვის, რომ ბავშვმა შეძლოს წაგების მიღება და მარცხის აღიარება? უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, გავერკვეთ იმ მიზეზებში, რომლებიც, წაგების შემთხვევაში, ბავშვის ფსიქიკისთვის დამანგრეველ რეაქციებს იწვევს:

- თუ პატარაობაში, დედ-მამასთან ან უფროს და-ძმებთან თამაშის დროს ბავშვს ყოველთვის აგებინებდნენ, რათა თავი ბედნიერად ეგრძნო, მოგვიანებით, როცა თანატოლებთან თამაშის დროს ვინმე დაჯაბნის, მისთვის ძალიან მტკივნეული იქნება მარცხის მიღება, წაგების აღიარება. შესაძლოა იტიროს, შეშინდეს, იმედგაცრუებული დარჩეს საკუთარი თავით. რაც მთავარია, მას არ ეცოდინება, როგორ მოიქცეს ასეთ სიტუაციაში.
- ადრეულ ბავშვობაში პატარა სამყაროს ცენტრად აღიქვამს თავს და ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს საზღვრებს, რომლებსაც ცხოვრება უწესებს.
- მარცხის აღიარება დედისერთებს უფრო უჭირთ, ვინაიდან მათთვის უცხოა და-ძმებთან კონკურენცია, თუმცა ისიც შესაძლოა, ასეთ დამოკიდებულებას საფუძვლად ედოს მეტოქეობა უმცროსებსა და უფროსებს შორის. გამარჯვების მოპოვებით ხშირად ბავშვი მშობლებს თავის არსებობას „უცხადებს“, აგრძნობინებს, რომ ისეთივე ღირებულია, ისევე დასაფასებელი, როგორც მისი და ან ძმა, რომლის მიღწევებითაც უფროსები ზოგჯერ ზედმეტადაც კი ამაყობენ. თუ ბავშვს სურს, იყოს ყურადღების ცენტრში და თავი წარმატებულად იგრძნოს, ეს სავსებით ნორმალურია.
- შესაძლოა, ბავშვს ეგონოს, რომ წაგების შემთხვევაში ის ნაკლებად ეყვარებათ, ხოლო თუ მოიგო, გარშემო მყოფთა სიყვარული გარანტირებული ექნება.

ერთად თამაშის დროს მივცეთ ბავშვს როგორც მოგების, ისე წაგების საშუალება, რათა სხვადასხვა როლი მოირგოს. ცრემლების შიშით ნუ დავნებდებით - ნაკლებსავარაუდოა, ყალბი მოგება ბავშვს თავდაჯერების, საკუთარი თავის რწმენისა და სირთულეების გადალახვის უნარის გამომუშავებაში დაეხმაროს.

არიან ბავშვები, რომლებიც ყოველგვარ მარცხს კატასტროფად აღიქვამენ, ავადმყოფურად რეაგირებენ წაგებაზე, ისტერიკაში ვარდებიან და აგრესიასაც კი ამჟღავნებენ მოწინააღმდეგის მიმართ, შეურაცხყოფენ, საყვედურებს არ იშურებენ და საკუთარ წარუმატებლობას მას აბრალებენ.

ზოგიერთ ბავშვს წაგება აღიზიანებს და აბრაზებს, რადგან ეშინია, იმედი არ გაუცრუოს მშობლებს, რომლებიც ყოველთვის ეუბნებოდნენ, რომ ყოჩაღია და ყველაფერი გამოსდის. თუ წაგების შემთხვევაში მშობლებმა უკმაყოფილება ვერ დამალეს, ბავშვი გამოიტანს დასკვნას: „მოგება კარგია, წაგება – ცუდი; მე წავაგე, ესე იგი, ცუდი ვარ“.

დამარცხების მიუღებლობის მიზეზად შესაძლოა იქცეს როგორც არაადეკვატურად მაღალი, ისე არაადეკვატურად დაბალი თვითშეფასება. მოგება თავდაჯერებას გვმატებს. ხშირად ბავშვის თვითგამორკვევა გამარჯვებაზეა აგებული, ის აძლევს საყრდენის შეგრძნებას სამყაროს შემეცნებისას. წაგების შემთხვევაში ბავშვი ამ საყრდენს კარგავს და რაც უფრო დაბალია მისი თვითშეფასება, რაც უფრო აკლია საკუთარი თავის რწმენა, მით უფრო უჭირს მარცხის მიღება. ამ დროს ბავშვს უჭირს იმის აღიარება, რომ რაღაცას თავს ვერ ართმევს. ის თავს გრძნობს ადამიანად, რომელიც სიყვარულს და პატივისცემას არ იმსახურებს. არანაკლებ მტკივნეულია მარცხის აღიარება არაადეკვატურად მაღალი თვითშეფასების მქონე ბავშვისთვის. ის ხომ თავისი ოჯახისთვის სამყაროს ცენტრს წარმოადგენს. ასეთი ბავშვები არ არიან მიჩვეული უარს და ვერ იტანენ ხელის მოცარვას. წარუმატებლობამ ისინი შესაძლოა ძლიერ გააღიზიანოს და იმედგაცრუებული დატოვოს.

მიზეზის გარკვევის შემდეგ მნიშვნელოვანია ადეკვატური სტრატეგიის შერჩევა, რაშიც ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები დაგეხმარებათ.

როგორ დავეხმაროთ ბავშვს წაგების უმტკივნეულოდ მიღებასა და დამარცხების აღიარებაში

- განურჩევლად იმისა, ბავშვი ბრაზობს, ჩხუბობს თუ თვალები ცრემლებით აქვს სავსე და უსიტყვოდ განიცდის საკუთარ მარცხს, მას უფროსების დახმარება სჭირდება, რადგან ჯერ კიდევ არ გამოუმუშავებია სირთულეებისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი.
- გამოვიჩინოთ მოთმინება. არ არსებობს რეკომენდაცია, რომელიც დაგვეხმარება, ერთ დღეში ვასწავლოთ ბავშვს მარცხის აღიარება. ამას შესაძლოა გარკვეული დრო დასჭირდეს.
- ყურადღებით მოვეკიდოთ ბავშვის გრძნობებს, მის საქმიანობას. ვასწავლოთ წესებით თამაში და გავხდეთ მისი პარტნიორი თამაშის დროს. ამისთვის გამოდგება ნებისმიერი თამაში, რომელშიც ზრდასრულისა და ბავშვის წარმატების შანსი პრაქტიკულად თანაბარია. თამაშის დაწყებამდე განვიხილოთ დასასრულის ვარიანტები, მათ შორის – მარცხიც, დასრულების შემდეგ კი ვკითხოთ, რას გრძნობს, ვესაუბროთ საკუთარ განცდებზეც. წინასწარ მოვიფიქროთ სპეციალური რიტუალი წაგებულისთვის, მაგ., მან გამარჯვებულს ტაში უნდა დაუკრას – მარცხის მიღება ხომ მეტოქის გამარჯვების აღიარებით იწყება.
- ერთად თამაშის დროს მივცეთ ბავშვს როგორც მოგების, ისე წაგების საშუალება, რათა სხვადასხვა როლი მოირგოს. ცრემლების შიშით ნუ დავნებდებით – ნაკლებსავარაუდოა, ყალბი მოგება ბავშვს თავდაჯერების, საკუთარი თავის რწმენისა და სირთულეების გადალახვის უნარის გამომუშავებაში დაეხმაროს.
- თუ ბავშვი მარცხს ვერ ეგუება, მოვერიდოთ უკმაყოფილების გამოხატვას და მის შედარებას იმ თანატოლებთან, რომლებიც წაგებაზე უფრო მშვიდად რეაგირებენ: „აი, შეხედე, ნინი საერთოდ არ ნერვიულობს, როცა აგებს“. სხვებთან შედარებით ბავშვს ვართმევთ საკუთარი თავის შეცნობის შესაძლებლობას. ის შეეცდება, დაემსგავსოს ნინის ან ვინმე სხვას. მას ყოველთვის ექნება როგორც სხვისი აზრის, ასევე შეცდომების შიშიც.
- კარგი იქნება, თუ წაგების გამო განაწყენებულ ბავშვთან საუბრისას გამოვიყენებთ შემდეგ ფრაზებს: „მესმის, რომ ნაწყენი ხარ. ვიცი, რომ მოგება გინდოდა. მომდევნო ჯერზე მოიგებ!“
- ძალიან მნიშვნელოვანია, მარცხის შემთხვევაში ვაჩვენოთ ბავშვს ჩვენი უპირობო სიყვარული და, ამასთან ერთად, გამარჯვების გზის პოვნაშიც დავეხმაროთ. იმედი მაქვს, ეს რეკომენდაციები დაგეხმარებათ, ბავშვს წაგების მიმართ სწორი დამოკიდებულება ჩამოუყალიბოთ. ასეთი დამოკიდებულება კი, თავის მხრივ, მას თუნდაც ყველაზე წარმოუდგენელი მიზნების მიღწევაში დაეხმარება. მიზნისკენ მიმავალ გზაზე შესაძლოა იყოს მარცხიც, მაგრამ ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ აუცილებელია რაღაცის შეცვლა და სვლა წინ, საკუთარი ოცნებებისკენ.

მეგი კავთუაშვილი

როგორ ავუმაღლოთ სწავლის მოტივაცია ათ წლამდე ასაკის შვილს

როგორც ბავშვთა ფსიქოლოგები ამბობენ, უპირველეს ყოვლისა, მშობლებს უნდა გვახსოვდეს, რომ სწავლის პროცესი პატარებისთვის (6-10 წელი) მაქსიმალურად სახალისო და არამატრავმირებელი უნდა იყოს. როცა ბავშვი ძლიერ სტრესს განიცდის, მთელი მისი რესურსი სტრესთან გამკლავებაში იხარჯება და სწავლისთვის აღარ რჩება.

რაც უფრო საინტერესო, მარტივად ახსნილი და გასაგებია ბავშვისთვის მასწავლებლის მიერ მიწოდებული მასალა, მით უფრო მეტია სურვილი და უნარი, ისწავლოს. თუმცა თითოეულ ბავშვს თავისი ტემპერამენტი, ხასიათი და სპეციფიკური მოტივაცია აქვს, ამიტომ სწავლის მოთხოვნილების ფორმირებაში მშობლის როლი განუზომლად დიდია.

როგორც ბავშვთა ფსიქოლოგები ამბობენ, უპირველეს ყოვლისა, მშობლებს უნდა გვახსოვდეს, რომ სწავლის პროცესი პატარებისთვის (6-10 წელი) მაქსიმალურად სახალისო და არამატრავმირებელი უნდა იყოს. როცა ბავშვი ძლიერ სტრესს განიცდის, მთელი მისი რესურსი სტრესთან გამკლავებაში იხარჯება და სწავლისთვის აღარ რჩება.

საქართველოში ბავშვებისთვის მნიშვნელოვან ადამიანებს ხშირად მოგვდის შეცდომები, რაც პატარას სწავლის სურვილსა და ხალისს უკარგავს.

განვიხილოთ მაგალითები – ის, რასაც სარგებლობის ნაცვლად ზიანი მოაქვს ბავშვებისთვის და ვნახოთ, რა იქნებოდა ალტერნატივა.

შეცდომა: ბავშვის ჩართვა შეჯიბრებაში და ყურადღების გამახვილება ნიშნებზე. ხშირად მოგვისმენია ფრაზები: „შენ უნდა იყო პირველი“, „ამდენ ფულს ვხარჯავ შენს განათლებაში“, „კერძო სკოლაში გატარებ“, „ჩემი შვილი არავისზე ნაკლები არ უნდა იყოს“, „მეტი შეგიძლია, ნიჭიერი ხარ“, – და ა.შ. ასეთი დამოკიდებულება მშობლის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული შეცდომაა.

მართებული ქცევა: ვკონცენტრირდეთ არა საბოლოო შედეგზე, არამედ დახარჯულ ძალისხმევაზე. ხშირად ორიენტირებული ვართ იმაზე, რას მიაღწევს ბავშვი და გვავიწყდება ის ძალისხმევა, რომელიც მან მუშაობის პროცესში გაიღო. შესაძლოა, ბავშვმა საუკეთესოდ ვერ წარადგინოს დავალება ან ვერ მიიღოს უმაღლესი შეფასება, მაგრამ უნდა შევაქოთ და აღვნიშნოთ, რომ მან ძალიან ბევრი იშრომა და დღეისთვის ეს შედეგი სავსებით მისაღებია, საკმარისია. ამ შემთხვევაში ბავშვი ნაკლებს ინერვიულებს ნიშნებზე და მეტად ისიამოვნებს თავად სწავლის, ახალი ინფორმაციის მიღების პროცესით. ვეცადოთ, ბავშვს გაუჩნდეს წარმატებულობის განცდა. ვუთხრათ, რომ გუშინდელთან შედარებით დღეს უკეთ კითხულობს, უკეთ წერს, უკეთ ესმის წაკითხულის შინაარსი. ამით მას მივახვედრებთ, რომ მის შრომას აქვს აზრი, რომ ხვალ კიდევ უფრო უკეთესად გამოუვა, რაც მოტივაციასაც აუმაღლებს და თვითშეფასებასაც.

შეცდომა: შვილის შედარება სხვა ბავშვთან. ხშირად მშობლები ჩვენს პატარებს ვადარებთ მათსავე დედმამიშვილებს, თანაკლასელებს ან სხვა ბავშვებს. ვამბობთ: „შენს ასაკში შენი და ბევრად უკეთესად სწავლობდა“, „შეხედე შენს კლასელს, რა ბეჯითად სწავლობს, შენ კი რა გჭირს!“

მართებული ქცევა: ბავშვი მხოლოდ საკუთარ თავს შევადაროთ. გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რა გამოსდიოდა ერთი კვირის წინ და რა გამოსდის ახლა, რამდენი რამე ისწავლა ბოლო კვირების განმავლობაში, რამდენად უკეთ უმკლავდება გამოწვევებს სემესტრის ბოლოს. სხვებთან შედარება ბავშვს კარგს არაფერს მოუტანს,

საკუთარ წინსვლაზე დაკვირვებით კი დაინახავს, რომ სირთულეების დაძლევა შეუძლია.

შეცდომა: ილუზიის შექმნა, რომ შეცდომის დაშვება დანაშაულია. მშობლები ბავშვს ზოგჯერ ისეთი ეპითეტებით ვამკობთ, როგორიცაა, მაგალითად, უყურადღებო, უპასუხისმგებლო, სულელი, ჩერჩეტი. ალბათ ერთხელ მაინც გაგიგონიათ ფრაზა: „ლამაზად ვერ დაწერა და ფურცელი ამოვუხიე". ასეთი მიდგომა ბავშვს შეცდომის შიშს უნერგავს და უმოქმედობისკენ უბიძგებს. თუ მშობლის სხეულის ენაც სასტიკია, მაგალითად, სახის გამომეტყველება ზედმეტად მკაცრია, ხოლო ხმის ტემბრი – ცივი და მაღალი, შესაძლოა, ბავშვმა ჩათვალოს, რომ ის ცუდი ბავშვია, მის მცდელობებს აზრი არ აქვს, რადგან მაინც არაფერი გამოსდის.

მართებული ქცევა: შეცდომა სწავლის პროცესის ნაწილად ვაქციოთ. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ სწავლის პროცესში შეცდომის დაშვება ბუნებრივი რამაა, სწავლა შეცდომის გარეშე შეუძლებელია. უმჯობესია, მშობლები ვეცადოთ, მას შეცდომისა არ ეშინოდეს და არასოდეს შეწყვიტოს მცდელობა. სასურველია, ბავშვისთვის ძირითადი შეტყობინება ასეთი იყოს: „მესმის, რომ გიჭირს. არ ვბრაზობ. მინდა დაგეხმარო. მჯერა, რომ შეძლებ!"

შეცდომა: მიღწევების უგულებელყოფა და წარუმატებლობის აქცენტირება. ზოგიერთი მშობელი იმდენად მომთხოვნია შვილის მიმართ, რომ მისი მიღწევები ბუნებრივ მოცემულობად მიაჩნია და არც კი აღნიშნავს, ხოლო წარუმატებლობას მტკივნეულად აღიქვამს და სასჯელი მუდამ მზად აქვს.

თუ ბავშვი, მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, დემოტივირებულია, ვატყობთ უენერგიობას, გადაღლილობას, ძილის ან კვების ჩვევების ცვლილებას, თუ უჭირს კონცენტრაცია, გამოხატული აქვს მეხსიერების, ათვისების სირთულეები, უმჯობესია, დახმარებისთვის ნეიროფსიქოლოგს მივმართოთ, რომელიც სწავლასთან დაკავშირებული სტრესის მართვაში დაგვეხმარება.

მართებული ქცევა: ბავშვის წახალისება. ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ მის მიღწევებს ოჯახი აფასებს, მისი ძალისხმევა მშობლების კეთილგანწყობას იწვევს, ხოლო წარუმატებლობა სწავლის პროცესში ლეგიტიმურია და ამით ოჯახის მხარდაჭერას არ დაკარგავს. სასჯელის ნაცვლად, უმჯობესია, მშობელმა გამოიყენოს ფრაზები: „ეს წარუმატებლობაც სასარგებლო იქნება შენთვის, თუნდაც იმიტომ, რომ ისწავლი, როგორ აიცილო თავიდან ასეთი შეცდომა", „ნახე, რა კარგი გამოცდილება მიიღე". ასეთი მიდგომა ბავშვს სწავლაზე გულის აცრუებისგან დაიცავს.

შეცდომა: ბავშვისთვის დანაშაულის განცდის გაჩენა, თუ მას მშობლის დახმარება სჭირდება. თუ მეცადინეობისას გამოვიყენებთ ფრაზებს: „რამდენჯერ უნდა აგიხსნა?!", „კიდევ ამას მეკითხები?!" „კიდევ შენი რვეულებით დამდევ?!" – ასეთი დამოკიდებულებით ბავშვი ბეჯითი ვერ გახდება. აი, შფოთვა და დანაშაულის განცდა კი დაეუფლება.

მართებული ქცევა: წავახალისოთ დახმარების თხოვნა. მნიშვნელოვანია, ბავშვმა იცოდეს, რომ როცა რამე არ გამოსდის, დახმარება უნდა ითხოვოს და არ დამალოს, რა უჭირს, რა ვერ გაიგო. თუ ემპათიური ვიქნებით მის მიმართ და გამოვიყენებთ შეტყობინებას: „რა კარგია, რომ დახმარების თხოვნა შეგიძლია", „რა კარგია, რომ ამდენს ცდილობ", „ყოჩაღ შენ, რომ ჯერ არ გამოგდის, მაგრამ არ ნებდები", – ეს ბავშვს გაუჩენს განცდას, რომ დაბრკოლებების პირისპირ მარტო არ არის და მიზანს მიაღწევს.

შეცდომა: ბავშვის ნაცვლად დავალების შესრულება. ამა თუ იმ მიზეზით მშობლები ზოგჯერ თავად ვასრულებთ შვილის საშინაო დავალებას, რაც ბავშვს სრულიად არაჯანსაღ წარმოდგენას უქმნის სწავლის პროცესის შესახებ. ასეთ დროს ბავშვები ეჩვევიან პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებას, დაუმსახურებელი ჯილდოს მიღებას, ტყუილის თქმას და მშობლებისთვის ზედმეტი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

მართებული ქცევა: გავუღვივოთ ბავშვს პირადი პასუხისმგებლობის განცდა. მშობლები უნდა შევეცადოთ, ბავშვს გავუჩინოთ თავის საქმესთან მიკუთვნებულობის განცდა. ყოველთვის, როცა პატარას შეუძლია, დამოუკიდებლად გაართვას თავი დავალებას, მივცეთ საკმარისი დრო და თავისუფლება ამისთვის, ხოლო მაშინ, როცა დახმარებას ითხოვს, გავარკვიოთ, ზუსტად რა სჭირდება ჩვენგან – ემოციური მხარდაჭერა, მის გვერდით ყოფნა თუ გაუგებარი მასალის ახსნა. ვეცადოთ, ბავშვი დავარწმუნოთ, რომ უმჯობესია, დავალება ისე შეასრულოს, როგორც შეუძლია, ვიდრე ჩვენ გავაკეთოთ მისი საქმე, ხოლო სასწავლო მასალა მისთვის გაუგებარი დარჩეს.

შეცდომა: პედაგოგთან კომუნიკაციისთვის თავის არიდება და რეპეტიტორის ძებნა. ზოგჯერ მშობლები თავს ვიკავებთ, მასწავლებლებს არ ვუზიარებთ, რომ ბავშვს სწავლა უჭირს ან რომელიმე საგნის სწავლის ნაკლები მოტივაცია აქვს. ვშიშობთ, რომ მასწავლებელი სწორად ვერ გაგვიგებს და ჩვენსავე შვილს დავაზიანებთ.

მართებული ქცევა: პედაგოგს გავუზიაროთ ბავშვის განცდები და ვთხოვოთ მხარდაჭერა. უმჯობესია, დავუკავშირდეთ მასწავლებელს, ვთხოვოთ შეხვედრა და მშვიდ, საუბრისთვის ხელსაყრელ გარემოში ვესაუბროთ პრობლემის შესახებ, ცხადია, არა დამნაშავის ძიების, არამედ მოსწავლის დახმარების მიზნით. სასურველია, აღვწეროთ ბავშვის განცდები, ქცევა და პედაგოგთან ერთად მოვიფიქროთ, რა შეიძლება გავაკეთოთ იმისთვის, რომ ბავშვს დავეხმაროთ.

სტატიაში ჩამოთვლილი მართებული ქცევები დაგვეხმარება, ჩვენს პატარებს მოტივაცია გავუღვივოთ და მათთვის სასიამოვნო გავხადოთ სწავლის პროცესი.

თუ ბავშვი, მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, დემოტივირებულია, ვატყობთ უენერგიობას, გადაღლილობას, ძილის ან კვების ჩვევების ცვლილებას, თუ უჭირს კონცენტრაცია, გამოხატული აქვს მეხსიერების, ათვისების სირთულეები, უმჯობესია, დახმარებისთვის ნეიროფსიქოლოგს მივმართოთ, რომელიც სწავლასთან დაკავშირებული სტრესის მართვაში დაგვეხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა და სხვა რესურსები:

1. ვებინარი „როგორ ავუმაღლოთ შვილს სწავლის მოტივაცია – რეკომენდაციები 10 წლამდე ბავშვების მშობლებისთვის", მომხსენებელი – ნეიროფსიქოლოგი, პროფესორი თამარ გაგოშიძე https://www.youtube.com/watch?v=XTdrMb9AQcQ&t=2412s
2. სტატია „ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სწავლის მოტივაციაზე". ავტორი – ფსიქოდიაგნოსტი, ფსიქოკონსულტანტი ზანდა ჩეჩელაშვილი https://mshobeltaskola.ge/p=928
3. მშობლებისთვის განკუთვნილი ვებგვერდი www.lmshoble.ge
4. კრებული „განათლება უკეთესი მშობლობისთვის" https://worldvision.ge/ge/news/3/ganatleba-uketesi-mshoblobistvis

ქეთევან კობალაძე

ბავშვები, ვიდეოთამაშები და კონტროლი

გაგაცნობთ ფრაგმენტს ჰოლანდიელი ავტორების კუნ სხობერსისა და დეირდრე ენთჰოვენის სტატიიდან „ჩემი შვილი გეიმერია. ყველაფერი, რაც უნდა იცოდნენ მშობლებმა“, რომელიც ინტერნეტსივრცეში ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფას ეხება.

„ინტერნეტი ნამდვილად არ არის უსაფრთხო სივრცე, – ფიქრობენ ექსპერტები და განაგრძობენ: – როდესაც ბავშვები ონლაინთამაშებით იქცევენ თავს, ამას თან ახლავს გარკვეული რისკი. თამაშის რომელიმე მონაწილე შესაძლოა სულ სხვა პიროვნებად აცნობდეს თავს დანარჩენ მოთამაშეებს. არც პირადი მონაცემების უსაფრთხოებაა დაცული და იმის საშიშროებაც არსებობს, ბავშვს არცთუ მცირე თანხა გამოსძალონ. ინტერნეტბულინგი, დაცინვა და მსგავსი შევიწროება ხომ საკმაოდ ხშირად ხდება. დამნაშავის სკამზეც კი აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ონლაინთამაშების საშუალებით არასრულწლოვანთა მიმართ არაკეთილსინდისიერ ქმედებაში დაადანაშაულეს.

ინტერნეტით სარგებლობის უსაფრთხოებაზე სხვადასხვა საიტზე შეიძლება წაიკითხოთ, მაგალითად, ასეთი რამ: ინტერნეტი არის სივრცე, რომელშიც შესაძლებელია, ანონიმურად გაიცნო ბავშვი/მოზარდი, რომლის ნდობასაც ადვილად მოიპოვებ. სპეციალური პროგრამების საშუალებით არაკეთილსინდისიერი ადამიანი მოახერხებს, შეცვალოს პარამეტრები, მათ შორის – ხმის ტემბრი, და ამით შეცდომაში შეიყვანოს პატარა გეიმერი. სათამაშო ჩათებში მოზარდმა შესაძლოა გაიჩინოს ახალი ნაცნობები და, სამწუხაროდ, მათ შორის შესაძლოა იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომელთა გაცნობაც სულაც არ იქნება უსაფრთხო. ბავშვები განსაკუთრებით მგრძნობიარეები ხდებიან ახალი „კეთილგანწყობილი“ ინტერნეტმეგობრების მიმართ მაშინ, როდესაც შინ პრობლემები აქვთ და მიაჩნიათ, რომ მშობლებს მათი არ ესმით. ყველაფერი შესაძლოა დაიწყოს უწყინარი მეგობრობით და საკმაოდ მძიმე გამოცდილებით გაგრძელდეს ჩართული ვებკამერის წინ. არც ის არის გამორიცხული, ბავშვი პედოფილების ხელში აღმოჩნდეს.

ბავშვი/მოზარდი, რომელსაც ჩაგრავენ სკოლაში ან თემში, უფრო ხშირად ეძებს ნავსაყუდელს ინტერნეტთამაშებში. ამ სივრცეში მას შეუძლია, იქცეს იმად, რაც რეალურ ცხოვრებაში არ გამოუვიდა. ყველაზე დრამატული კი ის არის, რომ ვიდეოთამაშებშიც ძალიან ადვილია, ბავშვი ბულინგის მსხვერპლი გახდეს. კიდევ ერთი სერიოზული მომენტი: ვიდეოთამაშები ფართო ასპარეზს აძლევს იმ ადამიანებს, რომლებიც, ანონიმურობას ამოფარებულები, დაუბრკოლებლად იყენებენ უცენზურო ლექსიკას სხვა მოთამაშეების მისამართით. აღსანიშნავია კიდევ ერთი საფრთხე: ბავშვს/მოზარდს შეუძლია, უნებურად იყიდოს ონლაინ რაიმე პროდუქტი, აქსესუარი, სათამაშო, რომლის შესაძენადაც რეალური თანხაა გადასახდელი სატელეფონო ანგარიშიდან თუ მშობლების საკრედიტო ბარათიდან. აქ აღწერილი ყველა საფრთხის გათვალისწინებით, გეიმერი ბავშვები არ არიან უსაფრთხოდ. სწორედ ამიტომ მშობლებს ევალებათ, ყველაფერი იღონონ, რათა მაქსიმალურად შეამცირონ რისკი“.

ვიდეოთამაშების ჩამოტვირთვა ძალიან ადვილია, განსაკუთრებით – თანამედროვე „ციფრული“ თაობისთვის, ამიტომ მშობლებს უჭირთ კონტროლი, რა თამაშებს იწერს მათი თინეიჯერი შვილი. ამდენად, აუცილებელია, ბავშვებს დაუსვათ კითხვები იმ თამაშების შესახებ, რომლებითაც გატაცებულნი არიან.

გაგაცნობთ რამდენიმე რეკომენდაციას, რომლებიც, ავტორების აზრით, აუცილებლად გასათვალისწინებელია:

„ინტერნეტი ნამდვილად არ არის უსაფრთხო სივრცე, – ფიქრობენ ექსპერტები და განაგრძობენ: – როდესაც ბავშვები ონლაინთამაშებით იქცევენ თავს, ამას თან ახლავს გარკვეული რისკი. თამაშის რომელიმე მონაწილე შესაძლოა სულ სხვა პიროვნებად აცნობდეს თავს დანარჩენ მოთამაშეებს.

- ეცადეთ გაიგოთ, თამაშის დროს აქვს თუ არა თქვენს შვილს ურთიერთობა სხვა მოთამაშეებთან; აქვს თუ არა თამაშს სასაუბროს, ე.წ. ჩათის ფუნქცია; აქვს თუ არა ბავშვს გახსნილი ანგარიში სოციალურ ქსელში. ეცადეთ, არ დაკარგოთ შვილის ნდობა. აუხსენით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ერთად განიხილოთ ყველა გზავნილი, რომელსაც სხვადასხვა არხით მიიღებს და მეტ-ნაკლებად უცნაური მოეჩვენება.
- ეცადეთ, თქვენი შვილი დიდი ხნით არ განმარტოვდეს ინტერნეტსივრცეში. შედარებით უფროსი ასაკის ბავშვსაც კი ხშირ-ხშირად მიაკითხეთ ოთახში და აუხსენით, რომ მნიშვნელოვანია, მშობლები საქმის არსში გარკვეულები იყვნენ, რათა შვილებს თავიდან ააცილონ ის ფარული საფრთხეები, რომლებსაც ინტერნეტ-თამაშები და, საზოგადოდ, ინტერნეტსივრცე შეიცავს.
- ეცადეთ, აკონტროლოთ ნებისმიერი შეხვედრა, რომელსაც თქვენი შვილი სხვა მოთამაშეებთან დაგეგმავს. იდეალური იქნება, თუ მშობელი მოახერხებს შვილის მეგობარი გეიმერების მშობლების გაცნობას.
- აუხსენით შვილს, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მისცეს თავისი მისამართი, საბანკო რეკვიზიტები და სხვა პირადი ინფორმაცია ონლაინნაცნობს.
- ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ არ შეიძლება, ინტერნეტში უნებართვოდ შეიძინონ რაიმე ნივთი, პროდუქტი, აქსესუარი.

„ჩვენ, მშობლები, შეწუხებულები ვართ და ვფიქრობთ იმაზე, როგორ მოვახერხოთ ჩვენი გეიმერი შვილების უსაფრთხოების დაცვა, – წერენ ავტორები, – ამიტომ სხვა მშობლებსაც ვუზიარებთ ჩვენს გამოცდი-

ლებას. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ჩართული იყოთ პროცესში და იცნობდეთ თქვენი შვილის ონლაინსამყაროს, იცოდეთ, ვისთან აქვს ურთიერთობა. თუ საქმეს იმგვარად წარმართავთ, რომ პირადად შეხვდეთ იმ მოზარდებს, რომლებთან ერთადაც თამაშობს თქვენი შვილი, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მისი უსაფრთხოებისთვის. მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ კარგი, ნდობით აღსავსე ურთიერთობა ყველაზე საიმედო გარანტიაა იმისა, რომ შვილებმა თავად გაუზიარონ ნებისმიერი ინფორმაცია, განსაკუთრებით მაშინ, თუ რაიმე საეჭვოს შეამჩნევენ თამაშის დროს.

აი, რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოგადგებათ:

- გამოიყენეთ კარგი ანტივირუსი, რომელიც რეგულარულად გააკონტროლებს თქვენს გაჯეტებს.
- ვიდეოთამაშების ჩამოტვირთვა ძალიან ადვილია, განსაკუთრებით — თანამედროვე „ციფრული“ თაობისთვის, ამიტომ მშობლებს უჭირთ კონტროლი, რა თამაშებს იწერს მათი თინეიჯერი შვილი. ამდენად, აუცილებელია, ბავშვებს დაუსვათ კითხვები იმ თამაშების შესახებ, რომლებითაც გატაცებულნი არიან.
- შეამოწმეთ, შეეფერება თუ არა ვიდეოთამაში თქვენი შვილის ასაკსა და განვითარებას. ეცადეთ, გაარკვიოთ, როგორი გამოხმაურებები აქვს ამ თამაშს სხვა მოთამაშეებისგან.
- არ აუკრძალოთ შვილებს თამაში, გულახდილი საუბრით გაარკვიეთ, რატომ სურთ მაინცდამაინც ამ თამაშით გართობა. თუ მშობლისთვის ესა თუ ის თამაში კატეგორიულად მიუღებელია, მან მშვიდად უნდა აუხსნას ბავშვს აკრძალვის მიზეზი.
- მშობლებს ხშირად ურჩევენ, შვილებს შეუთანხმდნენ, რომ არ გააბამენ ურთიერთობას უცხო ადამიანთან. რეალურ ცხოვრებაში ეს რეკომენდაცია შედარებით იოლი შესასრულებელია, მაგრამ ონლაინსივრცეში ასეთი რამ ძალიან ძნელია. უფრო ადვილია, ასწავლოთ ბავშვს, არასდროს გაუზიაროს პირადი ინფორმაცია უცხოებს და არც მათი უცნაური, არაკორექტული თხოვნები შეასრულოს. თუ მსგავსი მესიჯი მიიღო, აუცილებლად შეატყობინოს უფროსებს.
- განიხილეთ, როგორ უნდა მოიქცეს ბავშვი, თუ უცენზურო, დამამცირებელი შეტყობინება მიიღო. მაგალითად, დაბლოკოს გამომგზავნი და შეინახოს შეტყობინების სქრინშოთი, რათა, თუ საჭირო გახდა, უფრო სერიოზული რეაგირება მოახდინოს.
- რეგულარულად ამოწმეთ საბანკო ამონაწერები და არ დატოვოთ პირადი მონაცემები შესყიდვების გვერდებზე.
- შეგიძლიათ დააყენოთ „მშობლის კონტროლის“ ფუნქციაც, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, ასწავლოთ შვილს უსაფრთხოების წესები, რათა თავად შეძლოს პირადი უსაფრთხოების დაცვა.

ბევრი მშობელი შესანიშნავად ხვდება, რომ შვილს ნებისმიერ რამეზე შეიძლება მოელაპარაკო, მაგრამ იქ, სადაც საქმე ვიდეოთამაშებს ეხება, შეთანხმებები ადვილად ირღვევა. კვლევების მიხედვით, მშობლების 57% ვერ აკონტროლებს შვილებს, რომლებიც თამაშებით უზომოდ არიან გატაცებულნი. შვილების გადაჭარბებული კონტროლი ხშირად ოჯახში კონფლიქტის საბაბად იქცევა. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ უფროსი ასაკის ბავშვები შესანიშნავად ერკვევიან თანამედროვე ტექნოლოგიებში, შეუძლიათ, სურვილისამებრ ცვალონ კონტროლის ფუნქცია და მშობელი, რომელსაც ჰგონია, რომ ყველაფერს აკონტროლებს, სინამდვილეში შესაძლოა მოტყუებული აღმოჩნდეს“.

სტატიის დასასრულს ავტორები მშობლებს ალტერნატიულ „საოჯახო კონტროლს“ სთავაზობენ, რომელიც ყველაზე ვრცელდება, მათ შორის მშობლებზეც: „უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრეთ ოჯახური პრინციპები — ის ძირითადი ღირებულებები, რომლებიც მთელი ოჯახისთვის მნიშვნელოვანია. მეორე საფეხური გულისხმობს მთელი ოჯახის ერთად სადილობას, დასაძინებლად ერთად წასვლას და მსგავს აქტივობებს. მესამე პუნქტი ემსახურება წესების დამრღვევისთვის — სასჯელის, ხოლო წესების დამცველისთვის წამახალისებელი ჯილდოს დაწესებას. მეოთხე პუნქტი: შეიძლება, წესების დამრღვევს ერთჯერადად გარკვეული შეღავათებიც დაუწესოთ. მოკლედ, ყველაფერი ოჯახის, მისი წევრების გადასაწყვეტია“.



ლელა კოტორაშვილი

მოსიარულე დავალებების ყუთი

მოსიარულე დავალებების ყუთი მრავალმხრივ ეფექტური სასწავლო რესურსია. მისი გამოყენებით მოსწავლეები: საგაკვეთილო პროცესისადმი დადებითად განეწყობიან; უღვივდებათ ცნობისმოყვარეობა; არჩევანის თავისუფლება უხსნით შფოთვას და ხალისით წერენ;სწავლობენ შემოქმედებით წერას; უფროსკლასელების მზრუნველობა უმცროსკლასელებისთვის პირად მაგალითად იქცევა; უღვივდებათ თანამშრომლობითი უნარები და სასკოლო ცხოვრებაში დადებითი ცვლილებები შეაქვთ.

დაწყებით საფეხურზე საშინაო დავალებების ინსტრუქციებზე მუშაობამ ჩემი მეექვსეკლასელი მოსწავლეები შემოქმედებით აზროვნებამდე მიიყვანა. ისინი დამოუკიდებლად და დიდი ინტერესით ქმნიან ინსტრუქციებს წერითი დავალებისთვის. მსურს, გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება ერთი სასწავლო რესურსის შესახებ. მოსიარულე დავალებების ყუთი ერთ-ერთი საგანმანათლებლო კონკურსისთვის შევქმენი და მოსწავლეების დიდი ინტერესი გამოიწვია.

მოსიარულე დავალებების ყუთი წერის სწავლებისთვის არის გამიზნული, თუმცა მისი სხვაგვარად გამოყენებაც შესაძლებელია.

რესურსის დასამზადებლად დაგჭირდებათ მუყაოს ან პლასტმასის ყუთი, პატარა ნივთები და ბარათები ინსტრუქციისთვის.

რესურსის მომზადება

- მე შევარჩიე პლასტმასის დიდი კონტეინერი, რადგან კლასიდან კლასში სატარებლად მოხერხებულია. მოვძებნე გამხმარი ყვავილები და ყუთი წებოვანი ლენტით შიგნიდან გავაფორმე. ყუთის გამოჩენამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩემი ყვავილების ჰერბარიუმი მოგონებებს ინახავს და უმეტესობა მოსწავლეების ნაჩუქარია. პლასტმასის ყუთზე გაცოცხლებული ყვავილებით ბავშვების საჩუქრებისადმი პატივისცემის გამოხატვა მსურდა.
- სახლში მოვძებნე 15-მდე საინტერესო ნივთი და თითოეულის შესახებ მოკლედ ვუამბე.
- მოსწავლეებთან ერთად მოვიფიქრე ერთი ინსტრუქცია.
- საშინაო დავალებად მივეცი, შეერჩიათ ერთი ნივთი და მეოთხეკლასელებისთვის მოეფიქრებინათ სახალისო დავალების/დავალებების ინსტრუქცია.
- შემდეგ გაკვეთილზე წაიკითხეს ინსტრუქციები, მიიღეს უკუკავშირი და ტექსტი შეასწორეს.
- ინსტრუქციები გადავიტანეთ ბარათებზე და ყვავილებიან კონტეინერში მოვათავსეთ.
- ბარათზე დაწერილ ინსტრუქციებს თავი მოვუყარე, ამოვბეჭდე, გავაფორმე და ნივთებთან ერთად ყუთში მოვათავსე.

გამოყენების წესი:

მოსიარულე დავალებების ყუთს ვდგამთ კლასის წინ. მათ უკვე იციან, რომელი ნივთები აწყვია ყუთში. მეოთხეკლასელებსაც ვაცნობთ თითოეული ნივთის ისტორიას. მოსწავლეებს შემთხვევითობის პრინციპით ვურიგებთ ინსტრუქციის ბარათებს, რომლებსაც ხმამაღლა კითხულობენ, ვაძლევთ უკუკავშირს. თუ ინსტრუქცია ერთულათ, ნუსხას დაათვალიერებენ და თავად აირჩევენ სასურველ წერით დავალებას.

შესაძლოა, რომელიმემ ორი ან სამი დავალების შესრულების სურვილი გამოთქვას.

ამგვარად, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების დიფერენცირების საშუალება გვეძლევა.

მოსიარულე დავალებების ყუთი სხვადასხვა მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ, კერძოდ:

- თავისუფალი არჩევანის წასახალისებლად;
- ინტერესებისა და შესაძლებლობების დიფერენცირებისთვის;
- მთელი კლასისთვის საერთო დავალების მისაცემად.

შეგვიძლია, ყუთი დროდადრო სხვა ნივთებით შევავსოთ ან ახალ-ახალი დავალებები მოვიფიქროთ, მაგალითად:

- თხრობის ბარათები;
- მახსოვრობის ბარათები ფრაზეოლოგიზმების შესახებ;
- დღის სიტყვების ნუსხა.

მოსიარულე დავალებების ყუთის მთავარი პრინციპი ის არის, რომ ყველაფერი, რასაც ამ ყუთში მოვათავსებთ, მოსწავლეების მონაწილეობით იქნება დამზადებული.

ინსტრუქციები შეიძლება მრავალჯერადად გამოვიყენოთ და მარტივად მოვარგოთ სხვა ნივთს.

რესურსის დამზადებას არ სჭირდება ბევრი დრო, ქმედების სურვილს აღძრავს და მოსწავლეები ხალისით ასრულებენ.

ყუთის გაფორმება და შერჩეული ნივთები მოტივაციას ზრდის და ბავშვები სიხარულით იწყებენ მუშაობასიწაფებიან ინსტრუქციის როგორც მცირე ზომის ტექსტის მახასიათებლების ცოდნაში, რასაც მრავალგზის გამოიყენებენ; საკუთარი ნებით შექმნილი ინსტრუქციები საშინაო დავალებებისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას აყალიბებს; როგორც წესი, ამგვარ შემოქმედებით მუშაობას შედეგად ახალი იდეების გაჩენა მოჰყვება ხოლმე.

მეექვსეკლასელების მიერ შექმნილი დავალებების ინსტრუქციების ნუსხა კი ამგვარია:

ბროლის ქვა

1. მოიძიე ინფორმაცია ბროლის ქვის შესახებ;
2. დაწერე 5 რამ, რაც მოგწონს ბროლის ქვაში;
3. წარმოიდგინე, რომ ბროლის ქვა ხარ და დაწერე 5-წუთიანი ჩანაწერი. დაურთე ილუსტრაცია;
4. შეავსე სიტყვის რუკა ბროლის ქვის შესახებ.

ინსტრუქციის ავტორი: შოთა მინაშვილი

სანემსე

შეავსე სიტყვის რუკა სანემსეზე და მესამე გრაფაში შენი მოფიქრებული წინადადება დაწერე, მეოთხე გრაფაში კი ლელა მასის სანემსე დახატე.

ინსტრუქციის ავტორი: მარიამ მამულაშვილი

ნიჟარა

1. აალაპარაკე ნიჟარა. შენი აზრით, რა თავგადასავალი გადახდა მას?
2. შენი აზრით, რატომ ისმის მასში ხმა?

ინსტრუქციის ავტორი: რეზი კაპანაძე

ნიჟარა

წარმოიდგინე, რომ ნიჟარა ხარ.

აალაპარაკე ნიჟარა. შენი აზრით, უყვარს თუ არა, ადამიანები ყურზე რომ იდებენ?

დაწერე, შენი აზრით, რისი ხმა აქვს ნიჟარას და რატომ აქვს ეგეთი ხმა. დავალება გააფორმე ნახატით.

ინსტრუქციის ავტორი: დათო ყირიმელი

ლიმონის საწუწნი კანფეტი

მოგესალმები, ძვირფასო მეგობარო. მოკლედ, დავალების ინსტრუქცია ამგვარია:

მოძებნე ყვავილებიან ყუთში საწუწნი კანფეტი და დააკვირდი. როგორც ხედავ, ის 6 ნაწილად არის დაყოფილი. ახლა დახატე შენს რვეულში 6-უჯრიანი საწუწნი კანფეტი. თითო უჯრაში ჩაწერე შენი საყვარელი თითო სიტყვა. ქვემოთ მიუწერე, რატომ მოგწონს ეს სიტყვა. წარმატებები!

ინსტრუქციის ავტორი: ნინი ფხიკლეშვილი

სანემსე

ყვავილებიან ყუთში იპოვე სანემსე და:

- მოიფიქრე მისი ისტორია;
- სანემსის მიხედვით წარმოსახვით შექმენი შენი სანემსე, დახატე და აღწერე;
- მოიფიქრე შენი შექმნილი სანემსის შესახებ სახალისო ან სევდიანი ისტორია;
- შენი ნაწერი წაიკითხე ხმამაღლა.

ინსტრუქციის ავტორი: მარიამ მამულაშვილი

სუნამოს ფლაკონი

1. აალაპარაკე სუნამოს ფლაკონი.

ინსტრუქციის ავტორი: სევგი ნუგზარ კიზი

ქაღალდის გემი

წარმოიდგინე, რომ ქაღალდის გემი ხარ და „ტიტანიკივით“ დაგეჯახა აისბერგი. აღწერე გემის განცდები. დახატე შესაბამისი ილუსტრაცია.

ინსტრუქციის ავტორი: ანდრია დგებუაძე

ნიჟარა

მოგესალმები,

შენი საინტერესო დავალება ამგვარია:

- მოძებნე ყვავილებიან ყუთში ნიჟარა;
- ნიჟარას მეგობრად ყუთიდან შეურჩიე ის ნივთი, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონს;
- ამ ორი ნივთის შესახებ შექმენი კომიქსი.

ინსტრუქციის ავტორი: ნინი ფხიკლეშვილი

სუნამოს ფლაკონი

წარმოიდგინე, რომ სუნამოს ფლაკონი ხარ და მოაყოლე:

- საინტერესო ისტორია;
- რას გრძნობს?
- სად ცხოვრობს?

ინსტრუქციის ავტორი: ნინი ფხიკლეშვილი

დაცლილი კალამი და ბროლის ქვა

1. დახატე დაცლილი კალამი და ბროლის ქვა.
2. დაწერე 5 რამ, რაც მოგწონს ბროლის ქვაში.
3. აღწერე კალამი.
4. წარმოიდგინე, რომ ბროლის ქვა ხარ და დაწერე, რას გააკეთებდი.
5. გაიხსენე, სად შეგხვდა პირველად ბროლის ქვა ან თუ შეგხვედრია საერთოდ?
6. დაწერე თავისუფალი თემა დაცლილ კალამზე.

ინსტრუქციის ავტორი: ნიკოლოზ კაკაბაძე

საწუწნი კანფეტი

ჰეი, ჰეი,

ინსტრუქცია გინდა?

უფასოა, არანაირი ფული.

1. წარმოიდგინე, რომ კანფეტების ქარხანაში მუშაობ და შეგიძლია, კანფეტებს შიგნით ჩააყოლო ფურცლები, ხოლო ეს კანფეტები მიდის სკოლაში.
   რას ჩაწერდი კანფეტში?
   იქნებ დავალებების ინსტრუქციას ჩააყოლებდი?
2. ვითომ შენ ხარ კანფეტი. შენი აზრით, როგორი მოგზაურობა გექნება?
3. შენი აზრით, კანფეტი რას იფიქრებს ან რას იზამს? რა მოუვიდა პარკში – გაიგუდა თუ...?
4. დრო გაქვს 20 წუთი. უნდა დახატო 4 კადრი:
   ა. ფურცელს რომ დებ კანფეტში;
   ბ. კანფეტის მოგზაურობა;
   გ. კანფეტის ფიქრები;
   დ. კანფეტი სკოლაში მივიდა. რა ეწერა შიგნით?

ინსტრუქციის ავტორი: სანდრო ღირსიაშვილი

მოსიარულე დავალებების ყუთი მრავალმხრივ ეფექტური სასწავლო რესურსია. მისი გამოყენებით მოსწავლეები:

- საგაკვეთილო პროცესისადმი დადებითად განეწყობიან;
- უღვივდებათ ცნობისმოყვარეობა;
- არჩევანის თავისუფლება უხსნით შფოთვას და ხალისით წერენ;
- სწავლობენ შემოქმედებით წერას;
- უფროსკლასელების მზრუნველობა უმცროსკლასელებისთვის პირად მაგალითად იქცევა;
- უღვივდებათ თანამშრომლობითი უნარები და სასკოლო ცხოვრებაში დადებითი ცვლილებები შეაქვთ;
- ყუთის გაფორმება და შერჩეული ნივთები მოტივაციას ზრდის და ბავშვები სიხარულით იწყებენ მუშაობას;
- იწაფებიან ინსტრუქციის, როგორც მცირე ზომის ტექსტის, მახასიათებლების ცოდნაში, რასაც მრავალგზის გამოიყენებენ;
- საკუთარი ნებით შექმნილი ინსტრუქციები საშინაო დავალებებისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას აყალიბებს;
- როგორც წესი, ამგვარ შემოქმედებით მუშაობას შედეგად ახალი იდეების გაჩენა მოჰყვება ხოლმე.

ამ ბმულზე იხილავთ, მეექვსეკლასელების მიერ მოფიქრებული ინსტრუქციების მიხედვით როგორი წერილობითი ტექსტები შექმნეს ერთ გაკვეთილზე მეოთხეკლასელებმა:
https://shorturl.at/oET35

მანანა სეხნიაშვილი

ჰოლისტური აღქმის ფორმირების საშუალება

განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ჰოლისტური მიდგომაა, რომელიც აერთიანებს კომპეტენციებს და ინტეგრირებულ, ერთიან, სისტემურ აზროვნებას მოითხოვს.

სტატია სამყაროს ჰოლისტური აღქმის ფორმირების საჭიროებას ეხება. ბოლო რამდენიმე წელია, მთელი ყურადღება მდგრად განვითარებაზეა გადატანილი. სულ უფრო მეტად მაინტერესებს და ვიძიებ, როგორ შეიძლება ჩამოვუყალიბოთ ჩვენს მოსწავლეებს ჰოლისტური მსოფლმხედველობა, რათა მათ სხვადასხვა გაკვეთილზე მიღებული ცოდნის სინთეზირება მოახდინონ, რაც მსოფლიოს მთლიანობას დაანახებს. რატომ მომინდა ამ საკითხზე წერა? ცოტა ხნის წინ კოლეგებს შორის დისკუსია გაიმართა: რომელი საგნის პედაგოგის პრეროგატივაა არჩევითი საგნის – მდგრადი განვითარების სწავლება? არ გაგიკვირდებათ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წარმომადგენლები საკუთარ უპირატესობას მხურვალედ ამტკიცებდნენ. დისკუსიაში არ ჩავრეულვარ, თუმცა მოკლედ გამოვხატე ჩემი აზრი. მას შემდეგ ეს საკითხი მოსვენებას არ მაძლევს. აი, რატომ მომინდა, კვლავ ერთად გვეფიქრა მდგრად განვითარებასა და ჰოლისტურ სწავლებაზე. მოსწავლეთა აღზრდაში მასწავლებლის როლი ხომ განუზომელია. მას შეუძლია, წვლილი შეიტანოს ჰოლისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, შემოქმედებითად მიუდგეს სწავლების შინაარსს.

განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ჰოლისტური მიდგომაა, რომელიც აერთიანებს კომპეტენციებს და ინტეგრირებულ, ერთიან, სისტემურ აზროვნებას მოითხოვს.

ჰოლისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება შეესაბამება მეცნიერებისა და სოციალური პრაქტიკის განვითარების დონეს, თანამედროვე სამყაროს სოციალური, კულტურული, ენობრივი, სულიერი მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

ეს ინოვაციური კონცეფცია იან კრისტიან სმუტსმა 1980-იან წლებში შექმნა. თუმცა ეს საგანმანათლებლო მოძრაობა სათავს იღებს ბერძნული ფილოსოფიიდან, რომელსაც სჯერა იმ იდეის, რომ სამყარო „ერთი მთლიანობაა“.

ტერმინი „ჰოლისტური“ მომდინარეობს სიტყვისგან „whole“ – „მთლიანი“ – და გულისხმობს, რომ ადამიანი ურთიერთდამოკიდებული ნაწილების ერთობას წარმოადგენს. ყველა ნაწილს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ჩვენს ცხოვრებაში და რომელიმე მათგანის ხანგრძლივი უგულებელყოფა დანარჩენებზე აუცილებლად უარყოფით გავლენას მოახდენს.

ჰოლისტური განათლება არის მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია ინდივიდის განვითარების ყველა ასპექტზე და არა მხოლოდ მის აკადემიურ ან ინტელექტუალურ განვითარებაზე.

ჰოლისტური განათლება არის მეთოდი, რომელიც კონცენტრირდება მოსწავლეების განვითარებაზე, რათა გაუმკლავდნენ იმ გამოწვევებს, რომლებსაც შეიძლება შეეჯახონ ცხოვრებასა თუ საგანმანათლებლო კარიერაში. ის მნიშვნელოვნად მიიჩნევს საკუთარი თავის შესწავლას, პოზიტიური სოციალური ქცევებისა და ჯანსაღი ურთიერთობების, გამძლეობის, ემოციურ და სოციალურ, სიმართლის შემოწმების, ტრანსცენდენციისა და სილამაზის განცდის უნარების განვითარებას.

ჰოლისტური განათლების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი ის არის, რომ სწავლა უნდა იყოს მნიშვნელოვანი და შესაბამისი. ეს ნიშნავს, რომ თითოეულ მოსწავლეს უნდა შეეძლოს, ამოიცნოს ნაცნობი კონტექსტი და სწავლის პროცესში ჩაერთოს.

მეთოდი ძლიერ აქცენტს სვამს შემოქმედებითობასა და კრიტიკულ აზროვნებაზე. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, თავისუფლად იფიქრონ, ეჭვქვეშ დააყენონ ვარაუდები და ეძებონ ახალი პერსპექტივები. ამასთან, მეთოდი მათ რისკებისა და შეცდომებზე სწავლისკენ უბიძგებს.

აღნიშნული პრაქტიკა ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებისა და თანამშრომლობის განვითარებას. მოსწავლეებს ხელს უწყობენ, ერთად იმუშაონ და მხარი დაუჭირონ ერთმანეთს ისეთი აქტივობების საშუალებით, როგორიცაა ჯგუფური პროექტები და თანატოლთა სწავლება.

ფიზიკური აღზრდა და გონების ვარჯიში გადამწყვეტია ჰოლისტურ განათლებაში.

ჰოლისტური განათლების მომხრეები არ გამოარჩევდნენ სწავლების რომელიმე მეთოდს ან ტექნიკას. პირიქით, ჰოლისტური განათლება ჩაფიქრებული იყო როგორც გამოწვევა ტრადიციული შეხედულებებისთვის.

ჰოლისტური განათლება ფოკუსირებულია მოსწავლის აკადემიურ და სოციალურ საჭიროებებზე. პედაგოგები ცდილობენ, შეასრულონ აკადემიური მოთხოვნები, ასწავლონ სწორი მეთოდები, რომლებითაც მოსწავლეები შეძლებენ, ცხოვრებისეულ გამოწვევებს გაუმკლავდნენ. ისინი ცდილობენ, ჩაერთონ მოსწავლის განვითარების ყველა ასპექტში. ამ საგანმანათლებლო მიდგომაში აქცენტი დაისმის სკოლების პოზიტიურ გარემოზე, ასევე – მოსწავლის საზროვნო უნარებზე პოზიტიური სოციალური ქცევით.

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია არის თეორია, რომლის გამოყენებაც შეიძლება ჰოლისტურ განათლებაში. ის დაეხმარება მასწავლებლებს, გააცნობიერონ მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებები და იცოდნენ, როგორ დააკმაყოფილონ ისინი საუკეთესოდ. შესაძლებელია, სკოლებმა მიიღონ ჰოლისტური სასწავლო გეგმა. სკოლა არ არის მხოლოდ სწავლის ადგილი, ის ასევე არის საზოგადოება, რომელიც მოსწავლეს პიროვნებად აყალიბებს.

კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანები, რომლებსაც აქვთ

ჰოლისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება შეესაბამება მეცნიერებისა და სოციალური პრაქტიკის განვითარების დონეს, თანამედროვე სამყაროს სოციალური, კულტურული, ენობრივი, სულიერი მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

საშუალო IQ (ინტელექტის კოეფიციენტი), მაგრამ მაღალი EI (ემოციური ინტელექტი), უფრო წარმატებულები არიან, ვიდრე მაღალი IQ-ს, მაგრამ დაბალი EI-ს მქონენი, ამიტომ დღეს მასწავლებლებს უწევთ სწავლების პრაქტიკის იმგვარი ინტეგრირება, რომ ის დაეფუძნოს ინდივიდის ყველა ასპექტის – ფიზიკური, ემოციური, ფსიქოლოგიური და სულიერი ასპექტების – განვითარებას.

ეს საუკეთესო მეთოდია ისეთი ადამიანის აღსაზრდელად, რომელსაც აქვს ყოფიერებისა და საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა, რომლის გონება და ხედვაც უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სკოლაში სიარული სწავლისთვის და გამოცდების ჩაბარება უნივერსიტეტსა თუ სამსახურში მისაღებად.

გაითვალისწინეთ მოსწავლე-მასწავლებლის როლები კლასში და გამოიყენეთ ისინი განათლების ისეთი სისტემის შესაქმნელად, რომელიც ფოკუსირებულია მოსწავლის გონებაზე, სულსა და სხეულზე როგორც ერთიანობაზე. სკოლა აქცენტს სვამს პოზიტიური გარემოს შექმნაზე, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლის პოზიტიურ ქცევას.

ეს ვრცელდება ჩვენს საზოგადოებაზეც. ასე რომ, ჩვენც შეგვიძლია შევქმნათ თანაბარი და სამართლიანი გარემო, რომელიც ერთიანობაზეა დაფუძნებული; შევქმნათ საზოგადოება, რომელშიც ყველას შეეძლება საკუთარი თავის შეცნობა.

ჩვენ, მასწავლებლებს, გვაქვს შესაძლებლობა, დავეხმაროთ მოსწავლეებს, გახდნენ მგრძნობიარე, გამძლე, ჰარმონიული



ადამიანები, რომლებიც პოზიტიურ ცვლილებებს მოუტანენ ჩვენს საზოგადოებას.

არსებობს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მოდელები, რომლებიც ჰოლისტური განათლების ფარგლებში გამოიყენება.

ექსპერიმენტული სწავლება

პრაქტიკული მიდგომა, რომლის დროსაც მოსწავლეები წყვეტენ, სწავლის რომელი სტილი შეეფერება მათ და მათ ჯგუფს. ეს ქმნის მეგობრულ კლასს, რომელსაც შეუძლია თანამშრომლობა და აყალიბებს სასწავლო სისტემას, რომელიც ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრას და ინოვაციური იდეების წარმოშობას.

თვითმართვადი სწავლა

მეთოდი, რომლის დროსაც მოსწავლეები იყენებენ მოტივაციას და ინტერესებს, რათა ისწავლონ საკუთარი ტემპით, აფასებენ სწავლის გამოცდილებას და აძლევენ მასწავლებელს სწორ უკუკავშირს.

ორიენტაცია გლობალურ საზოგადოებაზე

ჰოლისტური მიდგომის კიდევ ერთი მახასიათებელია მისი ინკლუზიურობა და მრავალფეროვნების პატივისცემა. ჰოლისტური განათლება აღიარებს საზოგადოების მნიშვნელობას და მიზნად ისახავს, ასწავლოს მოსწავლეებს, დააფასონ და იზრუნონ მის თითოეულ წევრზე. ეს შესაძლოა გულისხმობდეს გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარებას, უთანასწორობის აღმოფხვრას.

გარდა ამისა, ჰოლისტური სისტემა ყურადღებას აქცევს კულტურულ განსხვავებებს. ბავშვებს ასწავლიან, აღიარონ კულტურათა ფართო სპექტრი, რომელსაც პატივი უნდა სცენ. კულტურული მგრძნობელობის განვითარება ხელს უწყობს მოსწავლეთა მომზადებას განსხვავებული წარმოშობის მქონე ადამიანებთან ურთიერთობისთვის.

კომუნიკაციაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებს ეხმარება იმის გააზრებაში, რომ ისინი საზოგადოების ნაწილი არიან. ისინი იზრდებიან როგორც ინდივიდები, იუმჯობესებენ გუნდურად მუშაობის უნარს, იწყებენ არსებული შესაძლებლობების გაცნობიერებას.

გარდა ამისა, ეს აყალიბებს განსაკუთრებულ ურთიერთობებს მასწავლებლებს, მშობლებსა და საზოგადოების სხვა წევრებს შორის; ქმნის მტკიცე სასწავლო გარემოს. ამავე დროს, უფრო არატრადიციულია და მოითხოვს უფრო ინდივიდუალისტურ მენტალიტეტს, რაც უდავოდ აისახება ჩვენს გარემომცველ სამყაროზე.

ინტერდისციპლინური კურსი

ეს ტექნიკა ხელს უწყობს კოგნიტიურ ზრდას მრავალი საგნის შესწავლით, რომლებიც ერთად განიხილება. საგნების პროგრამები ერთიანდება, რათა მასწავლებლებმა ასწავლონ თემატური კურსები, რომელიც იკვლევს სხვადასხვა საკითხს და მრავალ პერსპექტივას.

ეს შეიძლება მოხდეს დამოუკიდებელი სწავლის, საველე მოგზაურობის, ჯგუფური პროექტების ან სტაჟირების ფორმით.

ზრდაზე დაფუძნებული ეს აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს, შეხედონ მონეტის ორივე მხარეს და უფრო ღრმად შეისწავლონ მასალა, ამასთან, ისწავლონ უფრო ემპათიური და შემეცნებითი მეთოდით, რაც, თავის მხრივ, განუვითარებს მათ სიტუაციების ლოჯისტიკური კუთხით შეფასების უნარს.

ეს ყველაფერი ასევე ხელს უწყობს ლიდერობის უნარების გამომუშავებას და საზოგადოებისთვის მიკუთვნებულობის გრძნობის განვითარებას. აღნიშნული პრინციპი მოქმედებს როგორც კოლეგა მასწავლებლებთან მუშაობის, ისე მშობლებთან ურთიერთობის დროსაც.

გამოყენებული რესურსები:

1. https://www.teacheracademy.eu/blog/holistic-education/
2. https://www.educationcorner.com/holistic-education.html
3. https://ezyschooling.com/parenting/expert/Holistic-development-and-its-benefits

თემურ სუყაშვილი

სამოქალაქო თავდაცვისა და ბუნებრივი კატასტროფების დროს ქცევის წესების სწავლება სკოლებში

ქცევის წესების ცოდნა და პრაქტიკული უნარების ფლობა ყველგან გვჭირდება. მნიშვნელოვანია, მომავალმა თაობებმა, კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, მეტი ყურადღება დაუთმონ ბუნებრივი კატასტროფების გამომწვევ მიზეზებს.

შოვის ტრაგედიის კადრები სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში. სულ რამდენიმე წამში ტალახით დაფარული სიცოცხლე, გადარჩენილთა განწირული ყვირილი, განადგურებული კურორტი... 3 აგვისტოს შემდეგ გამუდმებით ვფიქრობ, რა შეიძლება გავაკეთოთ მასწავლებლებმა სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ბუნებრივი კატასტროფების დროს ქცევის წესების სწავლების თვალსაზრისით.

საქართველოში მრავალი სახის ბუნებრივი მოვლენა აღირიცხება. ხშირია წყალმოვარდნა და წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი, მიწისძვრა, ძლიერი ქარი, სეტყვა, ბუნებრივი ხანძარი და სხვ. გარდა ბუნებრივი კატასტროფებისა, ხშირია ადამიანის დაუდევრობით გამოწვეული უბედური შემთხვევებიც. სტიქიური მოვლენებისა თუ უბედური შემთხვევების დროს ქცევის წესების არცოდნა გარდაცვლილთა რაოდენობას ზრდის.

ქცევის წესების ცოდნა და პრაქტიკული უნარების ფლობა ყველგან გვჭირდება. მნიშვნელოვანია, მომავალმა თაობებმა, კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, მეტი ყურადღება დაუთმონ ბუნებრივი კატასტროფების გამომწვევ მიზეზებს. შესაძლოა, ვცხოვრობდეთ ისეთ დასახლებულ არეალში, სადაც ბუნებრივი მოვლენით გამოწვეული ექსტრემალური სიტუაციის შექმნის რისკი დაბალია, თუმცა ეს თავის დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს: შესაძლოა, წავიდეთ ექსკურსიაზე, დასასვენებლად მთაში ან ზღვაზე... ქვეყნის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ. 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ ნათლად დავინახეთ, რაოდენ მნიშვნელოვანია სამოქალაქო თავდაცვის პირველადი უნარები სიცოცხლის გადასარჩენად. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ხუთღიანი ომის დროს სამოქალაქო მსხვერპლი საკმაოდ დიდი იყო.

ამის გათვალისწინებით, სამოქალაქო უსაფრთხოებისა და თავდაცვის უნარების განვითარება და ბუნებრივი კატასტროფების დროს ქცევის წესების სწავლება საქართველოს მსგავსი გეოპოლიტიკური მდებარეობის ქვეყნებში ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს.

ამ დროს საშუალო საფეხურის მოსწავლეს რომ ჰკითხოთ, სად მდებარეობს უახლოესი თავშესაფარი, ვერ გიპასუხებთ. რატომ?

სამწუხაროდ, სკოლებსა და სხვა სააღმზრდელო დაწესებულებებში სამოქალაქო უსაფრთხოებასა და თავდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს სათანადო ყურადღება არ ექცევა. წლების განმავლობაში ისწავლებოდა საგანი „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“, რომელიც საათების „შევსების“ საშუალებად იყო ქცეული.

სასკოლო გარემო იდეალურია სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ბუნებრივი კატასტროფების დროს ქცევის წესების სწავლებისა და შესაბამისი უნარების განვითარებისთვის. მესამე თაობის

ეროვნულ სასწავლო გეგმაში სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხები ფრაგმენტულია და რამდენიმე საგნის ფარგლებში მუშავდება.

დაწყებით საფეხურზე უსაფრთხოების შესწავლას მოსწავლეები საგან „მე და საზოგადოების“ ფარგლებში III-IV კლასებში იწყებენ. აქ ბავშვები ამუშავებენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: „ჩემი უსაფრთხოება“, „საგზაო უსაფრთხოება“, „ხიფათი და ექსტრემალური სიტუაციები“ და სხვ.

საბაზო და საშუალო საფეხურებზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლება უმთავრესად მოქალაქეობისა და გეოგრაფიის ფარგლებში გრძელდება, თუმცა აქ ის ძირითადად თეორიულია და სხვადასხვა ექსტრემალურ სიტუაციაში ქცევის წესების შეხსენებით შემოიფარგლება.

ცალკე საგანი „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“ მხოლოდ მე-12 კლასში ისწავლება. მომავალი სასწავლო წლიდან საშუალო საფეხურის სტანდარტით აღნიშნული საგანი აღარ იქნება გათვალისწინებული.

მესამე თაობის ესგ-ში განსაზღვრულია რვა პრიორიტეტული მიმართულება, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ სამოქალაქო უსაფრთხოებაა. მაგალითად, 2023-2024 სასწავლო წლისთვის მარნეულის N5 საჯარო სკოლამ, გამოკითხვის შედეგად, სწორედ სამოქალაქო უსაფრთხოება შეარჩია. სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლებმა/საგნობრივმა კათედრებმა ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული სხვადასხვა აქტივობა უნდა შესთავაზონ მოსწავლეებს.

ზაფხულში დავინტერესდი, თუ როგორ ასწავლიან სამოქალაქო უსაფრთხოებასა და ბუნებრივი კატასტროფების დროს ქცევის წესებს სხვადასხვა ქვეყანაში.

დავიწყოთ შორეული აღმოსავლეთით.

ამომავალი მზის ქვეყანა

კუნძულოვანი ქვეყანა იაპონია წყნარ ოკეანეში მდებარეობს. არქიპელაგზე გადის ცეცხლოვანი რკალი (სარტყელი), რის გამოც იქ ხშირია მიწისძვრები, ცუნამები და ტაიფუნები. 2011 წელს იაპონიის სანაპიროს სიახლოვეს მომხდარმა მიწისძვრამ დამანგრეველი ცუნამი გამოიწვია. საზოგადოდ, ამ ქვეყანაში მიწისძვრები ყოველდღიურობის ნაწილია. საინტერესოა, როგორ ამზადებენ მოსწავლეებს ბუნებრივი მოვლენებისგან თავდაცვისთვის.

იაპონიის საგანმანათლებლო სისტემაში დანერგილია უსაფრთხოების სწავლება. მიმართულების მიზანია, მოამზადოს მოსწავლეები საკუთარი და სხვათა სიცოცხლის დასაცავად და შეამციროს ზიანი.

სკოლებსა თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში სიმულაციები უდიდეს როლს ასრულებს. მუდმივად ტარდება ევაკუაციის გაკვეთილები და პრევენციის კვირეულები. მასწავლებლებსა და სკოლის პერსონალს მუდმივად უტარდებათ ტრენინგები.

კატასტროფის შემდეგ, ზარალის მინიმიზაციის მიზნით, აქტიურად გამოიყენება ტექნოლოგიები. მოსწავლეებს მისდით შეტყობინება ახლოს არსებული საფრთხის შესახებ.

ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მოტოშიროს დაწყებითი სკოლის პრაქტიკა. სკოლა ყოველწლიურად მართავს ტრენინგს ევაკუაციაში ხანძრისა და მიწისძვრისთვის მოსამზადებლად. მოსწავლეები თეორიულად სწავლობენ ევაკუაციის მარშრუტებს, სიმულაციის დროს მიდიან უახლოეს თავშესაფრამდე.

დაწყებითი სკოლა თანამშრომლობს უნივერსიტეტთანაც. უნივერსიტეტის სტუდენტები ზომავენ რეალურ დროს ევაკუაციისთვის GPS-ის გამოყენებით. შეკრებილი მონაცემები გამოიყენება ტრენინგის დასახვეწად.

სკოლაში მოსწავლეები ასევე სწავლობენ ცეცხლმაქრებისა და სხვა ინვენტარის გამოყენებას, საფრთხეების რუკაზე მუშაობას, წყალდიდობის შემთხვევაში სამაშველო ჟილეტების გამოყენებას, ბუნებრივი თავშესაფრების შერჩევას და

ა.შ. რაც მთავარია, ამას აქვს პრაქტიკული და მრავალჯერადი ხასიათი.

იაპონიაში აქტიურად გამოიყენება ადრეული გაფრთხილების სისტემები. მოსწავლეებს ტელეფონზე მისდით შეტყობინება მათ სიახლოვეს არსებული საფრთხის შესახებ. თუ საშიშროება სერიოზულია, იწყება ევაკუაციისა და უსაფრთხო ადგილას გადაყვანის ოპერაცია.

სინგაპური

საინტერესო მიდგომებს იყენებენ წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე კიდევ ერთ ქვეყანაში — სინგაპურში. სინგაპურის განათლების სამინისტროს **ვებგვერდზე** განთავსებულია ამომწურავი ინფორმაცია საგანგებო სიტუაციებში სკოლების როლის შესახებ.

სინგაპურში დანერგილია თანამშრომლობითი მიდგომა. სკოლები, პოლიცია და სამოქალაქო თავდაცვის ძალები ერთად მუშაობენ საგანგებო სიტუაციებში რეაგირების მექანიზმის დასანერგავად. სპეციალურად გადამზადებული ოფიცრები წინასწარ მომზადებული სასწავლო პროგრამის მიხედვით ატარებენ წვრთნებს (სიმულაციებს) და ტრენინგებს, რომლებშიც სასკოლო საზოგადოება მონაწილეობს.

თითოეულ სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია კონკრეტული როლები და პასუხისმგებლობები საგანგებო სიტუაციების დროს, პირველი დახმარების წესები, ევაკუაციის გეგმა, მოცემულია ინფორმაცია პირველი დახმარების უახლოესი პუნქტებისა და თავშესაფრების შესახებ და ა.შ. სკოლის ლიდერები რეგულარულ შეხვედრებს

სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ისინი მეტად სერიოზულად მიიჩნევენ სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლებას. მათი მიდგომიდან თვალსაჩინოა პრევენციული მექანიზმების აქტიური გამოყენება და გარემოზე ზემოქმედების შემცირებაზე ზრუნვა.

მართავენ პერსონალთან დოკუმენტის დახვეწის, განახლებისა და პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.

სინგაპურში პოპულარულია სამოქალაქო თავდაცვის ეროვნული კადეტთა კორპუსი, რომელიც ექვემდებარება განათლების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სამოქალაქო თავდაცვის ძალებს. მათი დევიზია: „ჩვენ ვსწავლობთ, ჩვენ ვხელმძღვანელობთ, ჩვენ ვემსახურებით“.

კადეტთა კორპუსის სასწავლო პროგრამაში/სილაბუსში სამოქალაქო თავდაცვის კომპონენტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აქტიური თეორიული სწავლება და პრაქტიკული სიმულაციები ინტეგრირებულია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში. ახალგაზრდები სწავლობენ სახანძრო უსაფრთხოების, პირველი დახმარებისა და შველა-გადარჩენის წესებს.

ესტონეთი

უკრაინაში რუსეთის შეჭრამ ევროპასა და მთელ მსოფლიოში ახალი რეალობა შექმნა, ამიტომ ესტონელები მიიჩნევენ, რომ მათი ამჟამინდელი მიდგომა აღარ არის საკმარისი მოსახლეობის დასაცავად და როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო თავდაცვის სფეროს დასახვეწად მეტი ძალისხმევაა საჭირო.

ესტონეთში სამოქალაქო თავდაცვის მიზანია მოსახლეობის მხარდაჭერა კრიზისულ ვითარებაში, კერძოდ, ომის შემთხვევაში, და კრიზისების დამოუკიდებლად დასაძლევად მისი მზადყოფნის ამაღლება.

სამოქალაქო თავდაცვა კრიზისის დროს ნიშნავს სახელმწიფოსა და საზოგადოების მზადყოფნას და გულისხმობს:

- გამაფრთხილებელ შეტყობინებებს;
- სამაშველო სამუშაოებს;
- ევაკუაციას;
- თავშესაფრის პოვნას;
- პირველ დახმარებას და კატასტროფის მედიცინას;
- გარდაუვალ სოციალურ ზრუნვას;
- ფსიქოსოციალური კრიზისის დროს დახმარებას;
- მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სხვა სახის დახმარებას.

ესტონეთში სამოქალაქო თავდაცვის სწავლებისა და მოსახლეობაში შესაბამისი მზადყოფნის უზრუნველყოფის თვალსაზრისით სკოლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს ცენტრალური ადგილი უკავიათ.

სწორედ განათლების სისტემა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, რის შედეგადაც მოსახლეობის ცნობიერება ამ ქვეყანაში საკმაოდ მაღალია.

ფინეთი

ფინეთში ფუნქციონირებს ცენტრალური და 22 დამოუკიდებელი რეგიონული სამაშველო დეპარტამენტი, რომლებიც სასწრაფო დახმარებას უწევენ მოსახლეობას უბედური შემთხვევის ან ბუნებრივი საფრთხის დროს. სწორედ რეგიონული სამაშველო დეპარტამენტები არიან პასუხისმგებელნი ცნობიერების ამაღლებაზე თავიანთ რეგიონში. ისინი მჭიდრო კოორდინაციაში იმყოფებიან საბავშვო ბაღებსა და სკოლებთან, საჭიროებისამებრ უწევენ მათ დახმარებას სიმულაციების დაგეგმვაში, ევაკუაციისა და თავშესაფრებში გადაყვანის მოდელირებაში.

ფინეთში ყოველწლიურად იმართება ხანძარსაწინააღმდეგო ცნობიერების ამაღლებისა და უსაფრთხოების კამპანიები. მაგალითად, სახანძრო უსაფრთხოების კვირეული მიზნად ისახავს, გააუმჯობესოს ხანძარსაწინააღმდეგო უნარები, ხოლო უბედური შემთხვევების დღის სიმულაცია ამაღლებს ცნობიერებას საფრთხის რისკის, ავარიებისა და მათი პრევენციის შესახებ. ამ კვირეულებში აქტიურად ერთვებიან სკოლები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ფინურ სკოლებში ბავშვებს სთავაზობენ სასწრაფო დახმარების უნარების უფასო კურსებს, ასწავლიან პირველი დახმარების გაწევას, ხანძრის ჩაქრობას და თავდაცვის სხვა ელემენტებს.

2023 წლის კვლევის მიხედვით, ფინელებს სამაშველო სამსახურების მიმართ დადებითი დამოკიდებულება აქვთ. მსოფლიო მოვლენები, მათ შორის – რუსეთის აგრესიული ომი უკრაინის წინააღმდეგ, აშკარად ახდენს გავლენას იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ფინელები პოტენციურ რისკებს. ფინელებს სამოქალაქო თავდაცვა დღეს უფრო საჭიროდ მიაჩნიათ, ვიდრე წინათ. ყოველი ათი ფინელიდან ცხრა სამოქალაქო თავდაცვას უსაფრთხოებისთვის აუცილებელ ელემენტად მიიჩნევს.

სიმულაციები

სასწავლო სიმულაციები მოსწავლეთა მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოცდის კარგი საშუალებაა. წინასწარ გაწერილი სცენარით ექსტრემალური სიტუაციების გათამაშება სკოლაში ან მის ფარგლებს გარეთ (საცხოვრებელ კორპუსში, ბუნებაში და ა.შ.) შესაბამისი უნარების გამომუშავებაში გვეხმარება.

სასურველია, ასაკის შესაბამის სიმულაციებში მოსწავლეების ჩართვა იწყებოდეს საბავშვო ბაღებიდან და გრძელდებოდეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. სიმულაციების მსვლელობას უნდა ხელმძღვანელობდნენ კვალიფიციური, გადამზადებული კადრები საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან, თავდაცვის სამინისტროდან და ა.შ.

სიმბოლურია, რომ ჟურნალ „მასწავლებელში“ ჩემი პირველი სტატია სწორედ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან თანამშრომლობით ჩატარებულ სასწავლო სიმულაციას ეხებოდა.

შეჯამება

სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ისინი მეტად სერიოზულად მიიჩნევენ სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლებას. მათი მიდგომიდან თვალსაჩინოა პრევენციული მექანიზმების აქტიური გამოყენება და გარემოზე ზემოქმედების შემცირებაზე ზრუნვა. მათ სჯეროთ, რომ სკოლებში სწორად დაგეგმილ სწავლა-სწავლების პროცესს შეუძლია, ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს შესაბამისი დამოკიდებულება და ხელი შეუწყოს კატასტროფების პრევენციის კულტურის განვითარებას. სწორედ ამიტომ სასწავლო პროგრამები მოიცავს გარემოსდაცვით საკითხებს, როგორიცაა: კატასტროფების პრევენცია და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება. ყურადღება მახვილდება ეკოლოგიურ პრობლემებზე, მათ მიზეზებსა და შედეგებზე. ამ ყველაფრის ცენტრში დგანან მოსწავლეები, რომლებიც პროცესში აქტიურად მონაწილეობენ და მხოლოდ თეორიული ცოდნის მიღებით არ შემოიფარგლებიან.

ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადრეული შეტყობინების სისტემების შესახებ ცნობიერების ამაღლება. ახალგაზრდებმა და, საზოგადოდ, მოსახლეობამ იცის, როგორ მოიქცეს განგაშის სიგნალის შემთხვევაში.

გამოყენებული რესურსები:

1. https://web-japan.org/kidsweb/cool/20/202011_disaster-prevention-education_en.html
2. https://www.mdpi.com/2227-9067/7/6/65
3. https://www.jstage.jst.go.jp/article/jdr/16/7/16_1121/_pdf – კვლევა და ევაკუაციის გაკვეთილები.
4. https://www.moe.gov.sg/about-us/emergency-preparedness
5. https://www.scdf.gov.sg/ncdcc
6. https://www.scdf.gov.sg/home/community-volunteers/community-preparedness/school-programmes
7. https://www.rescue.ee/files/2020-03/elanikkonnakaitse-a4-en.pdf?977eed4edf – Disaster Risk Management Summary of Estonia 2020
8. https://www.siseministeerium.ee/media/1451/download
9. https://www.rescue.ee/en/instruction/civil-protection
10. https://civil-protection-humanitarian-aid.ec.europa.eu/what/civil-protection/national-disaster-management-system/finland_en
11. https://valtioneuvosto.fi/en/-/1410869/nine-out-of-ten-finns-consider-civil-defence-necessary-for-security
12. https://www.ft.com/content/7c8cebc4-8107-45d8-8f58-2382277fdd0c
13. https://mes.gov.ge/content.php?id=12552&lang=geo – მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა

ინა იმედაშვილი

ვის ეშინია წიგნების?

წიგნებთან ბრძოლის რამდენიმე ასპექტი

„დიახ! წიგნი კი გატენილი თოფია, რომელიც კარის მეზობელს დაუმიზნებია შენთვის. დაწვით ის და თოფი უტყვიოდ დარჩება! ადამიანის გონება უნდა აილაგმოს. რა ვიცით, ვინ გახდება ნაკითხი კაცის სამიზნე? იქნებ მე? აი, ამიტომ ვერ ვიტან მაგისთანებს!“

რეი ბრედბერი, „451° ფარენჰაიტით“

წიგნების შიში ახალი და თანამედროვე მოვლენა რომ არ არის, ამას ისტორიაც გვიჩვენებს. წიგნებს და ხელნაწერებს წვავდნენ უხსოვარ დროს, შუა საუკუნეებში, დიქტატორების ეპოქებში, ტერორიზმის ბუდეებში, წვავდნენ და ამით დიდ სიამოვნებას განიცდიდნენ, აი, რაღაცნაირ ნეტარებას – მათ ხომ ბოროტება ალაგმეს და გაანადგურეს! ადამიანების გონება დაიცვეს საცდურისგან, ეშმაკისეული მანქანებისგან!

ვინ ებრძვის წიგნებს? ვის სძულს წიგნები? მას, ვისაც ეშინია! დიახ, ეშინია თავისუფალი სულის, გაცნობიერებული გონების, განათლებული აზრების, განსხვავებული მოსაზრებების, ეშინია იმის, რაც თავად არ უგრძნია, არ წაუკითხავს, არ აღმოუჩენია! ან დიახაც, რომ უგრძნია და დიახაც, რომ იცის წიგნის ძალა – ამიტომაც ებრძვის, რადგან წიგნიერი ადამიანის დამორჩილება, იდეოლოგიის მარწუხებში მოქცევა ძნელია. რაზეც ასეთ ხალხს პასუხი არ აქვს – განადგურდეს! რაც ოდნავ განსხვავდება მათი გატკეპნილი გზისგან – დაიწვას! ებრძვიან კეთილ ჯადოქარ ჰარის და მასში სატანიზმს ხედავენ, როცა შეიძლება, სიკეთისა და ბოროტების მარადიული ჭიდილი დაინახონ. მხოლოდ ზებუნებრიობა განსაზღვრავს იარლიყებს, არადა, ჩვენი ხალხი სწორედ რომ ხალხურმა მაგიამ გადაარჩინა, რისი შესანიშნავი მაგალითებია ქართული ხალხური ზღაპრები, ხალხური შელოცვები და დღეობა-რიტუალები. კეთილი და ბოროტი, შავი და თეთრი ხომ მარადიულია, – რა მნიშვნელობა აქვს, თეთრი რაინდი გველეშაპს მახვილით დაამარცხებს თუ ჯადოსნური ჯოხით? რა მნიშვნელობა აქვს ბავშვობის ტრავმების სპეციფიკას, წამების ხარისხს, როცა ეს გზა ორივე შემთხვევაში გაიარა გმირმა? რატომ ვეკიდებით ზედაპირს, რატომ აღვიქვამთ სიმბოლოებს არსად? რატომ არ ვუღრმავდებით, რატომ არ ვეძიებით, ბოლოს და ბოლოს, რატომ ვაქციეთ რწმენა ყველაფრისგან დაცლილ რიტუალად? სად დავმალეთ ქრისტე? რას ვეთაყვანებით? რისი გვწამს? რა გვჭირს და რატომ ვებრძვით წიგნებს? როცა ყველაზე მკაცრი ეპოქის ყველაზე მკაცრმა მოძღვარმა გრიგოლ ხანძთელმა საკუთარი არსის შეცნობა და ქრისტეს გზაზე სიარული დაიწყო, საერო წიგნები კი არ დაწვა, კი არ უარყო – წაიკითხა! რაც მისაღები იყო, მიიღო, რაც დასავიწყებელი იყო, დაივიწყა. ეს მისი პირადი არჩევანი გახლდათ.

„ფერადკანიანებს არ მოსწონთ „პატარა ზანგის ბიჭი სამბო“? დაწვით! თეთრკანიანებს არ სიამოვნებთ „ბიძია თომას ქოხი“? დაწვით! ვიღაცამ დაწერა წიგნი თამბაქოსა და ფილტვების კიბოს შესახებ.

ისტორია მხოლოდ ფაქტებს ინახავს, ხოლო პროპაგანდის მანქანა, რომელიც ძველი წესებით მოქმედებს, რომელიც შიშით იკვებება, დამარცხებისთვის განწირულია და ის ჩვენ, მასწავლებლებმა უნდა დავამარცხოთ. ჩვენი უპირველესი მისიაა, ვიდგეთ სინათლის, განათლების, წიგნებისა და თავისუფლების მხარეს!

ვინ ებრძვის წიგნებს? ვის სძულს წიგნები? მას, ვისაც ეშინია! დიახ, ეშინია თავისუფალი სულის, გაცნობიერებული გონების, განათლებული აზრების, განსხვავებული მოსაზრებებების, ეშინია იმის, რაც თავად არ უგრძნია, არ წაუკითხავს, არ აღმოუჩენია!

სიგარეტის მეწარმეები დაფრთხნენ! დაწვით ეს წიგნიც! სიმშვიდეა, მონტეგ, საჭირო! არავის უნდა აწუხებდეს რაიმე. ყველაფერი, რაც კი გაწუხებს, უნდა მოისპოს, ღუმელში უნდა დაიწვას".

რეი ბრედბერი, „451° ფარენჰაიტით"

მოდი, ვიყოთ ბანალურები და ვთქვათ, რომ წიგნი შუქურაა, ის ადამიანის შინაგან „მეს" ანათებს, ანათლებს, განათლება კი თავისუფლებაა. თავისუფალი ადამიანის მართვა ძნელია, მეტ ცოდნას, მეტ ოსტატობას მოითხოვს. განათლებულ ადამიანს ისევ განათლებული ადამიანი თუ „მოერევა", ჰოდა, არ არის იოლი საქმე. უფრო ადვილია, აბსურდული პროპაგანდა ააგორო, მიუვარდე, დაწვა, გაანადგურო. პროპაგანდას თავისი კანონები აქვს, ის შიშზეა აგებული, ადამიანების ქვეცნობიერი კომპლექსებითა და შფოთვებით იკვებება: აი, გადავგვარდებით, აი, გავნადგურდებით, აი, ბავშვებს გარყვნიან, სოდომი და გომორი განმეორდება და მთელი რიგი მითები თუ შეთქმულებათა თეორიებია ქცეული მყვირალა ლოზუნგებად: „ქართლის დედებო, შეერთდით", „შვილები დავიცვათ!" აბა, რომელი გულანათებული, პატრიოტი, შვილის მოყვარული დედა არ წამოეგება მსგავს სატყუარას? აბა, სხვანაირად როგორ დაინთება ის ცეცხლი, რომელიც, საბოლოოდ, მართლაც საფრთხეს შეუქმნის მომავალ თაობას, ცენზურას დააკანონებს, შედეგი კი ისევ და ისევ კარგად ნაცნობი წიგნების დაწვა იქნება.

„შეიძლება, ერთი რამ გკითხოთ? რამდენი ხანია, რაც მეხანძრედ მუშაობთ?
– ოცი წლიდან მეხანძრე ვარ. აგერ უკვე ათი წელიწადია.
– ოდესმე თუ კითხულობთ რომელიმე დასაწვავ წიგნს?
– ამას კანონი გვიკრძალავს, – ღიმილით მიუგო მონტეგმა.
– ჰო... რა თქმა უნდა.
– ეს მშვენიერი ხელობაა. ორშაბათს შილერი დავწვათ, ოთხშაბათს – სუიტმენი, პარასკევს – ფოლკნერი. ფერფლად ვაქციოთ, მერე ფერფლიც დავწვათ! ეს არის ჩვენი პროფესიული დევიზი".

რეი ბრედბერი, „451° ფარენჰაიტით"

მოდი, გადავხედოთ წიგნებთან ბრძოლის ისტორიას, რომელიც, სამწუხაროდ, არც ისე მოკლეა. ვინც დიქტატორობისკენ, ერთპიროვნული მართვისკენ, ავტორიტარიზმისკენ მიილტვის, ვისთვისაც რელიგია იდეოლოგიური იარაღია, ხოლო პატრიოტიზმით აპელირება – კარგად ნაცნობი და გაცვეთილი საშუალება, ის ბრძოლას, უპირველეს ყოვლისა, თავისუფალ, განათლებულ ადამიანებს უცხადებს და ამ ამბავში, როგორც წესი, წიგნები იჭყლიტება. ისიც აღვნიშნოთ, რომ წიგნის კითხვა უპირობოდ არ ნიშნავს განათლებულობას, სიკეთეს. თუმცა ესეც პიროვნული არჩევანია, ჩვენ კი რასაც ველტვით და რაც გვინდა, ის არის, რომ ადამიანმა თავად გადაწყვიტოს, რომელ მხარეს დგას, რისი სჯერა, რისი სწამს და რა ფასეულობებია მისთვის პრიორიტეტული. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ამ ამბავში მასწავლებლებს უზომოდ დიდი როლი გვაკისრია. ამიტომ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მასწავლებლების ნათელ მხარეს დგომა.

მაშ ასე, დავიწყოთ:

ჩინეთში უკანასკნელი საიმპერატორო დინასტიის – ცინის დროს, 212 წელს, იმპერატორმა ცინ ში ჰუანგიმ უამრავი წიგნი დაწვა. სავარაუდოდ, განადგურდა ასი აზროვნების სკოლის ფილოსოფიური ტრაქტატები.

„სიბრძნის სახლის" განადგურება ბაღდადის მონღოლთა ალყის დროს (1258 წ.).

აცტეკების კოდექსების განადგურება იეზუიტების მიერ (1430 წ.).

მაიას ტომის კოდექსების დაწვა ეპისკოპოს დიეგო დე ლანდას ბრძანებით (1562).

შრი-ლანკაში ჯაფნას საჯარო ბიბლიოთეკის დაწვა (1981).

თანახის (ებრაული წმინდა ტექსტის) მიხედვით, ძვ. წ. VII საუკუნეში იუდას მეფე იეჰოიაკიმმა დაწვა გრაგნილის ნაწილი, რომელიც ბარუქ ბენ ნერიამ დაწერა წინასწარმეტყველ იერემიას კარნახით (იხ. იერემია 36).

ახალი აღთქმის მოციქულთა საქმეებში ნათქვამია, რომ პავლემ ეფესოში ეგზორციზმი განახორციელა. მას შემდეგ, რაც სხვა კაცებმა ეფესოში იმავეს გაკეთება ვერ შეძლეს, უმრავლესობამ ხელი ჩაიქნია და ქრისტიანული წიგნები დაწვეს, რადგან ჩათვალეს, რომ ისინი უსარგებლო იყო.

ნიკეის პირველი კრების შემდეგ (ახ. წ. 325 წ.) რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა გამოსცა ბრძანებულება არატრინიტარი არიანელების წინააღმდეგ, რომელიც წიგნების სისტემატური დაწვის განკარგულებას შეიცავდა. ვინც ბრძანებას გადავიდოდა და წიგნებს არ დაწვავდა, სიკვდილით დაისჯებოდა.

1759 წელს რომის პაპმა კლემენტ XIII-მ გამოაცხადა, რომ ბიოლოგ ლინეს ყველა წიგნი უნდა დაეწვათ.

ფრედეგარის ქრონიკის მიხედვით, რეკარედმა, ვესტგოთთა მეფემ (მეფობდა 586-601 წლებში) და ესპანეთის პირველმა კათოლიკე გვირგვინოსანმა, 587 წელს, კათოლიციზმზე მოქცევის შემდეგ, ბრძანა, ყველა არიანული წიგნი შეეგროვებინათ და დაეწვათ, და არიანეს ღვთისმეტყველების ყველა წიგნი ფერფლად იქცა იმ სახლთან ერთად, რომელშიც ისინი განზრახ შეგროვდა.

1244 წელს, პარიზის დავის შედეგად, 24 ვაგონი თალმუდი და სხვა ებრაული რელიგიური ხელნაწერები დაწვეს ფრანგმა სამართალდამცველებმა პარიზის ქუჩებში.

მონობის საწინააღმდეგო წიგნები დაწვეს ამერიკის სამხრეთში, 1859-1860 წლებში.

ნაცისტებმა უამრავი წიგნი გაანადგურეს მეორე მსოფლიო ომის დროს.

ცნობილია, რომ 1730-იან წლებში კარლო გოლდონიმ დაწვა თავისი პირველი პიესა, ტრაგედია „ამალასუნტა“, როდესაც მას მძაფრი კრიტიკით გამოეხმაურნენ.

1842 წელს ნიკოლაი გოგოლმა დაწვა „მკვდარი სულების“ მეორე ნახევარი მღვდლის გავლენით, რომელმაც დაარწმუნა, რომ მისი ნამუშევარი მკრეხელობა იყო. მოგვიანებით გოგოლმა შეცდომა აღიარა.

1976 წელს ვენესუელელი ლიბერალი მწერლის კარლოს რანგელის მოწინააღმდეგეებმა საჯაროდ დაწვეს მისი წიგნები.

სწავლულების დახოცვა და წიგნების დაწვა, მე-18 საუკუნის უცნობი ავტორის ჩინური ნახატი, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარიზი

არიანული წიგნების დაწვა ნიკეაში (ილუსტრაცია კანონიკური სამართლის კომპენდიუმიდან, დაახლოებით 825, MS. კაპიტულარული ბიბლიოთეკა, ვერჩელი)

პედრო ბერუგეტის ნახატის დეტალი. კამათი წმინდა დომინიკ გუზმანსა და ალბიგენსიელებს (კათარებს) შორის, რომლის დროსაც ორივეს წიგნები ცეცხლში იქნა ჩაყრილი. წმინდა დომინიკის წიგნები სასწაულებრივად გადაურჩა დაწვას.

1933 წელს ნაცისტებმა დაწვეს ებრაელი და სხვა ავტორების ნამუშევრები, რომლებიც „არაგერმანულად“ მიიჩნეოდა.

მემარცხენე წიგნების დაწვა ჩილეს სამხედრო დიქტატურის პირველ დღეებში, 1974 წ.

ათასობით წიგნი იწვის უზარმაზარ კოცონში. გერმანელები „ნაცისტურ სალამს“ იძლევიან წიგნების დაწვის დროს, რაც მთელ გერმანიაში გავრცელდა.

სიმბოლო ორგანიზაციისა „ნიუ-იორკის საზოგადოება მანკიერების ჩასახშობად“, რომელიც მხარს უჭერდა „მანკიერი“ წიგნების დაწვას.

წიგნების დაწვა ჩილეში, 1973 წლის გადატრიალების შემდეგ, როდესაც დამყარდა პინოჩეტის დიქტატურა.

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები, რა თქმა უნდა, ზღვაში წვეთია და ვერ დაიტევს უამრავ განადგურებულ წიგნსა თუ ტრაქტატს.

წიგნებს წვავდნენ, წიგნებს დღესაც წვავენ, მაგრამ მინდა, რომ მომავალში წიგნები აღარ დაწვან!

„წიგნები აცვიოდა მხრებზე, მკლავებზე, სახეზე. წიგნები უშიშრად, შინაური მტრედებივით ასხდებოდნენ ხელებზე და თან ფრთებს აფარფატებდნენ. აი, სუსტ, მოციმციმე სინათლეზე თოვლივით ქათქათა ფრთასავით აფარფატდა სიტყვებით მოქარგული ფურცელი. მონტეგი ჩქარობდა საქმის დასრულებას, მაგრამ ფურცელს მაინც გადაჰკრა თვალი და ამოკითხულმა სტრიქონმა თითქოს სამართებლით დაუსერა გონება. ეს სტრიქონი სამუდამოდ დაამახსოვრდა: „დრომაც ჩათვლიმა შუადღის მზეზე“. მან წიგნი დააგდო, მაგრამ მაშინვე მეორე ჩაუვარდა მკლავებში“.

რეი ბრედბერი, „451° ფარენჰაიტით“

წიგნთან ბრძოლა საბოლოოდ გამარჯვებას ვერცერთ მხარეს ვერ მოუტანს, განადგურება ხომ მხოლოდ მშიშრების გადაწყვეტილებაა. ცეცხლის დანახვისას ბრბოს ყიჟინა და აღფრთოვანება წარმავალია. ისტორია მხოლოდ ფაქტებს ინახავს, ხოლო პროპაგანდის მანქანა, რომელიც ძველი წესებით მოქმედებს, რომელიც შიშით იკვებება, დამარცხებისთვის განწირულია და ის ჩვენ, მასწავლებლებმა უნდა დავამარცხოთ. ჩვენი უპირველესი მისიაა, ვიდგეთ სინათლის, განათლების, წიგნებისა და თავისუფლების მხარეს!

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„კვლევაზე დაფუძნებული სწავლება“

www.tpdc.ge